

Vol. 6 N 3 2024



საზოგადოებრივი

მეცნიერებათა

GEORGIAN
SCIENTISTS

საზოგადოებრივი მეცნიერებების ასოციაცია

ASSOCIATION FOR SCIENCE

E-ISSN 2667-9760

Georgian Scientists

ქართველი მეცნიერები

ასოციაცია მეცნიერებისათვის

Association for Science

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gS>

<https://journals.4science.ge/index.php/GS/index>

სარედაქციო საბჭო

თამარ ხახუტაშვილი: მთავარი რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი, ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი <https://orcid.org/0000-0003-0953-2073>

ნინო ბერიანიძე: მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის აღმასრულებელი დირექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი

მარიეტა სულაბერიძე: რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის თანადამფუძნებელი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების, მთავარი სპეციალისტი

გიორგი გოროშიძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის განყოფილება; <https://orcid.org/0000-0002-6244-2942>

ომარ ლანჩავა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი; <https://orcid.org/0000-0003-4249-9404>

ვახტანგ კვაჭაძე: ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. <https://orcid.org/0000-0002-3875-505X>

ლელა ბახტაძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. <https://orcid.org/0000-0003-0482-0711>

ავთანდილ ამირანაშვილი: მ.ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი <https://orcid.org/0000-0001-6152-2214>

აგაევ რაუფ მაგსუდ ოღლუ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს მ. თოფჩუბაშევის სახელობის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი, კათედრის გამგე (ბაქო, აზერბაიჯანი)

ირაკლი ნადირაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა GIDMEDI: თბილისი, საქართველო <https://orcid.org/0000-0002-4764-655X>

ელი კაკიაშვილი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, გალილეის სამედიცინო ცენტრი, ნაჰარია, ისრაელი; მედიცინის ფაკულტეტი გალილეაში, ბარ ილანის უნივერსიტეტი, საფადი, (ისრაელი) <https://orcid.org/0000-0002-8796-9724>

ლუის მ. ალედორტი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მერი ვაინფელდი კლინიკური კვლევის პროფესორი ჰემოფილიაში, მოუნთ სინაის მედიცინის სკოლა, ნიუ იორკი, შშ

ნადეი ჰაკიმი: GCSJ, MD, PhD, FRCS, FRCSI, FACS, FICS(Hon), FASMBS, FIMSA(Hon) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპლანტაციის ქირურგი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ზოგადი ქირურგი, კლივლენდის კლინიკა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); <http://orcid.org/0000-0001-9442-7950>

მამუკა ზოკუჩავა: პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე. <https://orcid.org/0000-0002-6719-1302>

მერაბ კილაძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აშშ-ს, საერთაშორისო, ევროპის და რუსეთის ქირურგთა ასოციაციების წევრი, ქირურგი, კლინიკა გიდმედის ქირურგიული სამსახურის უფროსი.

გოგი (გიორგი) ზოჭორიშვილი: პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი, თბილისი, საქართველო

ნინო კიკნაძე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს გარემოს დაცვის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის ქიმიის საზოგადოების (ACS) წევრი, ბათუმი, საქართველო <https://orcid.org/0000-0001-7864-3899>

ტექსტის რედაქტორი:

მარიამ ჩაჩანიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის სპეციალისტი

მიხეილ ერგემიძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინფორმატიკის ბაკალავრი.

ვებ რედაქტორი:

გიორგი ბანეთიშვილი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

სარჩევი

იოსები ქართველიშვილი, მაია ოხანაშვილი, ინგა აბულაძე, ნინო ჩორხაული, მიხეილი დარჩაშვილი - ქსელური შეტევების აღმოჩენის არსებული სისტემების მიმოხილვა და ანალიზი-----	1-10
მარიამ ფირანიშვილი, თამარ რევაზიშვილი - პერსონალური მონაცემის დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეწონადობა, როგორც ღია მმართველობის ინსტრუმენტი-----	11-17
Zumrud Malikova - Russia's South Caucasus Policy In The Context Of Geopolitical Interests-----	18-26
ელენე ფანცხავა, მაკა ჯიშკარიანი, ბექა ჩოგოვაძე - ბიოსაწვავის წარმოების აქტუალური სტრატეგიები, თერმული გამოყენების მიღწევები და შესაძლებლობები-----	27-35
თამარ ნიკოლაიშვილი, ციცილო ფარულავა, ინგა მამუჩიშვილი, ნინო ქანთარია, გიორგი ბურკაძე - იმუნოკომპეტენტური უჯრედების ცვლილებების დინამიკა დუოდენიტებისა და ცელიაკიის დროს-----	36-49
მაია ლომსაძე-კუჭავა, თამარ წერეთელი, ლალი ხუნწარია - ენერგოკომპანიებში წარმატებული მენეჯმენტი იცხაკ ადიზევის მიხედვით---	50-62
Emeliane Gogilidze, Natia Gogilidze - Using Artificial Intelligence in Supply Chain---	63-70
ანა ფანცხავა, ნიკოლოზ კინტარია, ნინო ქანთარია, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე - ენდოცერვიქსის ატიპური ჰიპერპლაზია - ადენოკარცინომის მოლეკულურ მახასიათებლებთან, პროგრესიისა და მეტასტაზირების რისკთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები-----	71-82
Dali Kamadadze, Davit Baratasvili, Aleko Kalandia - Red Pigment of Camellia japonica „Margaret Walker“ Flower-----	83-89
ოლიკო მურღულია, გიორგი თევდორაშვილი, ნინო თევზაძე, გიორგი ბურკაძე - ქრონიკული ენდომეტრიტების ფენოტიპურ თავისებურებებთან, პერსისტენციისა და პროგრესიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები-----	90-99
ნინო გიორგიშვილი, საბა პატარქალიშვილი - საქართველოში მწვანე წყალბადის სადგურის მშენებლობისთვის მთავარი კომპონენტების შერჩევა და მისი ეფექტიანობა-----	100-117
მარიამ ბენიძე, ნანული ბულისკერია, ნათია საყვარელიძე, ალლა ბერეზნიაკოვა, ეთერ ქემერტელიძე - მცენარე Paliurus spina-christi Mill. - ძებვის თესლების ნეიტრალური ლიპიდების ქიმიური შედგენილობა და ბიოლოგიური აქტიობა-----	118-122
ბექა დანგაძე, გიორგი დიდავა, ანანო ბაწელაშვილი, გიორგი ბურკაძე - კუჭის კიბოსა და კიბოსწინარე პროცესების ფენოტიპური თავისებურებებისა და პროგრესიის მახასიათებლების პრობლემური საკითხები-----	123-132
თეონა მატარაძე, შორენა თურქიაშვილი, ელენე ელიკაშვილი - მიგრაციიდან რეინტეგრაციამდე: ქართველ ქალების პოსტ საემიგრაციო გამოცდილების შესწავლა-----	133-161

გიორგი გოროშიძე - საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული სამსახური როგორც აკადემიური კადრების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტი-----	162-179
Nino Kakhurashvili - Information and Digital Technology in the process of learning---	180-186
Emeliane Gogilidze, Natia Gogilidze - The role of green logistics in the sustainable development of the economy-----	187-194
გელა ღვინევაძე, ნანი გიორგაძე - სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის ზოგიერთი გამოცდილების შესახებ-----	195-205
ალექსანდრე ვანიშვილი, სოფიკო კვინიკაძე - პოლი(ამიდ-თანა-ესტერ ამიდები)ს სინთეზი და წინასწარი დასკვნები-----	206-214
გიორგი პიტურიშვილი, მაკა პოპიაშვილი, ლექსო ტლაშაძე, ნინო ნიკოლეიშვილი, ელენე კაცაძე - პოტენციური შეუღლებული ორგანული ლუმინოფორების სინთეზი 2-პ-ბიფენილინდოლების საფუძველზე-----	215-220
Tsotne Samadashvili - The Role of Georgian Endemic Wheat Species in Biodiversity of Wheat-----	221-224
ნოდარი შოშიტაშვილი, გულნარი ჩხუტიაშვილი - ქართული ხორბალი და მისი მოხმარების სოციალურ-კულტურული ასპექტები-----	225-232
მაია ლომსაძე-კუჭავა, თამარ წერეთელი, ნინო გიორგიშვილი, ხათუნა გიორგაძე, გიგა ჯოჯუა - ენერგეტიკა და ახალი ტექნოლოგიები-----	233-247
ლელა ებრალიძე, ეთერ ჭურაძე - ედგარ ალან პოს „ელდორადო“ ქართულ თარგმანებში-----	248-254
მერაბ ბარათაშვილი, ელენე გამყრელიძე, თორნიკე ბარათაშვილი - საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესით გარემოზე ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები-----	255-260
გიორგი გოროშიძე - პიროვნების იერარქიული სტრუქტურა და გამოყენება პრაქტიკაში-----	261-279
ეკატერინე გიგაური, მარიამ გერსამია - შშმ პირების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში-----	280-314
გელა ღვინევაძე, ნინო ჩორხაული, თორნიკე შავიშვილი - „კრეატიული აზროვ- ნების საფუძვლების“ საგნის სწავლებისა და სახელმძღვანელოს შესახებ-----	315-327



ქსელური შეტევების აღმოჩენის არსებული სისტემების მიმოხილვა და ანალიზი

ქართველიშვილი იოსები¹, ოხანაშვილი მაია², აბულაძე ინგა³, ჩორხაული ნინო⁴,
დარჩაშვილი მიხეილ⁵

¹პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, s.qarTvelishvili@gtu.ge, ORCID: 0000-0001-9890-4099; ²ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, m.okhanashvili@gtu.ge,
³ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, i.abuladze@gtu.ge, ⁴ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, n.chorkhauli@gtu.ge; ინფორმატიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, misha8003123@gmail.com

აბსტრაქტი

დიდი ხნის განმავლობაში ტარდება კვლევები კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებზე თავდასხმების აღმოჩენის სფეროში. გამოკვლეული იქნა თავდასხმების ნიშნები, შემუშავდა და გამოიყენება უნებართვო შეღწევის მცდელობის გამოვლენის მეთოდები და საშუალებები უსაფრთხოების სისტემების საშუალებით, როგორც ინტერნეტის, ასევე ადგილობრივ, ლოგიკურ და ფიზიკურ დონეზე. სხვადასხვა უცხოური კომპანიების (Cisco, Snort, ISS RealSecure, და ა.შ.) მიერ ადგილობრივ ბაზარზე შეტევების აღმოჩენის კომერციული სისტემები ფართოდ არის წარმოდგენილი. მრავალი ადგილობრივი მკვლევარი იყენებს უკვე ცნობილი სისტემების არქიტექტურულ ანალოგებსა და ტიპიურ გადაწყვეტილებებს.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა კომპიუტერულ ქსელებში უნებართვო შეჭრის ორგანიზების სხვადასხვა ტიპისა და მეთოდების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, შეტევების აღმოჩენის სისტემები ორგანიზაციების უსაფრთხოების ინფრასტრუქტურისთვის გახდა მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამას ხელს უწყობს დიდი რაოდენობით ლიტერატურული წყაროების, რთული მიდგომებისა და მეთოდების გამოჩენა საინფორმაციო სისტემებში შეტევების გამოვლენისათვის.

ნაშრომში წარმოდგენილი ქსელური შეტევების აღმოჩენის არსებული სისტემების მიმოხილვის მიზანს წარმოადგენს ამჟამად ხელმისაწვდომი შეტევების აღმოჩენის სისტემების IDS (Intrusion Detection System)-ების ფუნქციონალების გამოკვლევა და გამოყენებული შეტევების აღმოჩენის მეთოდების ნაკლოვანებებისა და მათი გამოყენებადობის უარყოფითი მხარეების გამოვლენა. თავდასხმის გამოვლენის არსებული სისტემების რეალიზაციები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: კვლევით და კომერციულ პროდუქტებად.

ყოველი ახალი კვლევითი პროექტი გამოირჩევა ანალიზის ახალი მეთოდების დანერგვითა და მონიტორინგის ობიექტების შესწავლის ახალი მიდგომებით, თუმცა ისინი სწრაფად მოძველებადია. კომერციული პროექტები (როგორცაა ISS RealSecure, Symantec Network Security, Cisco IPS და ა.შ.) მწარმოებლების მხარდაჭერის გამო უფრო დიდხანს რჩება აქტუალური. მწარმოებლები უზრუნველყოფენ მომხმარებლების მუდმივი მხარდაჭერას, ახალი შეტევების კვლევასა და ხელწერის განახლებებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ რომ კომერციული კვლევის შედეგების უმეტესობა არის ბოროტად გამოყენების გამოვლენის სისტემები, კერძოდ, ხელწერის სისტემები.

შეტევების აღმომჩენი სისტემები IDS წარმოადგენს პროგრამულ და აპარატურულ-პროგრამულ გადაწყვეტილებებს, სადაც კომპიუტერულ სისტემაში ან ქსელში მომხდარი მოვლენების შეგროვების, შენახვისა და ანალიზის (მონიტორინგის) პროცესები ავტომატიზებულიად ხდება, აგრეთვე ამ მოვლენებს ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევების ნიშნების ძიებაში დამოუკიდებლად აანალიზებს. ეს დაცვის სისტემები არსებობს როგორც პროგრამები, რომლებსაც შეტყობინების გამოტანა შეუძლიათ იმის შესახებ, რომ აღნიშნულ მომენტში ადგილი ჰქონდა ქსელურ შეტევას. სისტემები, რომლებიც გამოიყენება ქსელური შეტევების დასადგენად მხოლოდ ერთ კონკრეტულ ამოცანას აგვარებს - დაცვა გარე შემტევი პირისგან, რომელიც ცდილობს გვერდი აუაროს დაცვის სისტემებს და მოიპოვოს წვდომა ადგილობრივ ლოკალურ ქსელზე, მაგრამ შიდა საფრთხეების განხორციელებისგან დაცვის პრობლემა გადაუჭრელ ამოცანად რჩება.

ყველა ცნობილი IDS პირობითად იყოფა სამ კლასად:

- ქსელური IDS (ქსელზე დაფუძნებული (Network-based) IDS, NIDS);
- კვანძოვანი IDS (ჰოსტზე დაფუძნებული (Host-based) IDS, HIDS);
- ჰიბრიდული IDS (ჰიბრიდული (Hybrid) IDS).


კვანძოვანი IDS-ები შეიძლება დაიყოს კიდევ ორ ქვეკლასად: სისტემის დონის IDS და განაცხადის დონის IDS (აპლიკაციაზე დაფუძნებული (application-based) IDS).

საკვანძო სიტყვები: შეტევების აღმომჩენი სისტემა Snort. შეტევის აღმომჩენი სისტემა Bro. შეტევის აღმომჩენის სისტემა STAT. შეტევის აღმომჩენი სისტემა Prelude. შეტევების აღმომჩენი სისტემა OSSEC. აპარატურულ-პროგრამული საშუალება Cisco Secure IPS. შეტევების აღმომჩენი სისტემა RealSecure (IBM ISS). შეტევების აღმომჩენი სისტემა Symantec Network Security. სისტემა eTrust Intrusion Detection Computer Associates.

შეტევების აღმომჩენი სისტემა Snort

შეტევების აღმომჩენი სისტემა Snort თავისუფლად გავრცელებული ქსელის დონის თავდასხმის გამოვლენის სისტემას წარმოადგენს. პროგრამა მონაცემთა გადაცემის პროტოკოლებს ანალიზებს, სხვადასხვა შეტევებს აფიქსირებს, მაგალითად, ბუფერის გადავსებას, ქსელის სკანირებას, CGI შეტევებს, ოპერაციული სისტემის დადგენის

მცდელობებს და ა.შ. Snort სისტემა ტრაფიკში თავდასხმების მოსაძებნად იყენებს სპეციალურ წესებს. პროგრამა 3 რეჟიმში მუშაობს: sniffer, packet logger და network intrusion detection system. პირველ შემთხვევაში, სისტემა ასკანირებს პაკეტებს ქსელის დონეზე და მათ შესახებ აჩვენებს ინფორმაციას კონსოლში, მეორეში იგი წერს დისკზე ჟურნალის ფაილებს, მესამეში შეტევის ხელმოწერების შესატყვისად აანალიზებს ქსელის ტრაფიკს და აგზავნის მათ სიგნალს.



ნახ.1

ყველა აღმოჩენილი ხელმოწერა ერთ კონფიგურაციის ფაილშია აღწერილი. ყველა რეგისტრირებული მოვლენა შეიძლება ჩაიწეროს, როგორც საკუთარ ჟურნალსა ან ოპერაციული სისტემის ჟურნალში, ასევე მონაცემთა ბაზაში (MSSQL ან Oracle)

შეტევის აღმომჩენი სისტემა Bro

შეტევის აღმოჩენის სისტემა **Bro** წარმოადგენს კვლევის ინსტრუმენტს, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ლივერმორის ეროვნული ლაბორატორიის მიერ. იგი შეიქმნა პრობლემების შესასწავლად ქსელის შეტევის აღმოჩენის სისტემების შეცდომის ტოლერანტობისთვის. სისტემის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

- **გადატვირთულობის კონტროლი** - გამტარუნარიანობის შემცირების გარეშე დიდი რაოდენობით მონაცემთა გადაცემის უნარი. თავდამსხმელს შეუძლია ქსელის გადატვირთვა სცადოს უცნობი პაკეტებით, რათა გამორთოს შეჭრის აღმოჩენის სისტემა. ამ შემთხვევაში IDS იძულებული იქნება გარკვეული პაკეტები გადასცეს, რომელთა შორის შეიძლება იყოს თავდამსხმელების მიერ ქსელში შეღწევის მიზნით შექმნილი პაკეტები;

- **რეალურ დროში შეტყობინება.** ასეთი შეტყობინება ხორციელდება დროული ინფორმაციისა და რეაგირების მოქმედებების მომზადებისთვის;

- **გამოყოფის მექანიზმი.** მონაცემთა ფილტრაციის, მოვლენის იდენტიფიკაციისა და რეაგირების პოლიტიკის გამოყოფა მნიშვნელოვნად ამარტივებს სისტემის მუშაობას;

- **მასშტაბურობა.** ახალი დაუცველობის იდენტიფიცირებისა და ცნობილი ტიპის თავდასხმებისგან თავის დასაცავად, ის იძლევა შესაძლებლობას, რომ შიდა სკრიპტების ბიბლიოთეკაში სწრაფად დავამატოთ თავდასხმის სკრიპტები;

- **თავდასხმებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი.** კომპლექსური თავდასხმის სცენარები მოიცავს ქსელური შეტევის აღმოჩენის სისტემაზე გავლენის მომხდენ ელემენტებს. სისტემის იერარქიული არქიტექტურა სამი დონის ფუნქციით განისაზღვრება. ქვედა დონეზე, ქსელიდან მონაცემთა პაკეტის ამოსაღებად **Bro** იყენებს libpcap პროგრამას. მეორე დონეზე (მოვლენის გენერაცია) ხორციელდება პაკეტის მთლიანობის შემოწმება სათაურზე. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, გენერირდება შესაძლო პრობლემის შესახებ შეტყობინება. შემდეგ იწყება გადამოწმების პროცედურა და დგინდება, პაკეტის სრული შიგთავსი რეგისტრირებულია თუ არა. ასევე პერსონალური სკრიპტირების ენა ხელმისაწვდომია. სისტემას წინასწარ დაწერილი უსაფრთხოების პოლიტიკის ნაკრები გააჩნია. **Bro**-ს პაკეტში ასევე შედის თავდასხმის ხელწერების ძებნის მექანიზმი.

Bro სისტემის ადმინისტრატორის მიერ მოწოდებული პოლიტიკის სკრიპტის მეშვეობით იფილტრება მოვლენების მენეჯერის მიერ გენერირებული მოვლენები. **Bro** სისტემა snort2bro უტილიტას მოიცავს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვთარგმნოთ Snort ხელწერები **Bro** სკრიპტებში, რაც ასევე საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ხელწერის ოპტიმიზაცია. **Bro** სისტემა მაღალი სიჩქარით შეჭრის გამოვლენას ახორციელებს მაღალი გამტარუნარიანობის ქსელის ბმულებზე.

შეტევის აღმოჩენის სისტემა STAT

შეტევის აღმოჩენის სისტემა **STAT** ექსპერიმენტული საუნივერსიტეტო პროდუქტი და ერთ-ერთი "უძველესი" სისტემაა. **STAT** სისტემა შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: **STAT Framework** - **STAT** ბირთვი მოვლენის დამუშავებისთვის; **MetaSTAT** ინფრასტრუქტურა - მონიტორინგის და ადმინისტრირების ინსტრუმენტები **STAT** სენსორული ქსელისთვის; **NetSTAT** - ქსელის სენსორი **UNIX** სისტემებისთვის; **USTAT** - კვანძოვანი სენსორი **OS Sun Solaris**-ისთვის; **LinSTAT** კვანძოვანი სენსორი **Linux** სისტემებისთვის; **WinSTAT** - კვანძოვანი სენსორი **Windows** სისტემებისთვის; **logSTAT** - კვანძის სენსორი **UNIX syslog** ჟურნალების ანალიზისთვის; **alertSTAT** - მაღალი დონის მოვლენის კორელაციის სენსორი; **web STAT** არის კვანძოვანი სენსორი **Apache ვებ-სერვერისთვის**.

პროექტის **STAT** კვლევა რეალურ დროში თავდასხმის გამოვლენაზეა ფოკუსირებული. გაანალიზებულია სისტემების მდგომარეობა და მათში გარდამავალი პროცესები. მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედებების გარკვეული თანმიმდევრობა, რომელიც ცალსახად მიუთითებს თავდამსხმელის არსებობაზე, სისტემას გადაიყვანს საწყისი (ავტორიზებული) მდგომარეობიდან არავტორიზებულ მდგომარეობაში.

ცენტრალიზებული ქსელური თავდასხმის აღმოჩენის სისტემების უმეტესობა თავდასხმის ფაქტს განსაზღვრავს „აუდიტის ბილიკის“ საფუძველზე. STAT-ში მოდული "Audit Analyzer Trace" ფილტრავს და აჯამებს ამ ინფორმაციას. შედეგებს, რომლებიც გადაკეთებულია ანალიზისთვის მოსახერხებელ ფორმაში, ეწოდება ხელმოწერები და STAT მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.


სისტემის მდგომარეობის შესახებ ახალი ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, დასკვნის ბლოკი განსაზღვრავს მდგომარეობის ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას და ფაქტების ბაზას განაახლებს. დასკვნის ბლოკი აცნობებს სპეციალისტს უსაფრთხოების შესაძლო დარღვევების შესახებ. თავის მხრივ სპეციალისტი, აცნობებს ადმინისტრატორს არანორმალური სიტუაციის შესახებ ან თავად იწყებს აუცილებელ მოქმედებებს.

შეტვის აღმომჩენი სისტემა Prelude

შეტვის აღმომჩენი სისტემა Prelude არის სრულფასოვანი ჰიბრიდული IDS (Intrusion Detection System). Prelude სისტემა შექმნილია GNU/Linux კომპიუტერებზე გასაშვებად. Prelude სისტემა გვაძლევს საშუალებას თვალყური ვადევნოთ როგორც ქსელში, ასევე ადგილობრივ კომპიუტერებზე მომხდარ მოვლენებს, რაც შეჭრის მცდელობის გამოვლენის ალბათობას ზრდის. გამოვლენის მეთოდად გამოიყენება ხელწერისა და პროტოკოლების სტატისტიკური ანალიზი. სისტემა აკავშირებს მესამე მხარის სენსორებს, ხოლო ინფორმაცია მათგან უნდა იყოს IDMEF (Intrusion Detection Message Exchange Format) ფორმატში. Prelude სისტემა ქსელის დონეზე მუშაობისთვის იყენებს IDS Snort-ს, როგორც ქსელის სენსორს.

შეტევების აღმომჩენი სისტემა OSSEC

სისტემა OSSEC წარმოადგენს კვანძოვან IDS-ს. OSSEC-ის მთავარი მიზანი UNIX OS ჟურნალების, ტიპიური აპლიკაციების, ფაიერვოლების ანალიზია. OSSEC მოიცავს ანალიზატორების კომპლექტს მონაცემთა სხვადასხვა წყაროსთვის, ცნობილი ტროას სანიშნეების ხელწერებს, ფაილური სისტემის მთლიანობის კონტროლსა (rootkits) და სხვა. ფუნქციონირება ლოკალური ჟურნალების ანალიზის შესაძლებლობას მოიცავს, როგორც OS დონეზე, ასევე ცალკეულ აპლიკაციებში, მაგალითად: SSH, MS Exchange, Sendmail, Apache, ARP Watch, IIS, FTPD, Squid. OSSEC სისტემა ახორციელებს მოვლენების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, რომლებიც მოდის სხვა სისტემებიდან, ფაიერვოლებიდან, კვანძებიდან დაყენებული OSSEC აგენტებით, ქსელის IDS-ებიდან. შეტყობინებები საეჭვო ქმედებების შესახებ XML ფორმატში არსებული წესების საფუძველზე გაიცემა. OSSEC სისტემას გააჩნია კრიტიკული ფაილების თვალყურის დევნების საშუალება: ნებართვები, მფლობელები და ფაილის ზომები. სერვერზე ყველა ამ მნიშვნელობის მონაცემთა ბაზა ინახება.



ნახ.2

OSSEC-ს შეუძლია ფაილურ სისტემაში შეცდომების აღმოჩენა ფაილების ხელწერის სკანირებით. სისტემის ბირთვის დონეზე უცნობი სანიშნეების გამოსავლენად IDS მოიცავს ანომალიების აღმოჩენის ინსტრუმენტებს. ასეთი სისტემის არქიტექტურის გაფართოება თავდასხმის ცოდნის ბაზის თვალსაზრისით სირთულეს წარმოადგენს.

აპარატურულ-პროგრამული საშუალება Cisco Secure IPS

Cisco Secure IPS ოჯახი, ცნობილი როგორც NetRanger, შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

- Cisco Secure IDS 4000 სერიის მოწყობილობები;
- Cisco IOS OS გაფართოებები;
- Cisco Catalyst 6000 IDS Module დაფები;
- Cisco Secure Integrated Software (Cisco IOS Firewall Feature Set);
- Cisco Secure IDS დირექტორი.
- Cisco Secure Policy Manager;

პირველი სამი კომპონენტი ქსელის დონეზე განხორციელებული შეტევების გამოვლენაზე და მათზე რეაგირებაზეა პასუხისმგებელი, ხოლო ბოლო ორი ამ ინსტრუმენტების მართვაზეა პასუხისმგებელი. ამ გადაწყვეტილებებს აქტიური რეაგირების უნარი არ აქვთ. მთავარი რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან არის აღმოჩენილი ხელმოწერების რაოდენობა. მარშრუტიზაციის ან გადართვის ფუნქციების დამცავ მექანიზმებთან გაერთიანების მცდელობები ქსელური აღჭურვილობის მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს.

შეტევების აღმოჩენილი სისტემა RealSecure (IBM ISS)

ამ სისტემამ ქსელში შეჭრის აღმოჩენის სფეროში დიდი ნაბიჯი გადადგა და ლიდერია შეჭრის აღმოჩენის სისტემების დანერგვაში. დღეს Real Secure კომპანია ეკუთვნის IBM-ს. RealSecure სისტემა ეფუძნება რეალურ დროში ქსელის პაკეტის ანალიზისა და კვანძების

ჟურნალის ანალიზის ტექნოლოგიას. ეს გამოსავალი როგორც მთელი ქსელის სეგმენტის, ასევე მისი კონკრეტული კვანძის დაცვაზეა ორიენტირებული.

სისტემა აღმოაჩენს როგორც გარე, ასევე შიდა თავდასხმებს, რომლებიც მიზნად ისახავს აპლიკაციის სერვერებს, ვებ სერვერებს, მონაცემთა ბაზებს, სამუშაო სადგურებს, მარშრუტიზატორებსა და ფაირვოლებს. RealSecure სისტემას აქვს სამი დონის არქიტექტურა და შედგება ქსელის სეგმენტების და ცალკეული სერვერების ამოცნობისა და ადმინისტრატორის მოდულისგან.

სეგმენტების ამოცნობის მოდული სპეციალიზებულ სამუშაო სადგურებზე მუშაობს. ის შეჭრის გამოვლენასა და რეაგირებაზეა პასუხისმგებელი. თითოეული ასეთი მოდული ქსელის კონკრეტულ სეგმენტში თავდასხმის ხელწერებისთვის აკონტროლებს ტრაფიკს. ქსელის მოდულს უკანონო ქმედების აღმოჩენისას შეუძლია უპასუხოს მას კავშირის გათიშვით, ელექტრონული ფოსტის ან პეიჯერის შეტყობინების გაგზავნით ან მომხმარებლის მიერ განსაზღვრული სხვა ქმედებებით. ის ასევე განგაშის სიგნალს აგზავნის ადმინისტრატორის განყოფილებაში ან მართვის პანელზე.

სერვერების ამოცნობის მოდული ქსელური მოდულის დამატებაა. ის ჟურნალის ფაილებს ანალიზებს თავდასხმის აღმოსაჩენად, ადგენს წარმატებული იყო თუ არა შეტევა, ასევე გვთავაზობს სხვა ინფორმაციას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი რეალურ დროში. თითოეული ასეთი მოდული სადგურზე ან სერვერზეა დაინსტალირებული და სრულად იკვლევს სისტემის ჟურნალის ფაილებს უსაფრთხოების დარღვევის კრიტერიუმებისთვის. ამ ტიპის მოდულები ხელს უშლიან შემდგომ შეჭრას მომხმარებლის პროცესების შეწყვეტითა და მომხმარებლის ანგარიშების შეჩერებით. მოდულს შეუძლია სიგნალიზაციის გაგზავნა, მოვლენების ჩაწერა და მომხმარებლის მიერ განსაზღვრული სხვა მოქმედებების შესრულება. ამოცნობის ყველა მოდული ადმინისტრაციული მოდულის მიერ ერთი კონსოლიდანაა გაერთიანებული და კონფიგურებული.

IDS-სა და IPS-ს შორის მთავარი განსხვავება ქსელთან მიმართებაში ინსტალაციაა: IDS უყურადებს ტრაფიკს SPAN პორტის, Hub ან TAP მოწყობილობის მეშვეობით და IPS თავისთავად გადის ტრაფიკს, რაც საშუალებას აძლევს IPS-ს გამოიყენოს ფილტრაციის წესები შეტევების დაბლოკვისა და თავდამსხმელის იზოლირებისთვის. IDS-ის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ ის არ ახდენს ქსელის შეფერხებებს. მაგრამ IDS-ის ნაკლოვანება არის ის, რომ თავდასხმების დაბლოკვის ერთადერთი შესაძლო მეთოდი არის TCP Reset პაკეტების გაგზავნა. გარდა ამისა, RealSecure Network Sensor-ს შეუძლია, რომ ხელახლა დააკონფიგურიროს Checkpoint Firewall-ის წესები OPSEC პროტოკოლის გამოყენებით.

შეტევების აღმოჩენის სისტემა Symantec Network Security

შეჭრის აღმოჩენის ინსტრუმენტი Symantec გვთავაზობს შეჭრის აღმოჩენის ორ პროდუქტს: Network Security 7100 Series და Critical System Protection პროგრამულ უზრუნველყოფას.

ეს ხელსაწყოები ახორციელებენ Symantec-ის საკუთრებაში არსებულ გამოვლენის ტექნოლოგიას - IMUNE™ (Intrusion Mitigation Unified Network Engine). IMUNE™ წარმოადგენს

რამდენიმე ძირითადი გამოვლენის ტექნოლოგიის კომბინაციას: ხელწერის ანალიზი, სერვისზე უარის თქმის (DOS) შეტევის გამოვლენა, ანომალიის გამოვლენა და სკანირების მცდელობები. თავდასხმის ჩაჭრის ტექნოლოგია Symantec უზრუნველყოფს მოწინავე მხარდაჭერის სერვისების მეშვეობით თავისი პროდუქციის ეფექტურობას, რომელიც უზრუნველყოფს დროულ ინფორმაციას თავდასხმების შესახებ. კომპონენტების მოხერხებულ განლაგებასა და ავტომატურად განახლების შესაძლებლობას LiveUpdate-ის გამოყენებით, რაც ხელმოწერის აღმოჩენის მეთოდებით წარმოადგენს თავდასხმის ეფექტური გამოვლენის მთავარი კრიტერიუმს.

სისტემა eTrust Intrusion Detection Computer Associates

კომპანიამ Computer Associates გამოუშვა eTrust Intrusion Detection (ყოფილი SessionWall) პროდუქტი, რომელიც LAN დაცვას და მონიტორინგს უზრუნველყოფს. ეს საკმაოდ მარტივი პროგრამული პროდუქტი თავდასხმის გამოვლენასა და ვებ ტრაფიკის კონტროლის მონიტორინგს უზრუნველყოფს.

მონაცემთა ბაზის გამოყენებით სისტემა ავტომატურად ამოიცნობს ჰაკერების მცდელობებს. eTrust Intrusion Detection-ის ვრცელი თავდასხმის ნიმუშის ბიბლიოთეკის განახლება რეგულარულად ხორციელდება. სისტემა ახორციელებს წვდომის კონტროლს - eTrust Intrusion Detection და იყენებს წესებს იმის დასადგენად, თუ რომელ მომხმარებელს, რომელ რესურსზე შეუძლია წვდომა.

სისტემას გააჩნია თავდასხმის შაბლონების ვრცელი ბიბლიოთეკა, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ავტომატურად გამოვლინდეს თავდასხმები, რომლებიც ემთხვევა რეგულარულად განახლებულ შაბლონებს. არსებობს ვირუსებისგან დაცვის მექანიზმი, რომელიც ინფიცირებული მონაცემების ჩამოტვირთვას ხელს უშლის.

სისტემა საშუალებას გვაძლევს საკვანძო სიტყვების შემცველი წესების გამოყენებით შევზღუდოთ წვდომა ინტერნეტ კვანძებზე. etrust ქსელის დატვირთვის კონტროლსაც ახორციელებს.

სისტემა ინახავს ქსელში ტრაფიკის რაოდენობრივ ჩანაწერს. eTrust Intrusion Detection პროდუქტი უზრუნველყოფს თავდასხმის გამოვლენასა და პასუხს შეტევებზე, ვირუსებისა და საშიში Java/ActiveX კომპონენტების გამოვლენას. ამავდროულად, კომპლექსი ახორციელებს ინფორმაციის შენახვას თავდასხმის შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის ორგანიზაციული ღონისძიებების გასატარებლად მის შემდგომ გამოყენებას.

სისტემა აგრეთვე უზრუნველყოფს მომხმარებლის მცდელობების იდენტიფიკაციას, გამოიცნოს სისტემაში შესვლის პაროლი და აკონტროლებს ასეთ მცდელობებს მათი ერთდროული რეგისტრაციით.

დასკვნა

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული სისტემებიდან არცერთს არ აქვს ყველა საჭირო პარამეტრის მონიტორინგის უნარი. ხოლო ეფექტური მუშაობისთვის შეჭრის აღმოჩენის სისტემას საჭიროა, რომ ჰქონდეს მაქსიმალური ინფორმაცია დაცული ქსელის

შესახებ, კერძოდ: შეეძლოს ქსელის ტრაფიკის, სისტემის სერვისების, პროცესების, სისტემის რეესტრის კონტროლი, სისტემისა და სხვა კრიტიკული ფაილების კონტროლი.

ეს გამომდინარეობს ინფორმაციისა და კომპიუტერულ ქსელებში მონაცემთა დამუშავების ამჟამად მიღებული მეთოდოლოგიიდან, რაც მრავალდონიანობას გულისხმობს. დამუშავების დროს ხორციელდება მონაცემების არაერთხელ გარდაქმნა ერთი ტიპიდან (ფორმატიდან) მეორეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოხერხებულობა კონკრეტული პროცესისთვის (ქსელის გადაცემა, მომხმარებლის ნახვა, ავტომატური კონვერტაცია, და ა.შ.).

ამის მაგალითს წარმოადგენს ქსელის პროტოკოლის დასტა. ამავდროულად, მონაცემთა ერთ დონეზე დაკვირვებით, შეუძლებელია, რომ დავასკვნათ, თუ როგორ იქნება ისინი წარმოდგენილი და ინტერპრეტირებული სხვა დონეზე. კომპიუტერულ სისტემებზე თავდასხმებმა შეიძლება ნებისმიერ დონეზე მოახდინოს გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართველიშვილი ი., ოხანაშვილი მ., ჩორხაული ნ. ქსელური შეტევების აღმოჩენის არსებული მეთოდების მიმოხილვა და ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში - 2023“ საქართველო, თბილისი 12-13 ოქტომბერი, 2023 წელი. გვ.410-416.
2. Ledesma, Josue. "IDS vs. IPS: What Is the Difference?" Inside Out Security, October 23, 2018. <https://www.varonis.com/blog/ids-vs-ips>.
3. Andersen, I. (2023, November 22). *Top 10 Most Common Types of Cyber Attacks*. <https://Blog.netwrix.com/>. <https://blog.netwrix.com/2018/05/15/top-10-most-common-types-of-cyber-attacks/#Birthday%20attack>

Review and analysis of existing systems for detecting network attacks

Summary

Research in the field of detection of attacks on computer networks and systems has been conducted for a long time. Signs of attacks have been investigated, methods and means of detecting unauthorized access attempts have been developed and used through security systems, both on the Internet and at the local, logical and physical levels. Commercial intrusion detection systems by various foreign companies (Cisco, Snort, ISS RealSecure, etc.) are widely represented in the local market. Many local researchers use architectural analogues and typical solutions of already known systems.

In recent years, the number of different types and methods of organizing unauthorized intrusion into computer networks has increased dramatically. Therefore, intrusion detection systems have become an important component of organizations' security infrastructure. This is facilitated by the

appearance of a large number of literary sources, complex approaches and methods for detecting attacks in information systems.

The purpose of the review of the existing network attack detection systems presented in the paper is to investigate the functionality of currently available IDSs and to reveal the shortcomings of the used attack detection methods and the disadvantages of their usability. Realizations of existing attack detection systems can be divided into two parts: research and commercial products.

Each new research project is distinguished by the introduction of new methods of analysis and new approaches to the study of monitoring objects, although they quickly become obsolete. Commercial projects (such as ISS RealSecure, Symantec Network Security, Cisco IPS, etc.) remain relevant longer due to the support of manufacturers. The manufacturers provide ongoing customer support, new attack research, and signature updates. Therefore, it can be noted that most of the commercial research results are abuse detection systems, namely handwriting systems.

Intrusion detection systems IDS (Intrusion Detection System) represent software and hardware-software solutions, where the processes of collection, storage and analysis (monitoring) of events occurring in a computer system or network are automated, and these events are independently analyzed in search of signs of information security violations. These protection systems exist as programs that can display a message that a network attack has occurred at that moment. Systems that are used to detect network attacks solve only one specific task - protection from an external attacker who tries to bypass protection systems and gain access to a local local network, but the problem of protection from internal threats remains an unsolved task.

All known IDS are conditionally divided into three classes:

- Network IDS (Network-based IDS, NIDS);
- Nodal IDS (Host-based IDS, HIDS);
- Hybrid IDS (Hybrid IDS).

Node IDS can be further divided into two subclasses: system level IDS and application level IDS (application-based IDS).

Keywords: Intrusion detection system Snort. Intrusion Detection System Bro. Intrusion detection system STAT. Prelude intrusion detection system. Intrusion detection system OSSEC. Hardware and software tool Cisco Secure IPS. Intrusion detection system RealSecure (IBM ISS). Intrusion detection system Symantec Network Security. System eTrust Intrusion Detection Computer Associates.

პერსონალური მონაცემის დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეწონადობა, როგორც ღია მმართველობის ინსტრუმენტი

მარიამ ფირანიშვილი¹, თამარ რევაზიშვილი²,

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, E-mail: piranishvilim@gmail.com (+995) 577158611, ²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული პრაქტიკა, იმ ორი სიკეთეს შორის ბალანსის დასადგენად, როგორცაა პერსონალური მონაცემის დაცვა და საჯარო ინფორმაციის გაცემა. გამოკვეთილია პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ემპირიული კვლევის შედეგები, გაანალიზებულია არსებული პრაქტიკა, ინფორმაციის როლი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება აწყდება ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით. კვლევის ამოცანები მოიცავდა საქართველოში არსებული საკანონდმებლო რეგულირებას და მის გამოყენებას პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის თავისუფლება, ღია მმართველობა.

რეგენზენტები:

ასოცირებული პროფესორი დავით მახვილამე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

E-mail: dmakhviladze@gtu.ge, (+995) 599024544

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge, (+995) 577213000

შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებულ მახასიათებელს წარმოადგენს სახელმწიფო გამჭვირვალობა, ხოლო ამ უკანასკნელის ერთერთი განმაპირობებელი ნიშანი კი ინფორმაციის თავისუფლებაა. ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს და განსაკუთრებული როლი უკავია სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში. საქართველოს კონსტიტუციით, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში მასზე არსებული ინფორმაციას აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებებს და პერსონალურ მონაცემებს. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების შიდასახელმწიფოებრივი გარანტიების მნიშვნელოვან დებულებებს, თუმცა პრაქტიკულად დაუცველია ამავე კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებით.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით შესწავლილია საქართველოში არსებული მარეგულირებელი ნორმები, მისი როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენების ხარისხი, გამოკვეთილია პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ემპირიული კვლევის შედეგები, გაანალიზებულია როგორც საჯარო ინფორმაციის როლი, ისე პერსონალური მონაცემი, როგორც დაბრკოლება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება აწყდება ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით. ემპირიული კვლევა ძირითადად დაეყრდნო თვისებრივი კვლევის მეთოდებს და მოიცავდა: საჯარო დაწესებულებების, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო სამართლის სუბიექტების, არასამთავრობო სექტორის და მოსახლების გარკვეული ნაწილის, გენდერის, ასაკობრივი ზღვარის, დასაქმების სტატუსის, რეგიონული გადასახლების და სოციალური სტატუსის თანაფარდობათა მაჩვენებლების გონივრული დაცვით გამოკითხვას ინტერვიუებით, ძირითადად ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. ინტერვიუების შინაარსი ითვალისწინებდა კიბერ სივრცეში არსებული საჯარო ინფორმაციის, ინფორმაციის თავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მოხმარების, ამ ჭრილში საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხის შესახებ მონაცემებისა და განწყობების შეგროვება/შესწავლას.

კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევამ აჩვენა, რომ ხშირად პერსონალური მონაცემის დაცვა წარმოადგენს ინფორმაციის ხელისაწვდომობის დამაბრკოლებელ გარემოებას. ხშირად ვერ ხდება ამ ორი სიკეთეს შორის ბალანსის დაცვა და სახეზე გვაქვს ერთი უფლების რეალიზაცია მეორე უფლების შეზღუდვის ხარჯზე. ამ ჭრილში, საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2023 წელს განხორციელებული ცვლილება: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის, თანახმად დამატებით განისაზღვრა პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები. ასევე 2023 წელს ამოქმედდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის სტანდარტი. 2023 წლის 13 ივნისს ცვლილება შევიდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში. ზემოხსენებული ცვლილების თანახმად, სასამართლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ამასთანავე, აღნიშნული სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტი შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება“.

საქართველოში არსებული პრაქტიკის განხილვა და გაანალიზება, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ხარისხის კვლევისათვის.

ნაშორში აქცენტები კეთდება კონკრეტულ მიმართულებებზე, რაც საჭიროა კვლევის ვიწრო ველში სამეცნიერო მიგნებებისა და დასკვნების გასაკეთებლად.

კვლევის პროცესში ჩატარებულ გამოკითხვებში, რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, ჯერ მაინც ვერ არის მიღწეული მიზანი, დადგინდეს ზღვარი პერსონალური მონაცემის დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის. ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ხშირად პერსონალური მონაცემის დაცვა ხდება, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე ან დადგენილი წესით გაცემაზე უარის მიზეზი.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, თანხვედრაშია ოფიციალურად არსებულ საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციასთან. საზოგადოებას შეეზღუდული ჰქონდა საქართველოს სახელით მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობის უფლება., პერსონალურ მონაცემების დაცვის არგუმენტაციაზე მითითებით. ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, ზემოხსენებული არგუმენტი ხდებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემასა, თუ პროაქტიულად გამოქვეყნებაზე უარის საფუძველი. არსებული პრაქტიკით დარღვეულია ბალანსი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის. უპირობო უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭებოდა და სწორედ განხორციელებული

ცვლილებები და მათი იმპლემენტაცია გვიქმნის მოლოდინს, რომ მოიძებნოს ბალანსი ამ ორი სიკეთის დაცვას შორის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მათ შორის:

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

სწორედ აღნიშნული დათქმების სწორი და ობიექტური განმარტებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება მოიძებნოს ის ოქროს შალედი რაც ამ ორი სიკეთის შორის დაადგენს ბალანსს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტების ხელმისაწვდომობასთან ერთად, უზრუნველყოფს იმ დოკუმენტების ღიაობას, რომლებიც საჯარო დაწესებულებებშია დაცული და არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას. საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაციის გარკვეული კატეგორიის ღიაობისადმი შესაძლოა არსებობდეს მომეტებული ინტერესი. აღნიშნულს განსაზღვრავს ინფორმაციის არსი და ის სიკეთე რის დაცვასაც ემსახურება კონკრეტული ინფორმაციის ღიაობა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის ერთ-ერთი გარანტია. საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანს ხშირად წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები. დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად საწყისს წარმოადგენს გამჭვირვალობა და ხალხის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებაში. დემოკრატიული სახელმწიფოს მოსახლეობა დაინტერესებულია ბიუჯეტის რაციონულად ხარჯვის გაკონტროლებით, ხოლო დემოკრატიული სახელმწიფო თავის მხრივ ანგარიშვალდებულია საკუთარი მოსახლეობისადმი. შესაბამისად აღნიშნულილ მიზნის მისაღწევად საჭიროა დაინტერესებულ პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რიგ შემთხვევებში შესაძლოა აღნიშნული დოკუმენტაცია შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს.

ზემოხსენებული განმარტებებიდან გამომდინარე, ცხადია რომ სახელმწიფოს აკისრია ერთმანეთთან შეპირისპირებული ვალდებულებები, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა საკუთარი მოსახლეობის მიმართ და ასევე პერსონალური ინფორმაციის დაცვა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ყოველ ჯერზე მიიღოს დაბალანსებული გადაწყვეტილება, რითაც დაცული იქნება ორივე სამართლებრივი ღირებულება.

ევროსაბჭოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტთა ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციით განსაზღვრულია, დოკუმენტთა საჯაროობისა და საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნული კონვენცია ვრცელდება ყველა იმ სუბიექტზე, რომელიც ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. აღსანიშნავია, რომ ინტერესის სფეროში შესაძლოა მოექცნენ კერძო სამართლის სუბიექტებიც, რომლებიც უფლებამოსულებას ახორციელებენ საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული კონვენციით განსაზღვრულია ინფორმაციის თავსუფლების შეზღუდვის საფუძვლები. ეს უკანასკნელი კი შეფასებულია როგორც „საჯარო ინტერესისა“ და „ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეული ზიანის ტესტი“, ანუ ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ აღნიშნულით ზიანი ადგება კანონით განსაზღვრულ ინტერესს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი.

კონვენციის თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული ორგანოს აკისრია ვალდებულება საჯარო გახადოს დოკუმენტში არსებული დანარჩენი ინფორმაცია.

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის მოსაზრების თანახმად საჯარო სექტორში გამჭვირვალობის მიზნით, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს კანონიერი ვალდებულების შესასრულებლად. მონაცემთა დამუშავება უნდა იყოს პროპორციული და უნდა ემსახუროდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს. მონაცემთა დამუშავება მიმდინარეობს საჯარო ინტერესის ფარგლებში, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გზით. მონაცემების დამუშავებისას, გათვალისწინებული და შეფასებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები: მონაცემთა სუბიექტის საჯაროობა, სახელმწიფო ფულის ხარჯვის უფლებამოსილება, მიღებული სარგებელი და ა.შ. აღნიშნული ემსახურება საჯარო ინტერესს - სახელმწიფო მმართველობაში სამოქალაქო ჩართულობას, საზოგადოებრივ კონტროლს.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, ისევე როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მათი შეზღუდვა და უპირატესად მოსაზრება წარმოადგენს, აღმასრულებელი სუბიექტის მნიშვნელოვან ვალდებულებას, შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა და განსაზღვროს ზღვარი მონაცემთა დაცვასა და ინფორმაციის ღიაობას შორის.

დასკვნა

ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევამ წარმოაჩინა საქართველოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემთა დაცვის ურთიერთგადაკვეთის პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოში, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში ღია მმართველობის ხარისხზე.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაემს შორის ბალანსის დადგენის მიზნით, არსებული პრაქტიკის გაანალიზებამ გამოკვეთა გამოწვევები, რომელსაც

აწყდება სახელმწიფო თუ საზოგადოება და გამოიხატება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალ ხარისხში.

კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციისა, დღემდე პრობლემატურია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში. უპირობო უპირატესობა ენიჭებოდა, პერსონალურ ინფორმაციის დაცვას და აღნიშნულის საფუძველზე იზღუდებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. თუმცა ბოლო დროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, განიმარტა, რომ ამ ორი უფლების გადაკვეთისას ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს კერძო და საჯარო ინტერესი. აუცილებელია აღნიშნულმა მიდგომამ მიიღოს გლობალური სახე და დადგინდეს შეწონადობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალური მონაცემის დაცვას შორის. უნდა შეფასდეს კერძო და საჯარო ინტერესი. ყურდასადებია, რომ ამ ეტაპზე მკვეთრი ცვლილება არსებულ პრაქტიკაში არ გვაქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი რეგულაციის იმპლემენტაცია საჭიროებს დროს. შესაბამისად საჭიროა მსგავს კვლევებს ჰქონდეს პერმანენტული ხასიათი, რათა მიღწეული იქნას დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ღია მმართველობის მიზნები. აღნიშნულით სახეზე გვექნება სახელმწიფო რესურსის განკარგვის ეფექტიანი კონტორლი, აცილებული იქნება კერძო ინტერესის გავლენა საჯარო მმართველობაზე, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ნდობას ხელისუფლების მიმართ.

ბიბლიოგრაფია

ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ. ნაჩმიასი დ. . (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში*. თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის N02/2016 მოსაზრება

ევროპის საბჭოს კონვენცია „ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.

Balancing personal data protection and public access to information as an open governance tool

Mariam Phiranishvili¹, Tamar Revazishvili²

¹Georgian Technical University, PhD Student of the Faculty of the Business Technology, E-mail: piranishvilim@gmail.com, (+995) 577158611, ²Georgian Technical University, Faculty of the Business Technology, visiting professor

Abstract

The article discusses the existing practice in Georgia to determine the balance between the two goods, such as the protection of personal data and the release of public information. The problems that affect the quality of freedom of information and provision of public information in Georgia are highlighted. For this purpose, the results of the empirical research are discussed, the current practice is analyzed, the role of information in ensuring the availability of public information, and the main challenges that the state and society face in terms of freedom of information are highlighted. The research objectives included the existing legislative regulation in Georgia and its application in practice.

Key words: Personal Data, Access to the Information; public government, Freedom of Information.

Reviewers:

Associate Professor Davit Makhviladze, Head of the Quality Assurance Service of the Georgian Technical University.

E-mail: dmakhviladze@gtu.ge

(+995) 599024544

Associate Professor Merab khokhobaia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Economics and Business

E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge

(+995) 577213000

Russia's South Caucasus Policy In The Context Of Geopolitical Interests

Zumrud MALIKOVA

Associate Professor of Baku Slavic University, PhD in Political Science, zumrud.melik@gmail.com,
Baku, Azerbaijan;_ORCID ID: 0009-0001-1282-888X

Annotation

At the onset of the 21st century, a shift in ruling power within Russia prompted a noticeable transition in the theoretical underpinnings of the state's foreign policy—from Westernism to neo-Eurasian ideologies. This article delves into the evolving geopolitical landscape following the Cold War across the former USSR, highlighting the intersecting interests of Russia with both international and regional stakeholders in the South Caucasus. Examining the historical backdrop of geopolitical rivalries in the region alongside pertinent political and economic dimensions, the piece scrutinizes Russia's South Caucasus policy and its theoretical framework, rooted in Defensive and later Offensive realism. Furthermore, it probes into the drivers behind Russia's assertive stance in its South Caucasus policy, analyzing the methods and strategies employed to combat contemporary security threats while unraveling Russia's geopolitical ambitions in the region. The main conclusion of the article is that Russia, which considers the South Caucasus as a vitally important region, tries to maintain its presence in the region in order to secure its geopolitical interests, and creates obstacles for the strengthening of other actors in this region.

Keywords: *South Caucasus, Russia, foreign policy, geopolitical interests, geopolitical competition.*

Introduction

The South Caucasus (SC) has long been a focal point in regional geopolitics, owing to its geostrategic location and historical significance, which have rendered it a prime target for expansion by major powers. Historically, the SC served as a geopolitical battleground between the Safavid State and the Ottoman Empire during the late Middle Ages, and later between the Russian Empire, Ottoman Empire, and Iran. In the first half of the 19th century, the Russian Empire secured full control over the region, a dominance that persisted until the end of World War I. However, the tide turned with the

February Revolution in Russia, followed by the Bolshevik coup, fundamentally altering the political landscape and geopolitical dynamics in the SC.

While the peoples of the SC briefly tasted independence, Bolshevik occupation swiftly stripped them of sovereignty, subjecting them to 70 years of totalitarian rule under the Soviet Union. The isolationist policies of the Union republics stifled the flourishing of international relations, relegating the region to authoritarian control under Soviet hegemony. Nevertheless, with the collapse of the Soviet Union, new geopolitical realities dawned upon the post-Soviet territory. The SC states, newly sovereign following the dissolution of the Soviet bloc, emerged as independent actors in the arena of international relations.

Although Russia continued to regard the SC as within its sphere of influence, serving as the primary economic and trading partner for regional countries, its erstwhile political dominance waned. The activities of international and regional actors, each pursuing diverse interests within the SC, posed a perceived threat to Russia's influence in the region. Under the presidency of Boris Yeltsin, the Western-oriented, defense-centric realism-based foreign policy gave way to a more assertive realism approach under Vladimir Putin's leadership.

Russia, deeming the SC its "backyard," perceives the burgeoning influence of other actors in the region as antithetical to its geopolitical interests, and thus, unacceptable.

ქრონიკული ენდომეტრიტი განიმარტება, როგორც ენდომეტრიუმის მსუბუქად მიმდინარე პერსისტული ანთება, რომელიც ჰისტოლოგიურად ხასიათდება ენდომეტრიუმის სტრომაში ანთებითი უჯრედების არსებობით, მათ შორის პლაზმური უჯრედების, ლიმფოციტების, ეოზინოფილებისა და ლიმფოიდური ფოლიკულებისაგ კი. ქრონიკული ენდომეტრიტის დიაგნოსტიკა რთულია სხვადასხვა მიზეზების გამო. პაციენტთა უმრავლესობა უსიმპტომოა და ულტრაბგერითი მახასიათებლები არასპეციფიკურია. მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ხშირად არ არის ინფორმატიული, რადგან პათოგენების უმეტესობა არაკულტივირებადია. ქრონიკული ენდომეტრიტი შეიძლება დიაგნოსტირდეს ჰისტეროსკოპიით, ენდომეტრიუმის სპეციფიკური ცვლილებების გამოვლენის საფუძველზე, როგორცაა კეროვანი ან დიფუზური ჰიპერემია, სტრომული შეშუპება და მიკროპოლიპები. პლაზმური უჯრედების ჰისტოპათოლოგიური იდენტიფიკაცია ენდომეტრიუმის ბიოფსის ნიმუშებში განიხილება ქრონიკული ენდომეტრიტის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ქრონიკული ენდომეტრიტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ენდომეტრიოზთან, თუმცა ამ მიმართულების კვლევები ძალიან მწირია. ქრონიკული ენდომეტრიტის პერსისტენციისა და პროგრესიის საკითხის გარშემო არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რაც დამატებით კვლევებს მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ქრონიკული ენდომეტრიტი; პლაზმური უჯრედები;

ქრონიკული ენდომეტრიტი განიმარტება, როგორც ენდომეტრიუმის მსუბუქად მიმდინარე პერსისტული ანთება, რომელიც ჰისტოლოგიურად ხასიათდება ენდომეტრიუმის სტრომაში ანთებითი უჯრედების არსებობით, მათ შორის პლაზმური უჯრედების, ლიმფოციტების, ეოზინოფილებისა და ლიმფოიდური ფოლიკულებისაგ კი.(1,2) სხვა ჰისტოლოგიური მახასიათებლები მოიცავს ზედაპირულ შეშუპებას, სტრომის სიმკვრივის მომატებასა და

ენდომეტრიუმის ეპითელიუმისა და სტრომის არასინქრონულ დიფერენციაციას. არსებული ანთებითი პროცესის გამომწვევი მიზეზი ბოლომდე ცნობილი არ არის. ქრონიკული ენდომეტრიტის შემთხვევათა ნაწილი რეგრესიას განიცდის ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ, რის საფუძველზეც შესაძლოა ინფექციური ეტიოლოგია ვივარაუდოდ.(3) შემთხვევათა ნაწილი, რომლებიც რეზისტენტულია ანტიბიოტიკების მიმართ, სავარაუდოდ, სხვა ეტიოლოგიური აგენტის მოქმედებით ხასიათდებიან. ჯერ-ჯერობით, დიაგნოსტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლება ენდომეტრიუმის სტომაში პლაზმური ურჯედების არსებობა.(4-6) პლაზმური უჯრედი წარმოადგენს B ლიმფოციტის დიფერენცირებულ ფორმას, რომელსაც აქვს უნარი მოახდინოს იმუნოგლობულინების, ანუ ანტისხეულების წარმოქმნა და შესაბამისად, ჩართულია ჰუმორულ იმუნიტეტში. ქრონიკული ენდომეტრიტი ხშირად ასოცირდება უნაყოფობასთან, ენდომეტრიოზთან, იმპლანტაციის დარღვევებთან, სპონტანურ აბორტთან, სამეანო გართულებებთან როგორცაა პრეეკლამპსია, ნაადრევი მშობიარობა; ასევე დღენაკლულ ახალშობილებში ნეონატალურ დაავადებებთან, მათ შორის პერივენტრიკულურ ლეიკომალაციასთან (1, 2).

ანთებითა პროცესებმა, რომლებიც აზიანებენ ენდომეტრიუმის ღრუს, შესაძლოა გავლენა იქონიონ განაყოფიერებელი კვერცხუჯრედის იმპლანტაციაზე, შედეგად კი უნაყოფობა ან სპონტანური აბორტის მიზეზი გახდეს (3, 4). ფიზიოლოგიურად, ენდომეტრიუმის სტრომაში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის იმუნოკომპეტენტური უჯრედები, მათ შორის ბუნებრივი კილერები (NK უჯრედები), მაკროფაგები, T-უჯრედები, ნეიტროფილები. ეს შემადგენლობა და უჯრედთა რაოდენობა იცვლება მენსტრუალური ციკლის განმავლობაში (7). მაშინ როცა პროლიფერაციულ და ადრეულ სეკრეტორულ ფაზაში ლეიკოციტების შემცველობა არ აღემატება სტრომული უჯრედების 10%-ს, მათი რიცხვი დრამატულად იმატებს შუა სეკრეტორული ფაზიდან და მაღალი რჩება გვიან სეკრეტორულ ფაზასა და ორსულობის ადრეულ პერიოდში. ამ უჯრედული სუბპოპულაციების ციკლ-დამოკიდებული ცვლილება გადამწყვეტ როლს თამაშობს იმპლანტაციის პროცესში. არსებული კვლევების მიხედვით, ენდომეტრიუმის ლეიკოციტური პოპულაცია მორეციდივე სპონტანური აბორტების შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდება იმ ქალების შესაბამისი პოპულაციისაგან, რომლებიც ნაყოფს ვადამდე ინარჩუნებენ. ენდომეტრიუმის სტრომაში წარმოდგენილი იმუნური უჯრედული პოპულაციიდან, NK-უჯრედებისა და პლაზმური უჯრედების გაზრდილი რაოდენობა ასოცირებულია მორეციდივე სპონტანურ აბორტთან, იმპლანტაციის შეუძლებლობასთან ან *in vitro* განაყოფიერების წარუმატებლობასთან. ზოგადად, ზემოთ ხსენებული მიზეზი ხშირად არის საშვილოსნოს ანატომიური დეფექტები, მშობლის კარიოტიპის ცვლილებები, სისხლის შედედების დარღვევები, როგორცაა C ცილის დეფიციტი, ლეიდენის V ფაქტორის მუტაცია და ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი. თუმცა, სპონტანური აბორტისა და წარუმატებელი *in vitro* განაყოფიერების შემთხვევების 50%-ში პრობლემის მიზეზი აუხსნელი რჩება და შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქრონიკულ ენდომეტრიტთან.

უნაყოფობა შედარებით ხშირი გინეკოლოგიური პრობლემაა, რომლის სიხშირეც ბოლო წლებში თანდათან იმატებს. კვლევებმა ცხადყო, რომ ქრონიკული ენდომეტრიტის სიხშირე უნაყოფო პაციენტებში მერყეობს 0,2%-დან 46%-მდე. კვლევებით ასევე დადგენილია, რომ in vitro განაყოფიერების შემდგომ იმპლანტაციის დეფექტების დროს ქრონიკული ენდომეტრიტის სიხშირე შეადგენდა 14%-ს და ენდომეტრიტის მკურნალობის შემდგომი იმპლანტაციის ზოგადი მაჩვენებელი 11.5%-ს აღწევს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, სადაც ენდომეტრიტის არსებობა არ დასტურდება (32,7%) (8).

უნდა აღინიშნოს, რომ იმპლანტაცია წარმოადგენს ბლასტოციტსა და ენდომეტრიუმს შორის კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგს (9). ამ კავშირში უამრავი სხვადასხვა სასიგნალო გზა მონაწილეობს და წარმატებული იმპლანტაციისათვის აუცილებელია ენდომეტრიუმის შესაბამის მდგომარეობაში არსებობა. ეს არასტაბილური ბალანსი მარტივად შეიძლება დაირღვეს, როგორც ემბრიონული ისე ენდომეტრიული ფაქტორების გავლენით. ამ შემთხვევაში, ქრონიკული ენდომეტრიტი ერთ-ერთია, რაც აფერხებს ენდომეტრიუმში წარმატებულ იმპლანტაციას. ზოგიერთი მოსაზრებით, ანთება მხოლოდ ტრიგერია გაცილებით რთული და ორგანიზმული მოვლენათა თანმიმდევრობისა. შეცვლილი ციტოკინების და ქემოკინების სეკრეცია მოიცავს ცვლილებებს ლეიკოციტების პოპულაციაში. ეს ორი მდგომარეობა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საშვილოსნოს კუმშვალობაზე, დეციდუალიზაციის პროცესში ენდომეტრიუმის ფუნქციაზე, ვასკულარიზაციაზე. მთავარ როლს თამაშობს აუტოფაგია, რაც აუცილებელი ფაქტორია წარმატებული იმპლანტაციისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეტიოლოგია ამ პათოლოგიის კიდევ ერთი სადავო ასპექტია. ენდომეტრიუმის კულტურებთან დაკავშირებული ლიტერატურაში არსებული მონაცემები საკამათოა. ქრონიკული ენდომეტრიტის მქონე ქალებში ენდომეტრიუმის მიკრობიომი წარმოდგენილია შემდეგი ბაქტერიებით: Lactobacillus, Enterobacter, Pseudomonas, და Gardnerella (33.21%, 7.17%, 7.32%, და 6.91%, შესაბამისად). ასევე აღსანიშნავია E. faecalis, Streptococcus spp., Staphylococcus spp., Mycoplasma spp. და მრავალი სხვა (10). Gardnerella არ ვლინდება ჯანმრთელი ქალების საკონტროლო ნიმუშებში. ანალოგიურად, კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, ქრონიკული ენდომეტრიტის მქონე უნაყოფო ქალებში გამოვლენილია Bifidobacterium, Prevotella და Gardnerella, რაც არ აღინიშნება ქრონიკული ენდომეტრიტის არმქონე უნაყოფო ქალებში (11). სხვა კვლევებში აღნიშნულია, რომ Gardnerella, Klebsiella და Streptococcus რაოდენობა მკვეთრად იყო მომატებული უნაყოფო პაციენტთა ენდომეტრიუმის ბიოპტატებში (12).

ენდომეტრიუმის კულტურების მისაღებად გამოყენებული ტრადიციული მეთოდების შედეგები ლაბორატორია-დამოკიდებულია. უფრო მეტიც, ლიტერატურაში მოცემულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ვაგინალური და ენდოცერვიკალური შიგთავსით დაბინძურება გამორიცხული არ არის, თუნდაც სპეციალური მოწყობილობების გამოყენებისას, როდესაც ცდილობენ საშოსთან და საშვილოსნოს ყელთან კონტაქტის თავიდან აცილებას. საბოლოოდ

კი, ენდომეტრიუმის ღრუში ინფექციური აგენტის დემონსტრირება სულაც არ ნიშნავს მის პათოგენობას. ენდომეტრიუმის ნიმუშის შეგროვება ენდომეტრიუმის ღრუში ინფექციური აგენტების გამოსავლენად ინვაზიური ტექნიკაა, რომელიც ზოგჯერ რთული და მტკივნეულია. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ენდომეტრიუმის ნიმუშების საჭიროება ქრონიკულ ენდომეტრიტზე საექვო ან აშკარა შემთხვევებში, გამოკვლევულ იქნა ვაგინალური და ენდოცერვიკალური კულტურების თანხვედრა ენდომეტრიუმში არსებულ ინფექციურ აგენტებთან. აღნიშნულ კვლევებში გამოვლინდა, რომ პოზიტიური ვაგინალური და ენდოცერვიკალური კულტურების თანხვედრა ენდომეტრიუმის კულტურებთან დამოკიდებულია საკუთრივ ინფექციურ აგენტზე. ენდოცერვიკალური არხის ნიმუშებში საერთო კონკორდანტობა 48.3% შეადგენს, თუმცა მკვეთრად განსხვავდება ცალკეული ორგანიზმის მიხედვით. მაგალითისთვის, *Staphylococcus* spp. მიმართ პოზიტიური ენდომეტრიუმის არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლინდა თანხვედრა ენდოცერვიქსის კულტურებში. ამის საპირისპიროდ, კონკორდანტობა შეადგენდა 100% და 58.3% *C. trachomatis* და *U. urealyticum* შემთხვევებში. საშოდან აღებული ნიმუშების შემთხვევაში საერთო თანხვედრა იყო 50.2%, მერყობდა 0%-დან *Staphylococcus* spp. შემთხვევაში, 16.7% და 48.8%-მდე *C. trachomatis* და *U. urealyticum* შემთხვევებში. აქედან გამომდინარე, არც ვაგინალური და არც ენდოცერვიკალური კულტურა არ არის საიმედო ენდომეტრიუმის მიკრობული კულტურის პროგნოზირებისათვის.

იმპლანტაციის დეფექტებისა და განმეორებითი სპონტანური აბორტების მქონე პაციენტებში ენდომეტრიტთან ერთად საკმაოდ ხშირი პათოლოგიაა ენდომეტრიუმის პოლიპების არსებობა. სისხლმილეები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანთებით პროცესში და ამავდროულად, წარმოადგენს პოლიპების პრინციპულ მორფოლოგიურ ელემენტს, ნანახია დიდი კალიბრის მქონე სისხლმილეები ფუნქციურ შრეში. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, პოლიპების შემთხვევაში გამოვლინდა აქტიური ენდომეტრიტის ნიშნები. პოლიპთა ნაწილში, ენდომეტრიტის არსებობისას ვასკულური ცვლილებები არ გამოვლინდა, აღინიშნებოდა მხოლოდ სისხლმილოვანი ღერძის არსებობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, პოლიპებისა და ენდომეტრიტების თანხვედრის შემთხვევები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შემთხვევები სისხლმილოვანი ცვლილებების გარეშე. ეს ფაქტი ამყარებს ჰიპოთეზას, რომ ენდომეტრიუმის პოლიპი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი იმ ცვლილებათა სპექტრში, რომელიც იწვევს ქრონიკულ ენდომეტრიტს. ენდომეტრული პოლიპების მქონე უნაყოფო ქალებში ციტოკინების განსაკუთრებით კი ინტერფერონ- γ , მაღალი დონის გამო სავარაუდოა მათი ანთებითი ეტიოლოგია. ამავე კვლევების მიხედვით ენდომეტრიუმის ლოკალური ზრდა, რაც პოლიპებს ახასიათებს, შესაძლოა მეორადად იყოს განპირობებული ანთებითი რეაქციით. აღნიშნულ კვლევებში ნაჩვენებია, რომ სისხლმილოვანი ცვლილებები ძლიერ ზრდიან ახალი სისხლმილოვანი ღერძებისა და პოლიპების განვითარების რისკს. ამ სცენარის მიხედვით, თავად პოლიპები არ წარმოადგენენ უნაყოფობის მიზეზს, არამედ არიან ვასკულოპათიის შედეგი, რაც თავის მხრივ, ანთებითი ან აუტოიმუნური ეტიოლოგიისაა. ამით შეიძლება აიხსნას პოლიპექტომიების შემდგომი ორსულობების მაღალი მაჩვენებელი.

არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ქრონიკული ენდომეტრიტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ენდომეტრიოზთან, თუმცა ამ მიმართულების კვლევები ძალიან მწირია. არსებულ კვლევებში აღნიშნულია, რომ ქრონიკული ენდომეტრიტის სიხშირე გაცილებით მაღალი იყო ენდომეტრიოზის მქონე პაციენტებში, განსხვავებით ენდომეტრიოზის არმქონე შემთხვევებისაგან, კერძოდ ენდომეტრიოზის შემთხვევებიდან 52.94%-ში აღნიშნებოდა ქრონიკული ენდომეტრიტის არსებობა. ქრონიკული ენდომეტრიტი აღინიშნა I ხარისხის ენდომეტრიოზის შემთხვევათა 40.0%-ში, II ხარისხის ენდომეტრიოზის შემთხვევათა 50.0%-ში, III ხარისხის ენდომეტრიოზის შემთხვევათა 70.0%-ში და IV ხარისხის ენდომეტრიოზის შემთხვევათა 46.7%-ში. აღნიშნული მაჩვენებლები არ კორელირებს სტადიასთან და ღრმა ენდომეტრიოზული დაზიანება შესაძლოა არ იყოს კავშირში ქრონიკულ ენდომეტრიტთან. ამ შედეგების მიხედვით, ქრონიკული ენდომეტრიტი შესაძლოა წარმოადგენდეს ენდომეტრიოზის დამოუკიდებელ გართულებას ან ჩართული იყოს ენდომეტრიოზის პათოგენეზში, რადგან ენდომეტრიტი აღინიშნება ენდომეტრიოზის პირველივე სტადიაზე.

პლაზმური უჯრედების როლი ეუტოპიურ ენდომეტრიუმში განისაზღვრება ბაქტერიებისა და ახლადწარმოქმნილი ნეოპლაზიური უჯრედების ელიმინაციაში. თუმცა, ქრონიკულმა ენდომეტრიტმა შესაძლოა განაპირობოს სიმსივნის განვითარება. ზოგადად, ენდომეტრიოზი არ წარმოადგენს სიმსივნეს, მაგრამ ჰგავს სიმსივნის მეტასტაზირების პროცესს. რამდენიმე კვლევაში აღნიშნულია, რომ იმუნური უჯრედების პლასტიურობა სიმსივნურმა პროცესმა შესაძლოა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ადრეულ ეტაპზე ანთებითი მედიატორების (IL-12, TNF, ჟანგბადის რეაქტიული სახეობები) ჭარბი წარმოქმნა ააქტიურებს ადაპტაციურ იმუნურ პასუხს, რათა მოახდინოს სიმსივნური უჯრედების ელიმინაცია, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ნეოპლაზიურ ტრანსფორმაციას. საშვილოსნოს ღრუში ქრონიკულმა ენდომეტრიტმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ნორმალური ეუტოპიური ენდომეტრიუმის ტრანსფორმაციას ენდომეტრიოზულ ქსოვილად, რომელსაც შეუძლია მენჯის ღრუში ინვაზირება.

კვლევებით დადგენილია, რომ ენდომეტრიოზსა და ქრონიკულ ენდომეტრიტის მსგავსი იმუნური ფონი გააჩნიათ. მაგალითისთვის, B უჯრედებითა და ენდომეტრიუმის სტრომული პლაზმოციტებით (ESPCs) უჩვეულო ინფილტრაცია აღწერილია ორივე პროცესის დროს ზოგიერთი პროანთებითი ციტოკინის ლოკალური წარმოქმნის პარალელურად, როგორებიცაა IL-6 და TNF- α . IL-6 ცნობილია როგორც უმწიფარი B უჯრედების დიფერენცირების ფაქტორი, მაშინ როცა TNF- α განაპირობებს ენდომეტრიუმის ჯირკვლოვან უჯრედებში ლოკალურად ესტროგენის ბიოსინთეზს, რაც ენდომეტრიულ უჯრედებს გარდაქმნის პროლიფერაციულ ფენოტიპად, რაც შესაძლოა გახდეს მიზეზი ენდომეტრიუმის პოლიპოზისა (13). პარალელურად ამისა, ზოგიერთი იმუნოგლობულინის ჭარბი ექსპრესია (IgG1, IgG2, და შესაძლოა IgA) ასევე ხშირად ვლინდება ეუტოპიურ ენდომეტრიუმში ენდომეტრიოზისა და ქრონიკული ენდომეტრიტის თანარსებობისას, რაც განპირობებულია სწორედ ენდომეტრიუმის სტრომული პლაზმოციტების მიერ Ig-ების ჭარბი ექსპრესიით (14).

გაზრდილი ანთებითი პასუხი პოტენციურად შეიძლება დაკავშირებული იყოს ორივე დაავადების აღმოცენებასთან და პროგრესირებასთან.

სიმსივნის პროგრესიაში მიკრობიომის როლი ყველაზე კარგად არის შესწავლილი კოლორექტული კარცინომების შემთხვევაში, რა დროსაც დისბიოზი იწვევს მარეგულირებელი კომენსალი სახეობების შემცირებას და შედეგად ანთებითი პროცესის განვითარებას (15). ენდომეტრიუმის კიბოც ასევე ასოცირდება პროანთებით მდგომარეობებთან. რამდენიმე კვლევაში შესწავლილია საშვილოსნოს მიკრობული გარემო და მისი როლი სიმსივნის განვითარებაში. ენდომეტრიუმის სიმსივნის ანთებითი პროფილის გათვალისწინებით, გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ავთვისებიან პროცესებში არსებობს მიკრობული კომპონენტიც (16).

ქრონიკული ენდომეტრიტის დიაგნოსტიკა რთულია სხვადასხვა მიზეზების გამო (10, 13). პაციენტთა უმრავლესობა უსიმპტომოა და ულტრაბგერითი მახასიათებლები არასპეციფიკურია. მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ხშირად არ არის ინფორმატიული, რადგან პათოგენების უმეტესობა არაკულტივირებადია და დამატებით, ენდომეტრიუმის ნიმუშების აღებისას, შეუძლებელია მასალის საშვილოსნოს ყელის და ვაგინალური ფლორით დაბინძურების პრევენცია. ქრონიკული ენდომეტრიტი შეიძლება დიაგნოსტირდეს ჰისტეროსკოპიით, ენდომეტრიუმის სპეციფიკური ცვლილებების გამოვლენის საფუძველზე, როგორც კეროვანი ან დიფუზური ჰიპერემია, სტრომული შემუპება და მიკროპოლიპები (10) თუმცა, ჰისტეროსკოპიის დიაგნოსტიკური სიზუსტე დამოკიდებულია ოპერატორის გამოცდილებაზე (17). პლაზმური უჯრედების ჰისტოპათოლოგიური იდენტიფიკაცია ენდომეტრიუმის ბიოფსიის ნიმუშებში განიხილება ქრონიკული ენდომეტრიტის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად (18). პლაზმური უჯრედების იდენტიფიკაცია მხოლოდ ჩვეულებრივი ქსოვილის შეღებვით რთულია. თუმცა, დღემდე აშკარაა პლაზმური უჯრედების ინფილტრატის ჰისტოლოგიური შეფასების სტანდარტიზებული მეთოდების ნაკლებობა და ლიტერატურაში შემოთავაზებულია რამდენიმე ვარიანტი (1, 2). ზოგიერთი ავტორის აზრით, ენდომეტრიუმის ბიოფსიებში ერთი ან რამდენიმე პლაზმური უჯრედის არსებობაც კი საკმარისია ქრონიკული ენდომეტრიტის დიაგნოზის დასადასტურებლად, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამისათვის აუცილებელია პლაზმური უჯრედების გარკვეული რაოდენობის არსებობა. გარდა ამისა, პლაზმოციტები, როგორც წესი, დიდი უჯრედებია, მაღალი ბირთვ/ციტოპლაზმური თანაფარდობით, ბაზოფილური ციტოპლაზმითა და ბირთვში ჰეტეროქრომატინის “სათის ციფერბლატის მსგავსი” (clock-face) (19). პლაზმოციტების ეს მორფოლოგიური თავისებურებები ყოველთვის არ ვლინდება მიკროსკოპული გამოკვლევით, რადგან პლაზმური უჯრედები ხშირად გვანან ენდომეტრიუმის სტრომულ ფიბრობლასტებსა და მონონუკლეარულ ლეიკოციტებს (17). იმუნოჰისტოქიმიური კვლევა პლაზმოციტური მარკერის CD-138-ის გამოყენებით (ასევე ცნობილი როგორც syndecan-1, ტრანსმემბრანული ტიპის ჰეპარანის სულფატის პროტეოგლიკანი) ამჟამად ყველაზე საიმედო და დროის დამზოგავი სადიაგნოსტიკო მეთოდია. ნაჩვენებია, რომ CD-138 იმუნოშეღებვა გაცილებით მგრძობიარე და სპეციფიკურია

რუტინულ ჰემატოქსილინითა და ეოზინით შეღებვის მეთოდთან შედარებით (მგრძნობელობა, 100% 75%-ის წინააღმდეგ; სპეციფიკურობა 100% 65%-ის წინააღმდეგ) და ხასიათდება ნაკლები დამკვირვებელთა შორის ცვალებადობით (93% 47%-ის წინააღმდეგ). ამ ყველაფრის მიუხედავად, კვლევის ეს მეთოდი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რადგან პლაზმური უჯრედების გარდა CD138 ექსპრესირდება ენდომეტრიუმის ეპითელიური უჯრედების პლაზმურ მემბრანაზეც, რამაც შესაძლოა ცრუ-დადებით შედეგი გამოიწვიოს (19). შესაბამისად გამართლებულია პლაზმური უჯრედების გამოვლენის ახალი გზების ძიება. Multiple myeloma antigen 1 (MUM-1) არის ცილა, რომელიც ნორმაში ექსპრესირებს პლაზმურ უჯრედებში, აქტივირებულ B და T-უჯრედებში. ნაჩვენებია, რომ MUM-1 ცილა საჭირია B-უჯრედების განვითარების ზოგიერთ სტადიაზე, მათ შორის მწიფე B-უჯრედების დიფერენცირებისათვის ანტიგენ-მაპროდუცირებელ პლაზმურ უჯრედებად. შეღებვის დამატებით ტექნიკის საჭიროების გათვალისწინებით, შესაძლებელია შემოწმდეს MUM-1 იმუნოჰისტოქიმიის სარგებლიანობა ენდომეტრიუმის პლაზმური უჯრედების იდენტიფიკაციისათვის.

ქრონიკულმა ენდომეტრიტმა ასევე შესაძლოა დაარღვიოს ენდომეტრიუმის ჰორმონალური პროფილი. ესტროგენული და პროგესტერონული რეცეპტორების რაოდენობისა და თანაფარდობის ცვლილება და ენდომეტრიუმის სხვა სახის პათოლოგიები ასევე განაპირობონ უნაყოფობა, ამენორეა და მენსტრუალური დარღვევები. ერთ-ერთ კვლევაში ესტროგენისა და პროგესტერონის რეცეპტორების ექსპრესია ენდომეტრიუმის ჯირკვლებსა და სტრომულ უჯრედებში გაცილებით მაღალია ქრონიკული ენდომეტრიტის შემთხვევაში განსხვავებით საკონტროლო ჯგუფისაგან. ჰორმონული რეცეპტორების ექსპრესიის დაქვეითების შეუძლებლობა მიუთითებს ენდომეტრიუმის მომწიფების დეფექტსა და ბლასტოცისტის იმპლანტაციის შეუძლებლობაზე. აქედან გამომდინარე, ანთების და განსაკუთრებით დიფუზური ანთების არსებობა ხელს უშლის ენდომეტრიუმის ჯირკვლებსა და სტრომულ უჯრედებში ესტროგენის რეცეპტორების ექსპრესიას. პროგესტერონის რეცეპტორების რაოდენობა დამოკიდებულია ესტროგენული რეცეპტორების ექსპრესიაზე, ამის გამო არაოპტიმალურია უნაყოფიერებულ კვერცხუჯრედის იმპლანტაციისათვის.

Ki67-ის ექსპრესიის საშუალო ინდექსი ენდომეტრიუმის ჯირკვლოვან და სტრომულ უჯრედებში, მსგავსად ჰორმონული რეცეპტორებისა, მნიშვნელოვნად მაღალია ქრონიკული ენდომეტრიტის შემთხვევაში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ამრიგად, Ki-67-ის ექსპრესია კორელირებს ჰორმონული რეცეპტორების ექსპრესიის ინდექსთან, ანუ ენდომეტრიუმის დაგვიანებულ მომწიფებასთან (20).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრონიკული ენდომეტრიტის პერსისტენცია და პროგრესია დაკავშირებულია უნაყოფობასთან, ენდომეტრიოზთან, ენდომეტრიუმის ატიპურ ჰიპერპლაზიასთან, თუმცა ამ საკითხების გარშემო არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რაც დამატებით კვლევებს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Farghali MM, Abdelazim I, El-Ghazaly TE. Relation between chronic endometritis and recurrent miscarriage. *Menopausal Review*. 2021;20(3):116–21.
2. Song D, Feng X, Zhang Q, Xia E, Xiao Y, Xie W, et al. Prevalence and confounders of chronic endometritis in premenopausal women with abnormal bleeding or reproductive failure. *Reprod Biomed Online* [Internet]. 2018 Jan 1 [cited 2024 Jul 24];36(1):78–83. Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/29111313/>
3. García-Velasco JA, Budding D, Campe H, Malfertheiner SF, Hamamah S, Santjohanser C, et al. The reproductive microbiome - clinical practice recommendations for fertility specialists. *Reprod Biomed Online* [Internet]. 2020 Sep 1 [cited 2024 Jul 24];41(3):443–53. Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32753361/>
4. Kaku S, Kubo T, Kimura F, Nakamura A, Kitazawa J, Morimune A, et al. Relationship of chronic endometritis with chronic deciduitis in cases of miscarriage. *BMC Womens Health* [Internet]. 2020 Jun 1 [cited 2024 Jul 24];20(1). Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32487112/>
5. Xu Y, Mei J, Diao L, Li Y, Ding L. Chronic endometritis and reproductive failure: Role of syndecan-1. *Am J Reprod Immunol* [Internet]. 2020 Sep 1 [cited 2024 Jul 24];84(3). Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32329146/>
6. Kimura F, Takebayashi A, Ishida M, Nakamura A, Kitazawa J, Morimune A, et al. Review: Chronic endometritis and its effect on reproduction. *J Obstet Gynaecol Res* [Internet]. 2019 May 1 [cited 2024 Jul 24];45(5):951–60. Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30843321/>
7. Santoro A, Travaglino A, Inzani F, Angelico G, Raffone A, Maruotti GM, et al. The Role of Plasma Cells as a Marker of Chronic Endometritis: A Systematic Review and Meta-Analysis. *Biomedicines*. 2023 Jun 15;11(6):1714.
8. Chen Y qing, Fang R li, Luo Y na, Luo C qiao. Analysis of the diagnostic value of CD138 for chronic endometritis, the risk factors for the pathogenesis of chronic endometritis and the effect of chronic endometritis on pregnancy: a cohort study. *BMC Womens Health*. 2016 Dec 5;16(1):60.
9. Buzzaccarini G, Vitagliano A, Andrisani A, Santarsiero CM, Cicinelli R, Nardelli C, et al. Chronic endometritis and altered embryo implantation: a unified pathophysiological theory from a literature systematic review. *J Assist Reprod Genet*. 2020 Dec 6;37(12):2897–911.
10. Moreno I, Cicinelli E, Garcia-Grau I, Gonzalez-Monfort M, Bau D, Vilella F, et al. The diagnosis of chronic endometritis in infertile asymptomatic women: a comparative study of

histology, microbial cultures, hysteroscopy, and molecular microbiology. *Am J Obstet Gynecol*. 2018 Jun;218(6):602.e1-602.e16.

11. Liu Y, Ko EYL, Wong KKW, Chen X, Cheung WC, Law TSM, et al. Endometrial microbiota in infertile women with and without chronic endometritis as diagnosed using a quantitative and reference range-based method. *Fertil Steril*. 2019 Oct;112(4):707-717.e1.
12. Moreno I, Garcia-Grau I, Perez-Villaroya D, Gonzalez-Monfort M, Bahçeci M, Barrionuevo MJ, et al. Endometrial microbiota composition is associated with reproductive outcome in infertile patients. *Microbiome* [Internet]. 2022 Dec 1 [cited 2024 Jul 24];10(1). Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/34980280/>
13. Cicinelli E, Bettocchi S, de Ziegler D, Loizzi V, Cormio G, Marinaccio M, et al. Chronic Endometritis, a Common Disease Hidden Behind Endometrial Polyps in Premenopausal Women: First Evidence From a Case-Control Study. *J Minim Invasive Gynecol* [Internet]. 2019 Nov 1 [cited 2024 Jul 24];26(7):1346–50. Available from: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30708117/>
14. Shen M, O'donnell E, Leon G, Kisovar A, Melo P, Zondervan K, et al. The role of endometrial B cells in normal endometrium and benign female reproductive pathologies: a systematic review. *Hum Reprod Open* [Internet]. 2022 [cited 2024 Jul 24];2022(1). Available from: [/pmc/articles/PMC8825379/](https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/36825379/)
15. Buchta Rosean C, Feng TY, Azar FN, Rutkowski MR. Impact of the microbiome on cancer progression and response to anti-cancer therapies. In 2019. p. 255–94.
16. Walther-António MRS, Chen J, Multinu F, Hokenstad A, Distad TJ, Cheek EH, et al. Potential contribution of the uterine microbiome in the development of endometrial cancer. *Genome Med*. 2016 Dec 25;8(1):122.
17. Cicinelli E, Vitagliano A, Kumar A, Lasmar RB, Bettocchi S, Haimovich S, et al. Unified diagnostic criteria for chronic endometritis at fluid hysteroscopy: proposal and reliability evaluation through an international randomized-controlled observer study. *Fertil Steril*. 2019 Jul;112(1):162-173.e2.
18. Li Y, Xu S, Yu S, Huang C, Lin S, Chen W, et al. Diagnosis of chronic endometritis: How many CD138⁺ cells/HPF in endometrial stroma affect pregnancy outcome of infertile women? *American Journal of Reproductive Immunology*. 2021 May 24;85(5).
19. Parks RN, Kim CJ, Al-Safi ZA, Armstrong AA, Zore T, Moatamed NA. Multiple Myeloma 1 Transcription Factor Is Superior to CD138 as a Marker of Plasma Cells in Endometrium. *Int J Surg Pathol*. 2019 Jun 28;27(4):372–9.

20. Mishra K, Wadhwa N, Guleria K, Agarwal S. ER, PR and Ki-67 expression status in granulomatous and chronic non-specific endometritis. Journal of Obstetrics and Gynaecology Research. 2008 Jun 23;34(3):371–8.

Problematic issues related to the phenotypic characteristics, persistence and progression of chronic endometritis

A critical review

Oliko Murghulia; Giorgi Tevdorashvili; Nino Tevzadze; Giorgi Burkadze

Tbilisi State Medical University

Abstract

Chronic endometritis is defined as mild persistent inflammation of the endometrium, characterised histologically by inflammatory cells in the endometrial stroma, including plasma cells, lymphocytes, eosinophils, and even lymphoid follicles. Diagnosing chronic endometritis is difficult for a variety of reasons. Most patients are asymptomatic, and ultrasound features are nonspecific. Microbiological examination is often not informative because most pathogens are non-cultivable. Chronic endometritis can be diagnosed by hysteroscopy based on detecting specific endometrial changes, such as focal or diffuse hyperemia, stromal edema, and micropolyps. Histopathological identification of plasma cells in endometrial biopsy specimens is considered the gold standard for the diagnosis of chronic endometritis. There is a hypothesis that chronic endometritis may be related to endometriosis, although studies in this direction are very scarce. There are different opinions about the persistence and progression of chronic endometritis, which require further research.

Keywords: Chronic endometritis; Plasma cells;

ავტორთა შესახებ ინფორმაცია:

ოლიკო მურღულია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

Oliko Murghulia – PhD Student at Tbilisi State Medical University

George Tevdorashvili - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

George Tevdorashvili – Associate Professor at Tbilisi State Medical University Department of obstetrics and gynaecology **Email:** doc.tevdorashvili@gmail.com

ნინო თევზაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის რეზიდენტი;

Nino Tevzadze – Resident in Anatomical and Clinical Pathology at Tbilisi State Medical University

E-mail: niniatevzadze1@gmail.com Phone Number: +995 598297600

გიორგი ბურკაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

George Burkadze - Professor at Tbilisi State Medical University, Head of the Department of Molecular pathology; **E-mail:** burkadze@yahoo.com; g.burkadze@tsmu.edu



საქართველოში მწვანე წყალბადის სადგურის მშენებლობისთვის მთავარი კომპონენტების შერჩევა და მისი ეფექტიანობა

ნინო გიორგიშვილი¹; საბა პატარქალიშვილი²

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ²სტუ-ს ენერჯეტიკის ფაკულტეტის ბაკალავრი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მწვანე წყალბადის სადგურის ინფრასტრუქტურული შემადგენლობა და მისი მუშაობის თანმიმდევრობა. მწვანე წყალბადი როგორც მომავლის ეკოლოგიური საწვავი მსოფლიო მასშტაბით ენერჯეტიკულ წრეებში აქტიურად განიხილება სუფთა ენერჯის წარმოების წყაროდ. უნდა აღინიშნოს, რომ სუფთა, მწვანე წყალბადი ახალი ტექნოლოგია არ არის და მასზე მუშაობა სხვადასხვა ქვეყანაში ათეული წლებია მიმდინარეობს. მწვანე წყალბადი მიიღება ელექტროლიზის საშუალებით და „მწვანე“ კი იმიტომ არის, რომ მისი წარმოება შესაძლებელია განახლებადი ენერჯიების – წყლის, მზის, ქარის მეშვეობით. წყალბადის წარმოების ხარჯი ძირითადად მოიცავს ელექტროენერჯისა და წყალბადის წარმომქმნელი დანადგარის ელექტროლაიზერის ხარჯებს. წყალბადი გამოიყენება როგორც ენერჯია, რომლისგანაც შესაძლებელია ელექტროენერჯის წარმოება ან მისი, როგორც აირის, მოხმარება. ამ ეტაპზე წყალბადი ყველაზე ხშირად გამოიყენება ნავთობის გადამუშავებისა და სასუქების წარმოებაში, ხოლო ტრანსპორტი და კომუნალური მომსახურების სექტორი ძირითადად წყალბადის განვითარებად ბაზრებს წარმოადგენს.

ენერჯეტიკული გაერთიანების (Energy Community) ანგარიშის თანახმად, 2030 წლიდან განიხილება მწვანე წყალბადზე მომუშავე ტრანსპორტის აქტიური გამოყენება, 2030 წლისთვის კი ტრანსპორტის სექტორში წყალბადის წილი შეიძლება იყოს 0,2%-მდე (3.4 ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი). ამავდროულად, მწვანე წყალბადის გამოყენება განიხილება გაზომომარაგების მიმართულებით, რაზეც დამატებითი კვლევების ჩატარება იგეგმება. ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა ენერჯეტიკული უსაფრთხოების ღონისძიებად განიხილავს მწვანე წყალბადის, როგორც შემნახველი ტექნოლოგიის განვითარებას.

მწვანე წყალბადის განვითარების კურსი საქართველომაც აიღო. ამასთანავე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროპა ჩვენს ქვეყანას განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით. 2020 წელს საქართველოს მთავრობამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს ქვეყნის საჭიროების შეფასების ტექნიკურ კვლევას ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის წარმოებაზე.

მწვანე წყალბადის ტექნოლოგიების განვითარება და მასშტაბირება ქმნის ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. ეს მოიცავს კვლევას და განვითარებას განახლებადი ენერჯის, ელექტროლიზის და წყალბადის ინფრასტრუქტურის სფეროში, ასევე სამუშაო ადგილების შექმნას ამ სექტორში.

საკვანძო სიტყვები: მწვანე წყალბადი, ელექტროლიზი, ელექტროლიზატორი, ინფრასტრუქტურა, ელექტროენერჯის გენერაცია, რეზერვაცია, კათოდი, ანოდი, წყალბადის შემნახველი, აბსორბაცია, დეზორბაცია.

შესავალი

მწვანე წყალბადის წარმოება მომავლის სფეროს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ გარემოს ეკოლოგიაზე და ტრადიციული ენერჯის წყაროების ჩანაცვლებაზე. მართალია წყალბადის წარმოება დღეის მდგომარეობით ძვირია, მაგრამ ეს სფერო ყოველდღიურად განაგრძობს განვითარებას და სიახლეების შეთავაზებას მსოფლიო ენერჯეტიკისთვის. ენერჯეტიკის ამ სექტორში ხორციელდება მსხვილი ფულადი ინვესტიციები და იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. - ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ მსოფლიოს მთავარი საენერჯეტიკო პოლიტიკა მიისწრაფვის ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის გამომუშავებისაკენ.

ევროკავშირი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს მწვანე წყალბადის წარმოებას, საქართველო, როგორც „საერთაშორისო ენერჯეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა, უახლეს საერთაშორისო ტენდენციებს ითვალისწინებს. ბევრმა ქვეყანამ უკვე აიღო ვალდებულება, რომ 2050 წლისათვის ბუნებრივ გაზს, დიდწილად, ალტერნატიული ენერჯიებით ჩაანაცვლებს. განვითარებული ქვეყნები მზად არიან ეტაპობრივად გადავიდნენ წყალბადზე და ამით ხელი შეუშალონ კლიმატის ცვლილებებს. წყალბადს გამოყენების მრავალი პერსპექტივა გააჩნია: ელექტროენერჯის გენერაცია და რეზერვაცია, ალტერნატიული და სუფთა ენერჯია სატრანსპორტო საშუალებებისთვის, იგეგმება ქარხნებისა და წარმოებების წყალბადის ენერჯიაზე გადაყვანა, მისი გამოყენება შენობების გასათბობად და ა.შ. ევროპა, ამ მიმართულებით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ეს, მათთვის, მომავლის ინვესტიციაა. საქართველოს კი შეუძლია იგი არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოოს, არამედ ექსპორტზე გაიტანოს. მოთხოვნა მუდმივად

მზარდია, რადგან როგორც უკვე ვახსენეთ, ბევრი ქვეყანა ცდილობს ბუნებრივი აირის წყალბადით ჩანაცვლებას.


ძირითადი ნაწილი

მწვანე წყალბადი არ წარმოქმნის ემისიებს, რადგან ის იყენებს წარმოების პროცესში, განახლებადი ენერჯის წყაროებს, რაც მას სუფთა ენერჯის ნამდვილ წყაროდ აქცევს. იგი მზადდება წყლის ელექტროლიზით - სუფთა ელექტროენერჯის გამოყენებით, რომელიც შექმნილია ქარისა და მზის ენერჯის ჭარბი განახლებადი ენერჯისგან. პროცესი იწვევს რეაქციას, რომელიც წყალს ყოფს წყალბადისა (H_2) და ჟანგბადის (O_2) მოლეკულებად.

ქარის ტურბინა არის მოწყობილობა, რომელიც გარდაქმნის ქარის კინეტიკურ ენერჯის მექანიკურ ენერჯად, რომელიც შემდეგ გამოიყენება ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად. არსებობს ქარის ტურბინების ორი ძირითადი კატეგორია: ჰორიზონტალურ ღერძიანი ქარის ტურბინები (HAWT) და ვერტიკალურ ღერძიანი ქარის ტურბინები (VAWT).

მზის პანელი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ფოტოვოლტაიკური (PV) პანელი, არის მოწყობილობა, რომელიც გარდაქმნის მზის შუქს ელექტროენერჯად - ფოტოელექტრული ეფექტის საშუალებით. არსებობს მზის პანელების სამი ძირითადი კატეგორია: მონოკრისტალური, პოლიკრისტალური და THIN-FILM-ი.

ელექტროლიზატორი ეს არის მოწყობილობა რომელიც გამოიყენება ელექტროლიზის განსახორციელებლად, ელექტროლიზი არის ქიმიური რეაქცია, რომელიც ხდება მაშინ, როდესაც ელექტრული დენი გადის წყალში თხევად ან გახსნილ ნივთიერებაში, რომელიც ცნობილია როგორც ელექტროლიტი. ელექტროლიზატორი, როგორც წესი, შედგება ელექტროლიტში ჩაძირული ორი ელექტროდისგან, ერთს ანოდი ეწოდება, მეორეს კი კათოდი. ეს ელექტროდები დაკავშირებულია ელექტროენერჯის წყაროსთან, როგორცაა ბატარეა ან გენერატორი. ელექტროდებზე უწყვეტი ელექტრული დენის მიწოდებით, ხდება ელექტროლიზი. ელექტროლიზის პროცესის დროს ელექტროლიტში არსებული იონები ქიმიური რეაქციებით იშლება შემადგენელ ელემენტებად. ანოდზე უარყოფითი იონები, რომლებიც ცნობილია როგორც ანიონები, კარგავენ ელექტრონებს და წარმოქმნიან აირისებრ ნივთიერებებს, ხოლო კათოდზე დადებითი იონები, რომელსაც კათიონები ეწოდებათ, იძენენ ელექტრონებს და ასევე წარმოქმნიან აირისებრ ნივთიერებებს. ეს წარმოებული აირები, როგორც წესი, არის წყალბადი და ჟანგბადი.




სადაც:

- $2H_2O(l)$ არის წყლის 2 მოლეკულა (*l-liquid-თხევადი*)
- $2H_2(g)$ არის წყალბადის გაზის 2 მოლეკულა (*g-gas-გაზი*)

- $O_2(g)$ არის ჟანგბადის 2 მოლეკულა (*g-gas-გაზი*)

წყალბადის გაზი წარმოიქმნება კათოდზე, ხოლო ჟანგბადის გაზი წარმოიქმნება ანოდზე. წარმოქმნილი აირები, როგორც წესი გროვდება სპეციალურ შემნახველებში და შემდეგ მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნებისათვის. გამოყენებული ელექტროლიტისა და მუშაობის პირობების მიხედვით ელექტროლიზატორები სხვადასხვა ტიპისაა. ელექტროლიზატორების ძირითადი ტიპებია: ტუტე ელექტროლიზატორები, პროტონების გაცვლის მემბრანის (PEM) ელექტროლიზატორები და მყარი ოქსიდის ელექტროლიზატორები. თითოეულ ტიპს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.



ნახ. 1. ტუტე ელექტროლიზატორი.

1. ელექტროლიზერის უჯრედები
2. წყალბადის დამაგროვებელი ავზი
3. ჟანგბადის დამაგროვებელი ავზი
4. წყალბადის გამომყვანი
5. ჟანგბადის გამომყვანი
6. ცირკულაციის ტუმბო
7. გამაგრილებელი


- ამ ტიპის ელექტროლიზატორებს შეუძლიათ გამოიმუშაონ 24 საათში: 647-8374 კილოგრამამდე მწვანე წყალბად.

ტუტე ელექტროლიზატორი არის მოწყობილობა, რომელიც იყენებს ტუტე ელექტროლიტის ხსნარს, როგორც წესი, კალიუმის ჰიდროქსიდს (KOH) ან ნატრიუმის ჰიდროქსიდს (NaOH), რათა ხელი შეუწყოს წყლის ელექტროლიზს.

ტუტე ელექტროლიზატორი, როგორც წესი, შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ელექტროლიტური რეზერვუარი: შეიცავს ტუტე ელექტროლიტის ხსნარს.
- ანოდი: დადებითი ელექტროდი, სადაც წარმოიქმნება ჟანგბადის გაზი.
- კათოდი: უარყოფითი ელექტროდი, სადაც წარმოიქმნება წყალბადის გაზი.
- გამყოფი: ჰყოფს ანოდს და კათოდს წყალბადისა და ჟანგბადის აირების შერევის თავიდან ასაცილებლად.
- ანოდი და კათოდი დაკავშირებულია გარე DC დენის წყაროსთან.


ანოდზე ხდება დაჟანგვა, რაც იწვევს ჟანგბადის გაზის წარმოქმნას (ანოდის რეაქცია):



სადაც:

- $4OH(aq)$ არის ჰიდროქსიდის 4 მოლეკულა (*aq* – ჰიდროქსიდის იონები წყალხსნარშია)
- $O_2(g)$ არის ჟანგბადის 2 მოლეკულა (*g-gas*-გაზი)
- $2H_2O(l)$ არის წყლის 2 მოლეკულა (*l- liquid*-თხევადი)
- $4e^-$ - აღნიშნავს 4 ელექტრონს (უარყოფითი მუხტით)


კათოდზე ხდება წყალბადის გაზის წარმოქმნა (კათოდის რეაქცია):



სადაც:

- $2H_2O(l)$ არის წყლის 2 მოლეკულა (*l- liquid*-თხევადი)
- $4e^-$ აღნიშნავს 4 ელექტრონს (უარყოფითი მუხტით)
- $H_2(g)$ არის წყალბადის გაზის 2 მოლეკულა (*g-gas*-გაზი)
- $4OH(aq)$ - არის ჰიდროქსიდის 4 მოლეკულა (*aq* – ჰიდროქსიდის იონები წყალხსნარშია)

ანოდისა და კათოდური რეაქციების შედეგია წყლის ელექტროლიზი :




სადაც:

- $2H_2O(l)$ არის წყლის 2 მოლეკულა (*l- liquid-თხევადი*)
- $2H_2(g)$ არის წყალბადის გაზის 2 მოლეკულა (*g-gas-გაზი*)
- $O_2(g)$ არის ჟანგბადის გაზის მოლეკულა (*g-gas-გაზი*)

გამომუშავებული აირები გადიან გაწმენდის პროცესს, რათა მიღებულ აირებს გამოყენებამდე მოცილდეთ მინარევები.

ტუტე ელექტროლიზატორებს აქვთ შედარებით მაღალი ელექტრული ეფექტურობა. ისინი კომერციულად ხელმისაწვდომია უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რის გამოც მისმა ტექნოლოგიამ ფეხი მოიკიდა არსებულ ბაზარზე. ტუტე ელექტროლიზატორებში ხშირად გამოიყენება ისეთი მასალები, როგორცაა ნიკელი. ტუტე ელექტროლიზატორებს ნაკლოვანებებიც გააჩნიათ: ტუტე ელექტროლიზატორების ნაკილია ნელი რეაგირების დრო, რაც ნაკლებად შესაფერის ხდის. ასევე ტუტე გარემოს კოროზიულმა ბუნებამ შეიძლება შეზღუდოს მათი გამოყენების პერსპექტივა.




ნახ. 2. მყარი ოქსიდის ელექტროლიზატორი

მყარი ოქსიდის ელექტროლიზის უჯრედი (SOEC) შედგება ანოდის, კათოდისა და ელექტროლიტისგან. თავად ელექტროლიტი არის მყარი კერამიკული მასალა. მყარი ოქსიდის ელექტროლიტი არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს ჟანგბადის იონების (O_2^-) ტრანსპორტირებას კათოდიდან ანოდამდე. მყარი ოქსიდის ელექტროლიტებისთვის გამოყენებული საერთო მასალები მოიცავს - იტრია-სტაბილიზებულ ცირკონს (YSZ), რომელიც კერამიკული მასალაა და ჩვეულებრივ გამოიყენება მაღალი იონური გამტარობისა და სტაბილურობისთვის - მაღალ ტემპერატურაზე.

ანოდი არის დადებითი ელექტროდი, სადაც ჟანგბადის იონები იჟანგება ელექტროლიზის პროცესში. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთო რეაქციაში. SOE ანოდების საერთო მასალები მოიცავს - Nickel-YSZ Cermet- ნიკელისა და იტრით სტაბილიზირებულ


ცირკონიის კომბინაციას, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონებისა და ჟანგბადის იონების კარგ გამტარობას.



სადაც:

- O_2^- არის ჟანგბადის მოლეკულა
- $1/2 O_2(g)$ აღნიშნავს ჟანგბადის დაშლის(ნახევარ) მოლეკულას
- $2e^-$ არის ელექტრონის 2 მოლეკულა


კათოდი არის უარყოფითი ელექტროდი, სადაც ჟანგბადის გაზი წარმოიქმნება. კათოდების საერთო მასალები მოიცავს: Lanthanum Strontium Manganite-ს, (LSM) - პეროვსკიტის მასალას, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება მისი კარგი ელექტრონული გამტარობისა და კატალიზური აქტივობისთვის.



სადაც:

- $1/2 O_2(g)$ - აღნიშნავს ჟანგბადის დაშლის(ნახევარ) მოლეკულას
- $2e^-$ არის ელექტრონის 2 მოლეკულა
- O_2^- არის ჟანგბადის მოლეკულა

ეს მასალები არჩეულია მათი თვისებებიდან გამომდინარე, რომ ეფექტურად იმუშაონ მაღალ ტემპერატურაზე, 500-დან 1000 °C დიაპაზონში. ასეთი მასალების შერჩევა მიზნად ისახავს ბალანსის მიღწევას მაღალ იონურ და ელექტროგამტარობას, სტაბილურობასა და კატალიზურ აქტივობას შორის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეცნიერები აგრძელებენ ახალი მასალების შესწავლას და SOE ელექტროდების ეფექტურობისა და გამძლეობის გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს Solid Oxide Electrolyzer-ის ტექნოლოგიის წინსვლას და კომერციალიზაციას.



ნახ.3. PEM ელექტროლიზატორი

1. HGL;
2. სითბოს ამრთმევი;
3. წყალბადის გაზის საშრობი;
4. წყალბადის გამომყოფი;
5. ჟანგბადის გამომყოფი;
6. PEM ელექტროლიზატორის უჯრედები;
7. წყლის გამწმენდი;
8. წყლის ტუმბო;
9. მართვის პანელი;
10. გამმართველი(AC/DC);
11. MV შემყვანი;
12. ტრანსფორმატორი;
13. თერმო კონტროლის სისტემა;
14. ჩილერი(წყალბადის გაზს ართმევს ტენს).

- ამ ტიპის სადგურებს შეუძლიათ გამოიმუშაონ 24 საათში: 531-1062 კილოგრამამდე მწვანე წყალბადი.


- ელექტროლიზატორის შენობის სტანდარტული ზომებია: 12.2mX2.5mX3m

- სატრანსფორმატორო შენობის სტანდარტული ზომებია: 6.1mX2.5mX2.6m - 12.2mX2.5mX3m

პროტონების გაცვლის მემბრანის (PEM) ელექტროლიზატორი არის მოწყობილობა, რომელიც წყლის ელექტროლიზის დროს იყენებს მყარ პოლიმერულ ელექტროლიტის მემბრანას - პროტონების გასატარებლად. PEM ელექტროლიზატორის ძირითადი კომპონენტია მყარი პოლიმერული ელექტროლიტური მემბრანა. ეს მემბრანა, როგორც წესი, დამზადებულია პერფტორსულფონის მჟავას პოლიმერისგან, როგორცაა ნაფიონი. ელექტროლიტური მემბრანა უზრუნველყოფს პროტონების ტრანსპორტირებას (H^+) ელექტრონების გავლის ბლოკირებისას. ის ჰყოფს ანოდისა და კათოდის უჯრედებს, რაც ხელს უწყობს ელექტროქიმიურ რეაქციას.

PEM ელექტროლიზატორში ანოდი, როგორც წესი, დამზადებულია კატალიზატორით დაფარული გამტარი მასალისგან. საერთო კატალიზატორული მასალები მოიცავს პლატინის


ან პლატინა-რუთენიუმის შენადნობებს. ანოდზე წყალი იჟანგება და წარმოიქმნება პროტონები და ელექტრონები:



სადაც:

- $2H_2O(l)$ - არის წყლის 2 მოლეკულა (*l*- liquid-თხევადი)
- $O_2(g)$ - არის ოქსიგენის მოლეკულა
- $4H^+(aq)$ - არის წყალბადის 4 მოლეკულა

კათოდი ასევე დამზადებულია გამტარი მასალისგან, რომელიც დაფარულია კატალიზატორით. გავრცელებული კატალიზატორის მასალები მოიცავს პლატინის ან პლატინა-ნიკელის შენადნობებს. კათოდში, ანოდის მხრიდან პროტონები და ელექტრონები გაერთიანებულია წყალბადის გაზის წარმოქმნით:



სადაც:

- $4H^+(aq)$ - არის წყალბადის 4 მოლეკულა (*aq* – წყალბადის იონები წყალხსნარშია)
- $4e^-$ არის 4 ელექტრონი
- $2H_2(g)$ - არის წყალბადის 2 მოლეკულა (*g-gas*-გაზი)

ელექტროლიზატორები შედგებიან ბიპოლარული ფირფიტებისაგან. ისინი დამზადებულია გამტარ მასალებისგან, როგორცაა გრაფიტი ან ლითონით დაფარული მასალები. ბიპოლარული ფირფიტები აკავშირებენ ცალკეულ უჯრედებს ელექტროლიზატორის დასტაში. ისინი უზრუნველყოფენ სტრუქტურულ სტაბილურობას - ანაწილებენ რეაგენტებს და ხელს უწყობენ ტემპერატურის თანაბარ განაწილებას. PEM ელექტროლიზატორებს სჭირდებათ წყლის მართვის სისტემა, რათა უზრუნველყოს მემბრანის დატენიანება. წყალი გადამწყვეტია მემბრანაში პროტონის გამტარობის შესანარჩუნებლად. ზოგიერთი დიზაინი მოიცავს რეცირკულაციის სისტემას, წყლის დონის მართვისთვის.



PEM ელექტროლიზატორების უპირატესობები:


- სწრაფი რეაგირება: PEM ელექტროლიზატორებს აქვთ სწრაფი გაშვების და რეაგირების დრო.
- მაღალი ეფექტურობა: ისინი მუშაობენ მაღალი ეფექტურობით, განსაკუთრებით ნაწილობრივი დატვირთვის პირობებში.
- კომპაქტური ზომა: PEM ელექტროლიზატორები, როგორც წესი, უფრო კომპაქტურია სხვა ელექტროლიზატორების ტიპებთან შედარებით.
- დაბალი მუშაობის ტემპერატურა: ისინი მუშაობენ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე, მყარი ოქსიდის ელექტროლიზატორებთან შედარებით.

PEM ელექტროლიზატორები ცნობილია: მათი სწრაფი რეაგირების დროით, მაღალი ეფექტურობით და შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მუშაობის უნარით, სხვა ელექტროლიზატორებთან შედარებით. მიმდინარე სამეცნიერო კვლევები მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ელექტროლიზატორის მუშაობის ეფექტურობა და შეამციროს PEM ელექტროლიზატორების ღირებულება უფრო ფართო კომერციული გამოყენებისთვის.

„PEM ელექტროლიზატორების რამდენიმე ტიპი არსებობს: MC სერია, M სერია, C სერია, H სერია, და S სერია.


განვიხილოთ წყალბადის შემნახველი მოწყობილობები. მწვანე წყალბადის შემნახვი მოწყობილობები შექმნილია "მწვანე" ან განახლებადი მეთოდით წარმოებული წყალბადის შესანახად. მწვანე წყალბადის შენახვა მნიშვნელოვანია მისი, როგორც სუფთა და მდგრადი ენერჯის სამომავლო გამოყენებისთვის. წყალბადის შენახვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: აირისებრ, თხევად და მყარ მდგომარეობაში. შენახვის თითოეულ მეთოდს აქვს თავისი მახასიათებელი.

წყალბადის მაღალი წნევით შეკუმშვა - წყალბადის შენახვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. წყალბადის გაზის სახით შესანახად, როგორც წესი, საჭიროა მაღალი წნევის ავზები (350–700 ბარი წნევა). შენახვის ავზები, როგორც წესი, დამზადებულია მსუბუქი და მაღალი სიმტკიცის მასალებისგან, როგორცაა ნახშირბადის ბოჭკოებით გამაგრებული კომპოზიტები ან მაღალი სიმტკიცის ფოლადი. წყალბადის შენახვა შესაძლებელია თხევად მდგომარეობაშიც, უკიდურესად დაბალ ტემპერატურაზე, დაახლოებით -253°C (-423°F). ამ ტემპერატურაზე წყალბადი იქცევა კრიოგენულ სითხედ. თხევადი წყალბადის შესანახად გამოიყენება სპეციალიზებული კრიოგენული რეზერვუარები, ხშირად ორკედლიანი საიზოლაციო ვაკუუმის ფენით.



ნახ.4. გაზური ტიპის წყალბადის შემნახველი რეზერვუარი.


- ტემპერატურის სენსორი;
- მთავარი გამხსნელი;
- სარქველი;
- თერმული წნევის შემცირების მოწყობილობა;
- გარე ჯავშანი;
- ნახშირბადის ბოჭკოვანი კომპოზიტი;
- მაღალი სიმკვრივის პოლიმერული შიდა კედლის ფენა.



ნახ.5. კრიოგენული წყალბადის შემნახველი რეზერვუარი.

- გამაციებელი;
- შევსების პორტი;
- უსაფრთხოების სარქველი;
- უკუ სარქველი ;
- გათიშვის სარქველი;
- ელექტრო გამათბობელი;
- რეზერვუარის შიდა კედლის იზოლაცია;
- კრიოგენული წყალბადის დონის საზომი;
- შიდა რეზერვუარი;

- დამცავი.



წყალბადის შენახვა მყარ მდგომარეობაში ჩვეულებრივ მოიცავს ლითონის ჰიდრიდების გამოყენებას. ლითონის ჰიდრიდები არის ნაერთები, რომლებიც წარმოიქმნებიან გარკვეული ლითონების წყალბადთან შერწყმით. წყალბადი შეიწოვება ლითონის

კრისტალური მესრის სტრუქტურაში, რაც ქმნის სტაბილურ მყარ ნაერთს. ეს პროცესი უზრუნველყოფს წყალბადის შექცევად შეწოვას და დეზორბციას, რაც უზრუნველყოფს წყალბადის შენახვას და გამოთავისუფლებას საჭიროების შემთხვევაში.

შექცევადობა ლითონის ჰიდრიდების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. მათ შეუძლიათ გაიარონ წყალბადის შთანთქმის და დეზორბციის განმეორებითი ციკლები მნიშვნელოვანი დეგრადაციის გარეშე.

აბსორბცია - ლითონის ჰიდრიდის მასალა შთანთქავს წყალბადს ქიმიური რეაქციის გზით. ეს შთანთქმის პროცესი ჩვეულებრივ ხდება ზომიერ ტემპერატურაზე და წნევაზე.

დეზორბცია - როდესაც საჭიროა წყალბადის გამოყენება, ლითონის ჰიდრიდი ათავისუფლებს შენახულ წყალბადს საპირისპირო ქიმიური რეაქციის გზით. დეზორბცია ჩვეულებრივ ხდება უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე აბსორბცია.

ლითონის ჰიდრიდის ტიპები - სხვადასხვა ლითონებს შეუძლიათ შექმნან ლითონის ჰიდრიდები, ლითონის ჰიდრიდის შესანახ სისტემებში გამოყენებული ლითონებია : მაგნიუმი, ტიტანი და ლანთანიდები, როგორცაა იტრიუმი და ლანთანი. ლითონის ჰიდრიდები ცნობილია მათი უსაფრთხოებით. წყალბადის შენახვის სხვა მეთოდებთან შედარებით.

ახლა კი განვიხილოთ მწვანე წყალბადის საპილოტე სადგურის მშენებლობის პერსპექტივა საქართველოში.

საქართველო, როგორც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ჩართულია „მწვანე წყალბადის“ პროექტის განვითარების პროცესში. 2023 წლის 16 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას,“ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს“ (KfW) შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მწვანე წყალბადის პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით. გაფორმებულ მემორანდუმში გამოხატულია მხარეთა განზრახვა, ერთობლივი ძალისხმევით განავითარონ როგორც მწვანე წყალბადის საპილოტე საწარმო, ასევე მისი სრული ღირებულებითი ჯაჭვი (მოთხოვნა-

მიწოდების ჩათვლით). ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის, რომეო მიქაუტაძის განცხადებით, ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში წყალბადის ენერჯის განვითარების პერსპექტივებს.

ეკოლოგიური წყალბადის ენერჯეტიკის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში კარგი საფუძველი აქვს და ეს მიმართულებაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ენერჯოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. შეთანხმება მწვანე წყალბადის მოხმარების განვითარებისა და აღნიშნულთან დაკავშირებული მოსამზადებელი ღონისძიებებისათვის 1,3 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს. შეთანხმების თანახმად, ჩატარდება მოსამზადებელი სამუშაოები „მწვანე წყალბადის“ ტექნოლოგიის დასანერგად საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, პროექტირების, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების პროექტის იმპლემენტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ კვლევებით დადასტურდება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობა, მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს მწვანე წყალბადის გენერაციის სადგურის მშენებლობას და ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების მიზნით, სადგურის მიერ გამოიმუშავებული მწვანე წყალბადის მიწოდებას ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის. ეს იქნება საპილოტე პროექტი, რომლის წარმატებით განხორციელებაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ეკოლოგიური წყალბადის ენერჯეტიკის განვითარებაში.

მზის ელექტრო სადგური

1 მეგავატიანი სიმძლავრის მზის ელექტრო სადგური:



მზის ელექტრო სადგურის მშენებლობისთვის გამოვიყენებთ AESOLAR „მზის პანელებს“ კერძოდ AE660ME-132BS-ის მოდელს.

- 1 მგვტ-იანი მზის სადგურის აშენება დაგვიჯდება 953 000 \$
- 1 მგვტ-იანი მზის სადგურის ასაშენებლად დაგვჭირდება AE660ME-132BS-ის 1 563 ერთეული მზის პანელი.
- 1 მგვტ -ანი სადგურის მ.ქ.კ იქნება საშვალოდ 22% -ი. (ანუ 1 საათში სადგური დააგენერირებს 220 კვტს ელექტრულ ენერჯიას.)
- სადგური დღიურად იმუშავებს საშვალოდ 9 საათი და გამოიმუშავებს 1 980 კვტს ელექტრულ ენერჯიას.

ქარის ელექტრო სადგური

1.5 მეგავატიანი სიმძლავრის ქარის ელექტრო სადგური:



ქარის ელექტრო სადგურის მშენებლობისთვის გამოვიყენებთ VESTAS „ქარის ტურბინებს“ კერძოდ V163-1.5MW-ის მოდელს.

- 1 მგვტ-იანი ქარის სადგურის აშენება 1 858 350\$

დაგვიჯდება.

- 1 მგვტ-იანი ქარის სადგურის ასაშენებლად დაგვჭირდება V163-1.5MW -ის 1 ერთეული ქარის ტურბინა
- 1 მგვტ -ანი სადგურის მ.ქ.კ იქნება საშვალოდ 37% -ი. (ანუ 1 საათში სადგური დააგენერირებს 555 კვტს ელექტრულ ენერგიას).
- სადგური დღე-ღამეში იმუშავებს საშვალოდ 11 საათს ან „მეტს“ და დააგენერირებს 6 105 < კვტს ელექტრულ ენერგიას.

წყალბადის შემნახველი რეზერვუარები




- ჩვენს მიერ სამომავლოდ აშენებული წყალბადის სადგური გამოიმუშავებს დღეში 327 კილოგრამ მწვანე წყალბადს, აქედან გამომდინარე საჭიროა შევიძინოთ 500 კგ.-იანი წყალბადის გაზის დამაგროვებელი რეზერვუარი 618 000\$ -ად კომპანია BAGLIONI-სგან.

- შეკუმშული წყალბადი ინახება მაღალ წნევაზე (677 ბარზე.)
- ამავე კომპანიისგან ვაპირებთ შევიძინოთ წყალბადის გაზის მაგისტრალური მილები ჯამში 254 მ.
- მისი ღირებულება შეადგენს 308 721 \$ -ს.




ელექტროლიზატორი და მისი მართვის სისტემები



- 0,6 მგვტ-იანი PEM (MS) (327კგ/24სთ.) ელექტროლიზატორის სადგურის აშენება საშუალოდ 1 082 662 \$ დაგვიჯდება.
- სადგური 1 საათში გამოიმუშავებს 13,6 კგ GH_2 -ს.
- 1 კილოგრამი მწვანე წყალბადის წარმოებისთვის სჭირდება 52 კვტსთ ელექტრული ენერგია. (1 საათში სჭირდება - 707,2 კვტსთ, 24 საათში - 16 972,8 კვტსთ

ელექტრული ენერგია).

- H_2 წარმოების მოდულაციის დიაპაზონი 74 – 151Nm³/h 10-100%
- H_2 გამომავალი წნევა 15-30 bar(g)
- 1 საათში სჭირდება 123 ლიტრა სუფთა წყალი (1 კილოგრამი წყალბადის წარმოებისთვის საჭიროა 9 ლიტრა სუფთა წყალი). (24 საათში საჭიროა 2 938 ლიტრა სუფთა წყალი).
- ელექტროლიზატორის კონტეინერის ზომებია: W X D X H 12.2m X 2.5m X 3 m
- ტრანსფორმატორის კონტეინერის ზომებია: W X D X H 6.1m X 2.5m X 2.6 m



ნახ.6. წყალბადის სადგურის მუშაობის პრინციპული სქემა.

დასკვნა

მწვანე წყალბადი იწარმოება განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით, როგორცაა ქარი, მზის და ჰიდროენერჯია, ისინი არ წარმოქმნიან ნახშირბადის ემისიებს წყალბადის წარმოებისას. ეს აქცევს „მწვანე წყალბადს“ სუფთა და მდგრადი ენერჯის მატარებლად, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს - მათ შორის: ტრანსპორტს, მრეწველობას და ენერჯეტიკას.

წყალბადი შეიძლება გახდეს ენერჯის შენახვის საუკეთესო ალტერნატივა. განახლებადი წყაროებიდან გამომდინარე გამომუშავებული ჭარბი ენერჯია შეიძლება გამოყენებული იქნას მწვანე წყალბადის წარმოებისთვის, რომელიც შეიძლება შევინახოთ და მოგვიანებით გამოვიყენოთ ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის. ეს ხელს შეუწყობს ქსელის სტაბილიზაციას და განახლებადი ენერჯის წყაროების საიმედოობის გაზრდას.

გონიოში სამომავლოდ ასაშენებელ საპილოტე მწვანე წყალბადის სადგურის ელექტროლიზატორის უჯრედებს მოემსახურება და ელექტროენერჯით მოამარაგებს 1მგვტ-იანი მზის ელექტროსადგური და 1.5მგვტ-იანი ქარის ელექტროსადგური. ორივე სადგურის ჯამური ელექტროენერჯის გამომუშავება - დღიურად იქნება (მზის - 1980კვტსთ. ქარის - 6105კვტსთ.) 8085კვტსთ. ელექტრული ენერჯია. წყალბადის სადგურს 1 დღეში(24 საათში) მაქსიმუმ შეეძლება გამოიმუშაოს 327 კგ მწვანე წყალბადი, რაც რეალურად საჭიროებს 24 საათში 17 004 კვტსთ. ელექტრულენერჯიას. (17 004-8085=8 919კვტსთ) მარტივი გამოთვლები ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ მოგვიწევს სადგურს ქსელიდან დამატებით მივაწოდოთ 8 919კვტსთ. ელ.ენერჯია, რომლის შევსებაც მოხდება აჭარის ჰიდროელექტროსადგურებიდან.

მიღებულ მწვანე წყალბადს გამოვიყენებთ საწვავად - წყალბადზე მომუშავე ავტობუსებში, რომლებიც მოემსახურებიან ქალაქ ბათუმის მოსახლეობას და მათ ცხოვრებაში შეიტანს მეტ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს. წყალბადზე მომუშავე ავტობუსები 100 კმ-ზე

წვავენ 6 კგ. წყალბადს, ბათუმის მუნიციპალიტეტი თავდაპირველად განიხილავს 10 ავტობუსის შემოყვანას. ჩვენი გამოთვლებით 1 ავტობუსი ბათუმში დღიურად საშუალოდ გადის 211 კილომეტრს ეს ნიშნავს რომ 1 ავტობუსი დღიურად მოიხმარს 12,6 კგ წყალბადს.

ბათუმის მუნიციპალიტეტი გეგმავს შეისყიდოს გარემოს ეკოლოგიურად გაუმჯობესებისთვის 10 ავტობუსი, ეს ნიშნავს რომ დღეში მათ დასჭირდებათ 126 კილოგრამი წყალბადი, რომლის წარმოებაც მოხდება საქართველოში, ამით ყოველ დღიურად შემცირდება 637,2 კგ CO₂-ს გამოყოფა, რაც ნიშნავს რომ წელიწადში 232 578(ანუ 232,6ტ. CO₂-ის გამოყოფა შემცირდება ქალაქ ბათუმში.)

$[PHT]_n\text{-co-}[TC,L6]_m$	0.5:0.5	30	1.5	0.92
	0:1	28	2.4	0.52

Table 2. Mechanical properties of $[PHT]_n\text{-co-}[TC,L6]_m$

Conclusion:

Poly(amide-co-ester amide) copolymers were synthesized by interfacial polycondensation in a water-dichloromethane system. The copolymers $[PHS]_n\text{-co-}[8L6]_m$, $[PHT]_n\text{-co-}[TC,L6]_m$, and $[PHF]_n\text{-co-}[FC,L6]_m$ were obtained with varying ratios of monomers.

The solubility and film-forming ability of the copolymers were tested in various organic and inorganic solvents. The solubility of $[PHS]_n\text{-co-}[8L6]_m$ in solvents increased with a higher proportion of the poly(ester amide) fraction, but obtaining films for mechanical evaluation from the solution was not possible. $[PHT]_n\text{-co-}[TC, L6]_m$ copolymers dissolved easily in organic solvents, and films were obtained for mechanical property assessment. In contrast, the $[PHF]_n\text{-co-}[FC,L6]_m$ type of products did not dissolve

in any solvents, nor could films be obtained from their solutions; thus, their spectral and mechanical properties were not evaluated.

It should be noted that increasing the proportion of the PEA segment in polyamides enhances their solubility in polar organic solvents, such as HFIP, CHCl₃ and CH₂Cl₂. The molecular structure of the obtained copolymers was confirmed by FT-IR and NMR analysis. The IR and ¹H NMR spectra of [PHT]_{0.5}-co-[TC,L6]_{0.5} revealed the presence of specific bonds in the polymer structure.

The mechanical properties, including tensile strength, elongation at break (%), and Young's modulus, of the [PHT]_n-co-[TC,L6]_m copolymers were measured. It was determined that the tensile strength decreases with an increasing proportion of the PEA fraction in the polyamides group.

Research is still ongoing, and further insights will reveal the potential applications of the materials obtained.

Acknowledgement:

This research [PHDF-22-317] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRBFG)

Reference:

1. Vroman, I., & Tighzert, L. (2009). Biodegradable polymers. *Materials (Basel)*, 2 (2), 307–344.
2. Sardon, H., & Dove, A. P. (2018). Plastics recycling with a difference. *Science*, 360 (6387), 380–381. <https://doi.org/10.1126/science.aat4997>
3. Duan, H., Song, G., Qu, S., Dong, X., & Xu, M. (2019). Post-consumer packaging waste from express delivery in China. *Resources, Conservation and Recycling*, 144, 137–143.
4. Khatoon, N., Jamal, A., & Ali, M. I. (2019). Lignin peroxidase isoenzyme: A novel approach to biodegrade the toxic synthetic polymer waste. *Environmental Technology*, 40 (11), 1366–1375.
5. Chandra, R., & Rustgi, R. (1998). Biodegradable polymers. *Progress in Polymer Science*, 23, 1273–1335. [https://doi.org/10.1016/S0079-6700\(97\)00039-7](https://doi.org/10.1016/S0079-6700(97)00039-7)
6. Tokiwa, Y., Calabia, B. P., Ugwu, C. U., & Aiba, S. (2009). Biodegradability of plastics. *International Journal of Molecular Sciences*, 10 (9), 3722–3742. <https://doi.org/10.3390/ijms10093722>
7. Rodríguez-Galán, A., Franco, L., & Puiggali, J. (2011). Biodegradable poly(ester amide)s: Synthesis and applications. In G. P. Felton (Ed.), *Biodegradable Polymers: Processing, Degradation, Applications* (Chapter 4). Nova Science Publishers, Inc.
8. Díaz, A., Katsarava, R., & Puiggali, J. (2014). Synthesis, properties, and applications of biodegradable polymers derived from diols and dicarboxylic acids: From polyesters to poly(ester amide)s. *International Journal of Molecular Sciences*, 15 (5), 7064–7123. <https://doi.org/10.3390/ijms15057064>

9. Zavrashvili, N., Puiggalí, J., & Katsarava, R. (2020). Artificial polymers made of α -amino acids - Poly(amino acid)s, pseudo-poly(amino acid)s, poly(depsipeptide)s, and pseudo-proteins. *Current Pharmaceutical Design*, 26. <https://doi.org/10.2174/1381612826666200203122110>

პოლი(ამიდ-თანა-ესტერ ამიდები)ს სინთეზი და წინასწარი დასკვნები

რუსლან დავითაძე, მაია ვანიძე, ალექო კალანდია

აბსტრაქტი:

სინთეზური მასალების უკონტროლო დაგროვებამ გარემოში, ქიმიური ან ბიოლოგიური დეგრადაციისადმი მათი მდგრადობის გამო გამოიწვია ეკოლოგიური პრობლემები, არსებული პოლიმერების ბიოდეგრადუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთი სტრატეგია მოიცავს მათ სტრუქტურაში მეტად ჰიდროლიზირებადი ჯგუფების შეყვანას. ბიოდეგრადირებადი პოლიმერების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ფსევდოპროტეინები - სინთეზური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების ახალი ოჯახი ბუნებრივი α -ამინომჟავების საფუძველზე. ფსევდო-პროტეინების ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელია პოლი(ესტერი ამიდები), რომლებიც ხასიათდებიან მარტივის სინთეზის და მრავალმხრივი გამოყენებით.

კვლევის პერიოდის დასინთეზირდა პოლი(ამიდ-თანა-ესტერ ამიდები) ინტეფაზური პოლიკონდენსაციის რეაქციის გამოყენებით, საწყისი პრეკურსორების: ჰექსამეთილენდიამინის (HDMA) და ტოსილ დიამინის დიესტერების (TDADE) ურთერთქმედების დიკარბომჟავების ქლორიდებთან. მიღებული პროდუქტების ხსნადობა შესწავლილ იქნა სხვადასხვა გამხსნელებში. სტრუქტურები შემოწმდა ინფრაწითელი და ბმრ სპექტროსკოპიის მეთოდებით გამოყენებით. მექანიკური თვისებები შეფასდა ნიმუშების გაჭიმვის ხელსაწყო გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: პოლიმერები, ბიოდეგრადაცია, ფსევდო-პროტეინები, პოლიმარდოვანები, პოლიამიდები.



პოტენციური შეუღლებული ორგანული ლუმინოფორების სინთეზი 2-პ- ბიფენილინდოლების საფუძველზე

გიორგი პიტურიშვილი¹, მაკა პოპიაშვილი², ლექსო ტლაშაძე³, ნინო ნიკოლეიშვილი⁴, ელენე
კაცაძე⁵

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ მაგისტრანტი, ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა,

giorgi.pitiurishvili456@ens.tsu.ge

² დოქტორანტი, ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა,

maka.popiashvili411@ens.tsu.edu.ge

³ დოქტორანტი, ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა,

alexander.tlashadze@gmail.com

⁴ ასისტენტ-პროფესორი, ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა,

nino.nikoleishvili@tsu.ge


⁵ ასისტენტ-პროფესორი, ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა,

elene.katsadze@tsu.ge, <https://orcid.org/0009-0003-0327-2917>

ანოტაცია. ფლუორესცენტული თვისებების მქონე ნაერთები ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და მრეწველობის მრავალ დარგში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია მათი მოხმარება უჯრედების მარკირებისათვის, მაღალ ეფექტური დიოდური მზის ენერჯის სანათებში და შუქდიოდებში (OLED ეკრანებში) ასევე ორგანულ დანამატად პეროვსკიტულ სისტემებში [1]. ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა პოტენციური ფლუორესცენტული უნარის მქონე ახალი შეუღლებული ბის-ინდოლების სინთეზი.


მიზნობრივი შეუღლებული 1,2-ბის(2-ფენილ-1H-ინდოლ-3-ილ)ეთენების სინთეზი განვახორციელეთ 2-ფენილ-1H-ინდოლ-3-კარბალდეჰიდების კონდენსაციის რეაქციით მაკმურის რეაქციის საფუძველზე. დავადგინეთ რეაქციის ოპტიმალური პირობები. კვლევის ფიზიკური მეთოდებით შევისწავლეთ მიზნობრივი პროდუქტების აღნაგობა. ულტრაიისფერი სპექტროსკოპიის საშუალებით დავადგინეთ, რომ ჩვენს მიერ სინთეზირებულ ნაერთებს აქვთ ფლუორესცენციის უნარი.

საკვანძო სიტყვები: 2-ფენილინდოლი, მაკმურის რეაქცია, ლუმინოფორები




სქემა 2. ფორმილნაწარმების (2a-b) ოლეფინირების ზოგადი სქემა

სინთეზირებული ნაერთების ლუმინოფორული თვისებების შესწავლის მიზნით გამოკვლეულ იქნა მათი ელექტრონული სპექტრები. **სქემა 3** მოცემულია უი სპექტრი 3a ნაერთის ახლმომზადებული ხსნარისათვის ($c=0.01$ მგ/მლ, ქლოროფორმი) უი სხივებით დასხივებამდე და დასხივების შემდეგ 30 და 60 წუთიანი ინტერვალით.



სქემა 3. 3a ნაერთის უი სპექტრი დასხივებამდე და დასხივების შემდეგ

დასხივებამდე აღებული ნიმუშის შთანთქმის მაქსიმუმი მქლავნდება სპექტრის 375 ნმ-ზე. დასხივებიდან 30 წუთის შემდეგ შთანთქმის მაქსიმუმმა გადაინაცვლა მოკლელტალოვან უბანში 296 ნმ-ზე, ხოლო 60 წუთის შემდეგ - 293 ნმ-ზე. ელექტრონულ სპექტრებში დაფიქსირებული ეს ცვლილებები 3a ნაერთის ლუმინოფორული თვისებების დამადასტურებელია.



სქემა 4. ტემპერატურის ცვლილების გავლენა 3a ნაერთის შთანთქმის მაქსიმუმიზე უი სპექტრზე.

რაც შეეხება ტემპერატურის გავლენას 3a ნაერთის ($c=0.015$ მგ/მლ) შთანთქმის მაქსიმუმის წანაცვლებაზე (სქემა 4), ოთახის ტემპერატურაზე შთანთქმის მაქსიმუმი ფიქსირდება 376 ნმ-ზე, ხოლო ტემპერატურის 60°C -მდე გაზრდისას შთანთქმის მაქსიმუმი შეცვალა უმნიშვნელოდ, კერძოდ, წანაცვლა 373 ნმ-ზე. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტემპერატურის გაზრდა 60°C -მდე მნიშვნელოვან ცვლილებას არ ახდენს 3a ნაერთის შთანთქმის მაქსიმუმის ცვლილებაზე.

ექსპერიმენტული ნაწილი

ნივთიერებათა სისუფთავეს და რეაქციის მსვლელობას ვაკონტროლებდით თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეშვეობით - TLC Silica gel 60 F254 Merk-ის ფირფიტებზე. ი.წ. სპექტრი გადაღებულია SHIMADZU „IRSpirit“-ზე. უ.ი სპექტრი გადაღებულია Cary-60. $^1\text{H-NMR}$ სპექტრი გადაღებულია Bruker Avance 400-ზე. ლაბორატორიის აპარატი: A&E Lab DMP-800.

2-ფენილ-1H-ინდოლ-3-კარბალდეჰიდის (2a-b) სინთეზის ზოგადი მეთოდიკა. -5°C -ზე გაციებულ 49.3 მმოლ დიმეთილფორმამიდს წვეთ-წვეთობით უმატებენ 1,2 მლ ფოსფორის ოქსიქლორიდს, მიღებულ ნარევს აყოვნებენ ოთახის ტემპერატურაზე 1 სთ-ის განმავლობაში და შემდგომ კვლავ -5°C -ზე გაციებულ სარეაქციო ნარევიში შეაქვთ 3 მმოლი ინდოლური ნაწარმი გახსნილი 3 მლ DMF-ში. ნარევს აყოვნებენ მუდმივი მორევის პირობებში $30-35^{\circ}\text{C}$ -ზე რეაქციის დამთავრებამდე. რეაქციის მიმდინარეობას ამოწმებენ თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით-ჰექსანი, ეთერი-6:1; შემდგომ სარეაქციო ნარევი გადააქვთ ყინულიან ჭიქაში, ქმნიან ტუტე რეაქციას, აყოვნებენ ნალექის გამოყოფის მიზნით, ფილტრავენ ვაკუუმზე და რეცხავენ წყლით ნეიტრალურ არემდე.

1,2-ბის(2-ფენილ)-1H-ინდოლ-3-ილ)ეთენი (3a-b) სინთეზის ზოგადი მეთოდიკა. ინერტულ არეში ათავსებენ 0,4გ (6მმოლი) თუთიის ფხვინლს და 10 მლ ტეტრაჰიდროფურანს, აციებენ -5°C -ზე და ამატებენ 0.325 მლ (3მმოლი) TiCl_4 -ს. შემდგომ ნარევს ათბობენ ოთახის

ტემპერატურამდე 0.5 სთ-ის განმავლობაში და ადუღებენ 2.5 სთ. ნარევს კვლავ აციებენ -5°C -ზე და ამატებენ 0.125 მლ (1.5მმოლი) პირიდინს, ურევენ 10 წთ და შეაქვთ 0.6 მმოლი კარბონილური ნერთი (7a-c) გახსნილი 4 მლ THF-ში. ნარევს ადუღებენ რეაქციის დასრულებამდე;

რეაქციის დასრულების შემდეგ ხსნარს ფილტრავენ ბიუხნერის ძაბრზე, ამატებენ 20 მლ K_2CO_3 -ის 10%-იან ხსნას, გადააქვთ ნარევი გამყოფ ძაბრში და წვლილავენ ეთილაცეტატით. ორგანულ ფენას აშრობენ CaO -ზე, ფილტრავენ და ფილტრატს აკონცენტრირებენ როტაციულ ამორთქლებელზე. დაკონცენტრირებული ხსნარიდან ნივთიერების გამოყოფის მიზნით ხსნარს წვეთ-წვეთობით ამატებენ ჰექსანს და აყოვნებენ 2 სთ-ის განმავლობაში. ძირითადი ნივთიერება გამოიყოფა მომწვანო-მოყვითალო კრისტალების სახით. ასუფთავებენ სვეტური ქრომატოგრაფიის მეშვეობით, ელუენტი ჰექსანი, ეთერი- 15:1. მიიღება ყვითელი შეფერილობის კრისტალები, რომელსაც აქვს ლუმინესცენციის უნარი როგორც მყარ, ისე გახსნილ მდგომარეობაში.

1,2-ბის(2-ფენილ)-1H-ინდოლ-3-ილ)ეთენი (3a). მომწვანო-ყვითელი ფერის კრისტალები. $T_{\text{ლღ}} = 167-168^{\circ}\text{C}$; იწ (KBr, cm^{-1}): 3372(NH), 3052 (=CH); უი სპექტრი(ნმ) λ_{max} : 248,276, 368, λ_{min} : 232, 264, 332; ^1H ბმრ (400 MHz, დმსო): $\delta = 11.60$ (s, 2H, NH), 7.87 (d, 2H, Ar, $J = 8$ Hz), 7.74-7.78 (m, 4H, Ar), 7.62-7.66 (m, 4H, Ar), 7.45 (dt, $J = 8.0, 2\text{H}$) 7.35 (s, 2H), 7.11-7.22 (m, 4H). ^{13}C ბმრ (100 MHz, დმსო): $\delta = 137, 132, 131, 126, 123, 121, 112$.

1,2-ბის(2-(პ-ბრომფენილ)-1H-ინდოლ-3-ილ)ეთენი (3b). ყვითელი ფერის კრისტალები. $T_{\text{ლღ}} = 200-202^{\circ}\text{C}$; იწ (KBr, cm^{-1}): 3371(NH), 3054 (=CH); უი სპექტრი(ნმ) λ_{max} : 252,284, 376, λ_{min} : 232, 268, 336; ^1H ბმრ (400 MHz, დმსო): $\delta = 11.54$ (s, 2H), 7.86 (d, $J = 8.0$ Hz, 2H), 7.78 - 7.68 (m, 5H), 7.58 (t, $J = 7.7$ Hz, 5H), 7.46 (t, $J = 7.5$ Hz, 4H), 7.42 (s, 2H), 7.18 (ddd, $J = 8.1, 6.9, 1.1$ Hz, 2H), 7.10 (ddd, $J = 8.2, 7.0, 1.2$ Hz, 2H). ^{13}C ბმრ (100 MHz, დმსო): $\delta = 137, 136, 129, 128, 126, 122, 121, 120, 112, 111$.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] C.W. Lee, J.Y. Lee, Above 30% external quantum efficiency in blue phosphorescent organic light-emitting diodes using pyrido[2,3-b]indole derivatives as host materials, *Adv. Mater.* 25 (2013) 5450-5454, doi:http://dx. doi.org/10.1002/adma.201301091
- [2] National Distillers and Chemical Corp., US Patent No. 3222290 (1962); *J. Soc. Dyers Col.*, 83, 126 (1967);
- [3] M. Tibu, I. Viserian, B. Arvertiev, H. Offenbergl, and T. Nicolaescu, *Analecte Stiint. Univ. A. I. Cuza, Iasi Sect. I*, 9, 261 (1963); *Chem. Abstr.*, 60, 2434 (1964);
- [4] D.G. Oft, F. N. Hayes, E. I-ansbury, and V. N. Kerr, *J. Amer. Chem. Soc.*, 79, 5448 (1957);
- [5] R. H. Wiley, C. H. Jarboe, F. N. Hayes, E. Hansbury, J. T. Nielsen, P. X. Collahan, and M. C. Sellers, *J. Org. Chem.*, 23, 732 (1958);
- [6] N. F. Levchenko, V. M. Solomonov, t. A. Shevchenko, and B. M. Krasovitskii, in: *Single Crystals, Scintillators, and Organic Luminophores* [in Russian], Kharkov, No. 4 (1968), p. 186.
- [7] G. F. Slezko, Author's Abstract of Master's Dissertation, Kharkov 1971);

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის ნომერი *NFR-21-1456*).

Synthesis of a some conjugated organic luminophore based of 2-p-biphenylindole

Giorgi Pitiurishvili¹, Maka Popiashvili², Ieqso Tlashadze³, Nino Nikoleishvili⁴, Elene Katsadze⁵

Iv. Javakhishvili Tbilisi state university, Tbilisi, Georgia

¹Master's student, department of chemistry of Organic and Natural compounds,
giorgi.pitiurishvili456@ens.tsu.ge

²PHD student, department of chemistry of Organic and Natural compounds,
maka.popiashvili411@ens.tsu.edu.ge

³PHD student, department of chemistry of Organic and Natural compounds,
alexander.tlashadze@gmail.com

⁴Assistant-professor, department of chemistry of Organic and Natural compounds,
nino.nikoleishvili@tsu.ge

⁵Assistant-professor, department of chemistry of Organic and Natural compounds,
elene.katsadze@tsu.ge, <https://orcid.org/0009-0003-0327-2917>

Annotation

Compounds with fluorescent properties are widely used in many fields of medicine and industry. It is especially important and relevant to use them for marking cells, in high-efficiency diode solar energy lamps and light-emitting diodes (OLED screens), as well as an organic additive in perovskite systems.

The purpose of our work was the synthesis of new conjugated bis-indoles with potential fluorescence capability.

The target conjugated 1,2-bis(2-phenyl-1H-indol-3-yl)ethenes were synthesized by the condensation reaction of 2-phenyl-1H-indole-3-carbaldehydes based on the McMurry reaction. We determined the optimal reaction conditions. We studied the structure of target products by physical research methods. By means of ultraviolet spectroscopy, we determined that our synthesized compounds have the ability to fluoresce.

Key words: 2-Phenylindole, Luminophore, McMurry reaction

ACKNOWLEDGMENTS: This project was supported financially by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant № YS-59-2016)

Scientific direction: Research, conservation and wise use of plant diversity

The Role of Georgian Endemic Wheat Species in Biodiversity of Wheat

Tsotne Samadashvili

Doctor of Agricultural Sciences, Professor , Scientific-Research Center of Agriculture, Tbilisi

t. samadashvili@agruni.edu.ge +995 577 314 975

Wheat is the most widespread and important crop in the world. In global food production, wheat culture firmly occupies in first place and does not give up its position. Wheat is the only crop that fully meets human needs for nutrients necessary for the body. The wide range of essential amino acids in wheat ensures both physical and mental development of a person. Wheat is the most important source of plant proteins for human. Thanks to this significance, scientists of the world have created more than 40 thousand varieties that successfully serve the population of the world.

It must be noted that Georgia has long been recognized as the primary center of origin of wheat in the world (Vavilov - 1940, Zhukovsky - 1971, Dorofeev - 1972, Yakubziner - 1966, Dekapreleovich - 1954, Menabde - 1948, Kihara - 1966, MacKay - 1969). The authors indicate not only the origin, but also imply the evolution of the wheat genus in Georgia. This is evidenced by the ancient traditions of wheat production in Georgia. In the works of ancient Greek historians Herodotus and Xenophon, we come across the information about the distribution of many types of wheat in ancient Georgia. The first monuments of the wheat civilization belong to the Mesolithic period, which is confirmed by archaeological excavations. Several types of wheat have been found in Neolithic settlements - Arukhló, Khramis Gora, Shulaveris Gora. Among them are hard and soft wheat, whose age dates from 6,000 years BC (Rusishvili et al., 2019). As a result of similar archaeological excavations in a settlement in the village of Digomi, carbonized grains of Zanduri of the late Bronze age were discovered (Maisaia et al., 2005).

Archaeological research has revealed the remains of Tavgukhi grains dating from the 4th and 3rd millennia BC. (Dzidziguri, 2000). According to these materials, the primary wheat species existing in Georgia revealed phylogenesis of the wheat genus and confirmed the diversity of wheat species. Georgian farmers in ancient times gave corresponding names to all this great variety of wheat species. Georgian names for wheat by biological group were "dzveltesli" or autumn, and "akhaltesli" or spring. By species and varieties - Zanduri, Asli, Dika, Tavgukhi, Ipkli, Doli Puri, Khulugo, Khozo, Khotora. By place of origin - Chveneburi, Rachuli, Akhaltsikhe, Kolkhuri, Corbouli. These names give a peculiar folk classification of a wide variety of Georgian wheat varieties. Ecotope is a mesophyte. The

distribution area - Racha, Lechkhumi, Chiatura, Sachkhere, Kvemo Svaneti. Varieties: Khulugo, Khotora, Khozo. Later Korboulis Dolis Puri and Ipkli. According to morphological characteristics - Shavtavgava, Shavtavela, Shavpkha, Tsiteli doli, Shavi dika, Tetri dika. These names are a kind of folk classification of a wide variety of Georgian wheat varieties. According to Ivane Javakhishvili, this is not only the result of observations of farmers, in ancient Georgia there were such writers - agronomists and naturalists as Katon, Varon, Columbella and Plinus. The first information about the biodiversity of Georgian wheat belongs to Sul Khan-Saba Orbeliani (XVII century) and Vakhushti Batonishvili (XVIII century). Foreign naturalists also traveled to Georgia - Guldstadt, Georg and Klaport (18th-19th centuries). In Georgia, even today, it is possible to detect sub-contoured forms resulting from the natural interbreeding of wild and cultural forms. Such forms were discovered in the village Eredvi of Kartli area.

Thanks to the love of wheat culture, in the highlands of Georgia (Racha-Lechkhumi, Meskhet-Javakheti, Mtatusheti) keeled wheat is still grown today and use old Georgian terms: "Jejili" is a newly sprouted field, "Namja" is what is left after harvesting, "Kalo" is a place for threshing ears, "Kevri" is a board for threshing ears, "ulo" means strong binding of wheat stems, "shnakvi" is a tool for collecting wheat.

Genetic and breeding value of endemic species and native varieties of Georgian wheat. Scientists of the world did not lose sight of the uniqueness of the biodiversity of endemic species and native varieties of Georgian wheat. The attention of triticologists of the world is especially attracted by: Chelta Zanduri, Dika Kartlicum and Hexaploid Zanduri (Zhukovsky), characterized by phenomenal complex immunity to fungal diseases; Chelta Zanduri is characterized by high protein content in the grain and high degree of baking ability; the endemic species Kolkhuri Asli is resistant to various types of rust; Macha wheat is characterized by an abundance of leaf mass on the plant and the strength of the stem, well tolerates excess moisture. Soft wheat varieties created by the Georgian people fully met the needs of the Georgian people, and unique varieties are still in demand and are intensively used for food. This demand for older varieties is due to the following positive qualities: 1. Short and strong stem; 2. Disease resistance; 3. Rapid plant development; 4. Fertility recovery; 5. Resistance to grain falling during ripening; 6. Easy thrashing of grain from the spike; 7. Increased content of proteins and essential amino acids in the grain; 8. Coarse graininess; 9. High-quality bakery grinding; 10. Longevity; 11. Broad leaves of the plant; 12. Coarseness; 13. Early ripeness; 14. A gene that determines the ability to preserve baked bread for a long time;

The multi-species biodiversity of Georgian wheat has not gone unnoticed by world scientists. Scientists in Japan, Russia, Germany, England, the United States and France are intensively working on Georgian wheat.

Role of Georgian wheat in soft wheat evolution. The achievement of world breeding in wheat culture is closely related to the creation of soft wheat. Soft wheat fully meets human needs and is one of the most complete food products. The origin of soft wheat is polypholent. This type of wheat originated in many places and many times. To date, four routes of origin of soft wheat have been experimentally established. The first possible way of its creation is associated with the opinion of

Kihara, who received a form similar to soft wheat by crossing the naked form of *T. carthlicum* with wild grain of the diploid form - *Ae. Tauschii*. According to the German triticologist Kukuk, the second way to obtain forms very similar to soft wheat is possible by crossing of Macha and Iranian spelt. This method of resynthesis was tested by L. Decapreleevich and the results have confirmed the experiments of Kukuk. The third route of origin of soft wheat is also associated with the Kukuk data and the same form of Iranian spelt in which the Macha could penetrate by mutation. In Macha species, there are sharply transitional forms with resistance to brittleness of the head stem. Macha's involvement in the origin of soft wheat is substantiated by Georgian triticologists (L. Dekapreleevich, V. Menabde, P. Naskidashvili). The fourth route of origin of soft wheat is due to the crossing of the 42-chromosomal Macha with the octaploid *T. carthlicum*. The latter carries a Q gene that promotes resistance to stem breakage.

According to studies conducted to date, it is recognized in the world that endemic species of Georgia played a large role in the evolution of the genus *Triticum*. Two species are important in this regard: *T. macha* Dekapr. & Men and *T. persicum* Vav. This process of evolution took place in Georgia.

The role of Georgian wheat in world wheat breeding. It is important to note that 8 new varieties of wheat were obtained on the basis of endemic species of Georgia:

A species of "*T. militinae*" wheat (Zhuk. & Migush $2n = 28$) isolated from "*T. Timopheevii*" as a naked grain counterpart. In head coloration it is similar to "*T. persicum* vav." Fuliginnesum.

Wheat species *T. timonovum* (Heslot & Ferari $2n = 28$) was obtained in France by autopolyploidy of the wheat variety Timofeev. The species is of the mountain type, easily adaptable to cold climates, pure spring shape.

The wheat species *T. fungicidum* (Zhuk $2n = 56$) was obtained in Russia (1944) by allopolyploidy by crossing *T. Persicum* with *T. Timopheevii*. It carries the genome of G. The species is known as a resistant form to yellow and black rust and powdery mildew.

Wheat species *T. Kiharae* (Dorof & Migusch $2n = 42$), a spelt homolog, obtained by crossing *T. Timopheevii* with *Ae. Tauschii*. The species is characterized by a high protein content (22-23%). It is resistant to rust and smut.

With the participation of Chelta Zanduri in the USA, Australia, Kenya, Japan, England, many new forms and varieties of wheat were obtained: Melanopus 5, Melanopus 6, Melanopus 7, Steinwedel, Timstein, Mengavi, Leopard, SRPC 67.

Conclusion. The Georgian people as a result of 8,000 years of breeding created a unique variety of wheat species. The immunity of Georgian species to fungal diseases is especially important for the future breeding activity. Wheat variety Chelta zanduri also carries cytoplasmic sterility genes that allow the creation of hybrid wheat. Also in Georgian soft wheat Dolis Puri 35-4, was found a gene that restores fertility. The positive characteristics of Georgian wheat and soft wheat varieties are the best source for creating promising varieties and forms using gene modification and nanotechnology. This is confirmed by data from the Institute of Molecular Genetics in Liverpool. According to German researchers, in the future, humanity will mainly consume wheat variety Zanduri.

Using Georgian wheat species and native varieties of soft wheat, world geneticists and breeders will be able to create new varieties of intensive wheat in the future, using modern methods.

Keywords: wheat, species, biodiversity, usage.

References

1. N. Vavilov. Asia is a source of species. Plant resources. vol. 2, issue 4.577-80 (1966);
2. N. Vavilov. World resources of cereals. Wheat, M.1940, 123 pg
3. N. Vavilov. Triticum persicum genetic study. Selected writings. vol. 3, 1962;
4. L. Decaprelevich. Types, forms and varieties of wheat of Georgia. Works of Field Production Institute of the Academy of Sciences of GSSR. 8. 3-58 (1954);
5. L. Decaprelevich, V. Menabde. Filmy Wheat . Georgia. Tr. Applied Botany., ser. V, issue I, 1933;
6. Flora of cultivated plants, Wheat. Leningrad branch. 7-320 (1979);
7. V. Menabde. Wheats of Georgia. Institute of Botany. 3-256 (1948);
8. V. Dorofeev. Wheat of Transcaucasia. Works in applied botany, genetics and breeding. vol. 47. issue 1. 3-206 (1972);
9. J. McKay. Genetic basis of wheat systematics. Agricultural biology. vol.3, No. 1.12-23 (1969);
10. H. Kihara . Factors affecting the evolution of common wheat. Indian J. Genetics, 26, 14, 28. 1966;
11. P. Zhukovsky. Cultivated plants and their relatives. Leningrad.
12. P. Zhukovsky. Cultivated plants and their relatives. Leningrad. 5-752 (1971);
13. M. Jakubziner. Varietal and species richness of the world's wheat and their use. Issues of geography of cultivated plants and N.I. Vavilov. 40-51 (1966);
14. Wheat of the world. Leningrad, 5-510 (1987);
15. P. Naskidashvili, Ts. Samadashvili and others. Breeding value of native varieties-population of soft wheat of Georgia. Materials of the scientific conference, Tbilisi 1985, Art. 91-92.
16. Naskidashvili P, Sikharulidze M, Chernish E. Wheat breeding in Georgia. Tbilisi, 3-350 (1983);
17. Naskidashvili P. and a group of authors. Georgian wheat and breeding work on it. Tbilisi, 19-529 (2013).
18. GFA-ISET Analytics, Wheat - EU for Georgia. 2017, p. 12
19. Samadashvili Ts., Ujmajuridze L, Chkhutiashvili G. Wheat production strategy and its role in the state independence of Georgia. Bulletin of the Academy of Sciences of the Academy of Sciences, Vol. 1,2017.
20. Ts. Samadashvili, G. Chkhutiashvili, N. Bendianishvili. Georgian soft wheat varieties - yields and breeding opportunities. Journal "Agrarian Georgia," No. 3, 2017, pp. 16-18;

ქართული ხორბალი და მისი მოხმარების სოციალურ-კულტურული ასპექტები

შოშიტაშვილი ნოდარი¹, ჩხუტიაშვილი გულნარი²

¹ ისტორიის დოქტორი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

nodar_shoshitashvili@yahoo.com +995 577 500 573

² სოფლის მეურნეობის დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი

ცენტრი cgulnara@gmail.com +995 599 201 334

რეზიუმე

საქართველო უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრია. ველური ხორბლის გაკულტურების ერთერთი კერა წინა აზიასთან ერთად კავკასია და საქართველოა. საქართველოში არსებულმა პირველადმა სახეობებმა ახსნა ხორბლის გვარის ფილოგენეზი და დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით ხასიათდება მხოლოდ საქართველო.

საქართველოს პრიორიტეტს კულტურული ხორბლის გაჩენაში, ადასტურებს როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი, ისე აგრიკულტურის ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემები და კვლევები. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში უკანასკნელ დრომდე ფუნქციონირებდა როგორც ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო სამეურნეო იარაღების, ისე სახვნელი საშუალებების დიდი მრავალფეროვნება, განვითარების დინამიკაში უმარტივესიდან რთულისაკენ.

ქვემო ქართლში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ე. წ. „გადაჭრილ გორაზე“ აღმოჩნდა ძვ. წ. VI ათასწლეულის კარბონირებული ხორბლის მარცვლები, ასე რომ, რვა ათასი წლის წინ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებული ქართული ხორბლის თესვა-მოყვანა უწყვეტად გრძელდებოდა და ამ საქმიანობას აქაური მოსახლეობა დღესაც გულმოდგინედ ეწევა.

საქართველოში ხორბლის კულტურის გავრცელების და ტრადიციების გაგრძელებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში დაფიქსირებული მასალა ცხადყოფს, - მიუხედავად იმისა რომ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან საქართველოში ინტენსიურად შემოდის უხვმოსავლიანი ე. წ. ინდუსტრიული ხორბალი, ენდემური და ადგილობრივი ქართული ხორბლის თესვა-მოყვანის ტრადიცია თუმცა შესუსტდა, მაგრამ არასოდეს შეწყვეტილა და დღესაც მისდევნ მის მოყვანას. არათუ მისდევნ, რიგი თვისებრივი უპირატესობის გამო, მათზე და მათ ნამზადზე მოთხოვნილება საზოგადოებაში უფროდაუფრო იზრდება.

ხორბალთან დაკავშირებულმა სპეციალურმა ექსპედიციებმა დაადასტურა, რომ ენდემური და ადგილობრივი ჯიშები ითესება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მათ შორის ყველაზე ერთგულად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის მთასთან ერთად რიტუალური და საწესო ხორბლის ნაწარმი, ტრადიციული წეს-ჩვეულებების დაყენება-ჩატარება და მათში მონაწილეობა განსაკუთრებით საქართველოს მთიანმა კუთხეებმა, გამორჩეულად სვანეთმა შემოინახა.

სასიამოვნოა ის ტენდენცია, რომ ჯერ ერთი, წინაპართაგან გადმოცემული ტრადიციები გრძელდება და მეორეც ის, რომ საზოგადოების განწყობა და სურვილია, რიტუალური ნაშადის ცხოვისას გამოიყენონ ქართული ხორბალი. კერძოდ, ენდემურიც, ადგილობრივიც და სულაც რამდენიმე ათწლეულის წინ საქართველოში სელექციის გზით მიღებულიც. დაბოლოს, ჩვენს თვალწინ, ყოველდღიურ ყოფაში ხდება ამ ტრადიციათა გადაცემა, ტრანსმისია მოზარდი თაობისადმი ინტერაქტივით, პრაქტიკული და მენტალური ჩვევების გათავისებით.

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, ისტორია, ტრადიცია, გამოყენება.

შესავალი. სამეცნიერო საზოგადოება შეთანხმებულია იმაზე, რომ საქართველო უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრია. ველური ხორბლის გაკულტურების ერთ-ერთი კერა წინა აზიასთან ერთად კავკასია და საქართველოა. (ვაგილოვი 1932; ბერნალი 1956; მენაბდე 1950; ჩიტაია 1997; ჯალაბაძე 1986; სადუნიშვილი 2021).

მეზობელ ქვეყნებთან ერთად საქართველოს პრიორიტეტს კულტურული ხორბლის გაჩენაში, ადასტურებს როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი, ისე აგრიკულტურის ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემები და კვლევები. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში უკანასკნელ დრომდე ფუნქციონირებდა როგორც ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო სამეურნეო იარაღების, ისე სახვნელი საშუალებების დიდი მრავალფეროვნება, განვითარების დინამიკაში უმარტივესიდან რთულისაკენ (ჩიტაია 1997; ჯალაბაძე 1960; ბრეგაძე 2004).

პირველად, აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო სახვნელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი (ჯავახიშვილი 1986). შემდგომმა მკვლევარებმა საფუძვლიანი გამოკვლევების შედეგად ნათლად დაადასტურეს აღნიშნული მოსაზრება (ჩიტაია 1986).

საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, ქვემო ქართლში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ე. წ. „გადაჭრილ გორაზე“ აღმოჩნდა ძვ. წ. VI ათასწლეულის კარბონირებული ხორბლის მარცვლები, რომლებიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ასე რომ, რვა ათასი წლის წინ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებული ქართული ხორბლის თესვა-მოყვანა უწყვეტად გრძელდებოდა და ამ საქმიანობას აქაური მოსახლეობა დღესაც გულმოდგინედ ეწევა.

დღევანდელ აგრიკულტურულ მეცნიერებაში გაზიარებულია ის მოსაზრება, რომ მსოფლიოში აღწერილი კულტურული ხორბლის სახეობებიდან ხუთი საქართველოს ენდემია,

ესენია: ჩელტა ზანდური - *T. timopheevii* Zhuk.; კოლხური ასლი - *T. georgicum* Dekapr. & Men.; დიკა - *T. carthlicum* Nevski; ჰექსაპლოიდური ზანდური - *T. zhukovskiyi* Men. & Eriz.; მახა - *T. macha* Dekapr. & Men. (ნასყიდაშვილი პ. 1983).

საქართველოში ხორბლის გაკულტურების პროცესის ერთ-ერთი მაჩვენებელია რაჭა-ლეჩხუმში შემორჩენილი ნახევრად ველური პურეულის სახეობა მახა და ზანდური. აკად. გ. ჩიტაიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზანდურის მოსავლის აღება ხდებოდა არა ჩვეულებრივი წესით, ნამგლით, როგორც ყველა სხვა ყანებში, არამედ უხსოვარი დროიდან შემორჩენილი სამეურნეო იარაღით - შნაკვი. შნაკვი ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ საჭიროებისთვის იდეალურად მისადაგებული სამკალ-საკრეფი ხელსაწყოა. იგი შედგება ნახევარ მეტრამდე სიგრძის სუფთად გათლილი ორი ჯოხისაგან, რომლებიც ბოლოში საბელით მოძრავადაა გადაბმული, ბოლოში კი გაშლილია. მომკელი ჯოხებით თავს უყრის თავთავების გარკვეულ რაოდენობას და გვერდზე გადაწევ-გადატეხვით კალათში აგროვებს. ეს მეთოდი გამოიყენებოდა ზანდურის კილში სუსტად განთავსებული მარცვლის მიწაში ჩაპნევას (ჩიტაია 1997).

ხორბლის ენდემურ სახეობებს საუკუნეების განმავლობაში მიემატა ხალხური სელექციით მიღებული ხორბლის ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშები და ჯიშ-პოპულაციები. უპირველესად დოლის პურის სხვადასხვა ვარიაციები. კერძოდ: ახალციხის წითელი დოლის პური; ქართლის თეთრი დოლის პური; კორბოულის დოლის პური; ადგილობრივი წითელი დოლი; ასევე - ლაგოდეხის გრძელთავთავა; ხულუგო; იფქლი; შავფხა და მრავალი სხვა.

ხორბლის ნაწარმის ტრადიცია და თანამედროვეობა. საქართველოში ხორბლის კულტურის გავრცელების და ტრადიციების კვლევასთან დაკავშირებით განხორციელებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში დაფიქსირებული მასალა ცხადყოფს - მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის დაახლოებით სამოციანი წლებიდან საქართველოში ინტენსიურად შემოდის უხვმოსავლიანი ე. წ. ინდუსტრიული ხორბალი, ენდემური და ადგილობრივი ქართული ხორბლის თესვა-მოყვანის ტრადიცია თუმცა შესუსტდა, მაგრამ არასოდეს შეწყვეტილა და დღესაც მისდევენ მის მოყვანას. არათუ მისდევენ, რიგი თვისებრივი უპირატესობის გამო, მათზე და მათ ნამზადზე მოთხოვნილება საზოგადოებაში უფროდაუფრო იზრდება. აღნიშნული მოთხოვნილება იწვევს მათი ფართობების და გავრცელების მიკროზონების არეალის ზრდას, კონკრეტული მეწარმე ფერმერების დაინტერესებას.

არსებული ტენდენციის მიზეზებია ქართული ხორბლის ღირებულების გაზრება-გაცნობიერება ადამიანთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით, მარგებლიანობით, გემოვნური თვისებებითა და სურნელოვნებით.

მართლაც, მართებულად აღნიშნავდა მკვლევარი ნ. ბრეგაძე, როდესაც აფიქსირებდა ქართული ხორბლის ღირებულებს - „ხორბლეულის მდიდარი სახეობრივი შემადგენლობის შემგუებლობა საქართველოს მიკროზონების ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან (ყინვა და ყინვაგამძლეობა), ავადმყოფობათა და მავნებლებთან მიმართ იმუნიტეტი, მაღალმოსავლიანობა, მარღვიანობა, გამწევი ცომი, საუცხოო გემო და სურნელი“ (ბრეგაძე

2004). პურელისადმი საკრალური გამოხატულობის დადასტურებაა ის, რომ ბევრ კუთხეში ხორბლის სინონიმად ტერმინი „წმინდა“ გამოიყენება (ქართლი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი).

ტრადიციული ქართული ხორბლის ღირსებების გათვალისწინებით, დაახლოებით ბოლო მეოთხედი საუკუნეა ახალი სიცოცხლე შეიძინა აღნიშნულმა სფერომ. გამოიკვეთა დაინტერესება სათემო ჯგუფებში, ოჯახებში, ცალკეულ მეხორბლეებში. ამ ტენდენციას ხელი შეუწყო მეხორბლეთა დარგობრივმა ასოციაციებმა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

ხორბალთან დაკავშირებულმა სპეციალურმა ექსპედიციებმა დაადასტურა, რომ ენდემური და ადგილობრივი ჯიშები ითესება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს: უპირველესია საქართველოს „პურის ბელად“ წოდებული შირაქი - დედოფლისწყარო, სიღნაღი; კახეთი (თელავი, საგარეჯო); ქვემო ქართლი (მარნეული, თეთრიწყარო); შიდა ქართლი (მცხეთა, გორი). დიდი ენთუზიაზმით მისდევენ ამ საქმეს თუშური თემები როგორც მთაში (ომალო, შენაქო), ასევე ბარში (ზემო ალვანი); სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი); დასავლეთ საქართველოში ქართული ხორბლის დიდი ტრადიციები მოუშლელია და გრძელდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში; აღსანიშნავია მოსახლეობის დიდი მონდომება გააფართოვოს ნათესები ზემო სვანეთში (მესტია) და სხვ.

ამ კეთილშობლურ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აკადემიას, სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“, თესლმწარმოებელ ფირმა „ლომთაგორას“, ქართული ხორბლის მწარმოებელთა გაერთიანებას.

ქართული ხორბლის ტრადიციების გაგრძელებასა და აღორძინებაში დიდი წვლილი შეაქვს საეკლესიო-სამონასტრო სფეროს წარმომადგენლებს. ისინი თესავენ და მოყავთ ტრადიციული ქართული ხორბალი, რომლის ნაწარმი გამოიყენება როგორც სამონასტრო ცხოვრებაში, ასევე საეკლესიო-სარიტუალო სფეროში. შირაქში დათესილი დოლისპურის და დიკას ფქვილით ახალი შუამთის დედათა მონასტერში ცხვება სეფისკვერები და არტოსი, რომლითაც მთლიანად კმაყოფილდება ალავერდის ეპარქიის მოთხოვნილება. მართალია გურიაში ქართული ხორბლის შედარებით ნაკლები ტრადიცია იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, შემოქმედის ეპარქიას ხორბლის ყანები აქვს კახეთში, რომლის ნაწარმიც გამოიყენება აღნიშნულ ეპარქიაში; ამ თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ აგრეთვე ნატახტრის დედათა მონასტერი, უდეს წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, ბარალეთის და სხვა მონასტრები.

აღსანიშნავია ნიკორწმინდის ეპარქია. აქ მოყვანილი ხორბლით გამომცხვარი გულსართიანი სარიტუალო პურით და ამავე ეპარქიაში მოყვანილ-დაწურული უნიკალური წითელი ღვინო „ხვანჭკარის“ თანხლებით ტარდება საეკლესიო და სახალხო დღესასწაულები. ეს შემთხვევა საუკეთესო მაგალითია მოსახლეობის სოციალურ კულტურული ერთობისა, მემკვიდრეობითობისა და ქართული იდენტობის ერთ-ერთი ფორმულის „პურ-ღვინის მადლის“ საუკეთესო მაჩვენებელია.

მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული დიდი ტრადიციების ტრანსმისია, მოზარდი თაობის ჩართვა ამ კეთილშობლურ საქმეში, როგორც კერძო მეურნეობებში, ასევე სკოლებში და ამ გზით ტრადიციების გადაცემა და შენარჩუნება.

ხორბლის მოყვანასთან დაკავშირებული სამეურნეო ციკლის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია ხვნა-თესვა, მკა და გალეწვა-დაბინავება. ყველა ეტაპი მეტად შრომატევადია და ტრადიციულად მნიშვნელოვან სოციალურ თანადგომას, კოოპერირებას საჭიროებდა. ხვნის დროს, ასეთი შეამხანაგება საჭირო იყო, განსაკუთრებით დიდი ქართული გუთნით მიწის დამუშავების დროს, რომელშიც 8-9 უღელი ხარ-კამეჩი ებმეოდა. ასეთ შეამხანაგებას, რომელიც სახნავი რესურსების, გამწევი ძალის გაერთიანებას გულისხმობდა და გუთნის დედა ხელმძღვანელობდა, მოდგამი ეწოდებოდა. მოდგამი გულისხმობდა წილობრივი მონაწილეობის მიხედვით განსაზღვრული ხვნის დღეების ანუ ალოების განაწილებას მეურნე გლეხებს შორის.

ჩვეულებრივ კი ხორბლის აღება ნამგლით ხდებოდა ივლისის თვეში. სწორედ აქედან გამომდინარე ამ თვის ძველი ქართული სახელწოდება მკათათვეა. მოწეული მოსავლის აღება მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ამიტომ იცოდნენ მკაში შეამხანაგება. შრომის ორგანიციის ამ ფორმას მამითადი ეწოდებოდა. ოჯახის მამაკაცების გარდა მასში ძირითადად მონაწილეობდა საბიძაშვილო, გვარის წევრები ან სამეზობლოც. ასეთი დახმარება ნაცვალმიგებითი იყო, ოჯახის წევრები, სანაცვლოდ, მათაც ეხმარებოდნენ ყანის აღებაში. გამოცდილი და მარჯვე მომკელი გამორჩეული სახელით სარგებლობდა სოფელში და მკის დროს სწორედ ის იყო „მესვეური“, პირველი სვეს ანუ კვალის პურეულის ამღები.

მომკილი ხორბლის ძნები „ჩაიშლებოდა“ გასალეწად მომზადებულ ადგილზე, კალოზე და ხარებ შებმული კვერის საშუალებით ილენებოდა. ამჟამად, ძირითადად, ყველა ეს პროცესი, სადაც რელიეფი და საყანე ფართობი საშუალებას იძლევა, მექანიზირებულია.

მოწეულ პურეულს ინახავდნენ დასავლეთ საქართველოში სპეციალურ სამეურნეო ნაგებობა ბელში, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში - ბელში, აგრეთვე მიწაში გამართულ ხაროებსა და ორმოებში. მოწეული ჭირნახული იფქვება ხელსაფქვავეებში (განსაკუთრებით რიტუალური ფაფეულის დასამზადებლად) და წყლის წისქვილებში (შილაკაძე 1985; ბედუკაძე 1960).

ნაშრომის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ვრცლად განვიხილოთ ქართული ხორბლის ნამზადის უაღრესად მრავალფეროვანი ასორტიმენტი. ამიტომ, მოკლედ მიმოვიხილავთ და აღვნიშნავთ, რომ ნამზადში უპირველესად იგულისხმება პურის მრავალსახეობა - „პური ჩვენი არსობისა“ სხვა ნამზადთან ერთად ცხვება ე. წ. ვერტიკალურ საცხობში (თონე) და ჰორიზონტალურ საცხობში (ფურნე). ცხვება კერასა და ბუხარში თიხისა და ქვის კეცებში (კეცეული); ცხვებოდა კერაში განთავსებულ ქვის ფილებზეც (კა).

თავდაპირველად ცხვებოდა უსაფუარო პურები - ხმიადები. შემდგომ დაიწყო პურის დედოზე //დედაზე, ანუ ტრადიციულ ხაშზე მომზადებული საფუარიანი ნაწარმის მომზადება. ყველაზე ადრინდელია მრგვალი პური ანუ „გურგვალი“ (გოცირიძე 2007). იგი მთელ საქართველოშია გავრცელებული. პური, ქართლ-კახეთში, ერთი კვირის მარაგად ცხვებოდა და სპეციალურ სათავსში - კიდობანში ინახებოდა. შენახვის ასეთ ხანგრძლივობას

აპირობებდა ხორბალში მცირე რაოდენობით შერეული სარეველა მცენარის - მახობელის მარცვალი, რომელიც პურს მოლურჯო ფერს აძლევდა, ელასტიურობას და სურნელებას მატებდა. კვირის ბოლოს, დაძველებული პურისაგან იცოდნენ ერთგვარი წვნიანი კერძის, „პურის ხარშოს“ დამზადება.

ცხვება აგრეთვე შოთის პური (კახეთი, ქართლი), ლავაში (რიტუალური სუფრისათვის), მცირე ზომის შოთები ლიკანის სახელწოდებით (გოცირიძე 2007). სხვა სახისა იყო მესხური პური სომინი და თითიანი (კოკორა) პურები შუაში დატოვებული ნახვრეტით. ცხვებოდა აგრეთვე სარიტუალო ტკბილი პურები, ნაზუქები და სხვ.

საახალწლო ნამზადია რიტუალური პურების მრავალსახეობა: ბედის და ბარაქის პურები, კაცის ფორმის „ბასილა პური“, მცირე ზომის პურები: ხარის, ძროხის ცურის, ცხვრის, ნამგლის, სახნისის და სხვათა გამოსახულებით; საახალწლო რიტუალური პურები სხვა საახალწლო ნუგბართან ერთად, აუცილებლად ღორის მოხარშულ თავით შუაში, ეწყობა ხის ხონჩაზე ან გობზე. მას ქართლში აბრამიანი ეწოდება და ოჯახის უფროსი, რომელიც ამავე დროს ჯალაბობის მეკვლე იყო, მიუკვლევს, მიულოცავს ოჯახის წევრებს ახალ წელს, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას უსურვებს. სამეკვლეო „გოგა პური“ ხევსურეთსა და ფშავეში, სვანეთში ცხვებოდა დიდი ზომის ჯვრიანი პური სათემო დღესასწაულებისათვის.

ხორბლის ნამზადის დიდი ტრადიცია და მრავალფეროვნებაა გულსართიანი ქადა-ხაჭაპურების ცხოვისა. ხაჭაპური, ყველის გულსართით ქართული კვების სისტემის ერთ-ერთი გამორჩეული ნამზადია, რომელმაც კუთვნილი ადგილი დაიკავა მსოფლიო ხალხური კულინარიის საგანძურში. მრავალფეროვანია მისი სახეობები: იმერული, მეგრული, მესხური (ფურცლოვან-ფენოვანი), თუშური (კოტორი), გურული („ღვეძელი“ კვერცხის დამატებით), აჭარული და სხვ.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა გულსართიანი ნამზადი რაჭაში, რომელსაც როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაგი დღეების დანიშნულებაც ჰქონდა და რიტუალური ფუნქციაც. ესაა ბაჭულები//ბოხჩუანები ყველის გულსართით, რომელთაც სხვა ხაჭაპურებისაგან განსხვავებით არა მრგვალი, არამედ ოთხკუთხედი ფორმა ჰქონდათ; განატეხები ნიგვზიანი გულით, შეკეცილი//ლობიანი. ეს უკანასკნელი მრავალი სხვა ნამზადის დარად გაცდა კონკრეტული კუთხის საზღვრებს და თავი დაიმკვიდრა ზოგად ქართულ კულინარიაში, განსაკუთრებით ბარბარობის დღესასწაულზე. საქართველოში ლობიოს შემოსვლამდე სხვა პარკოსნებისგან მზადდებოდა, რომელთა სახეობა ოცამდე აღწევს. განსაკუთრებით კი მოიხმარდნენ პარკოსან მცენარე ცულისპირას.

ფენოვანი ქადა-ხაჭაპურებით გამორჩეული კუთხეა მესხეთი, სადაც აღნიშნული ნაწარმი ღორის ქონის გამოყენებით, ტრადიციულ, მამა-პაპურ ფურნეში ცხვება, ცხოვის პროცესი მთელი რიტუალია. ფორმაც გამორჩეულია, რაჭული ბაჭულების მსგავსად ისიც ოთხკუთხა ფორმისაა.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც ცხვებოდა და ცხვება გულსართიანი ქადეები. ისინი მთისა და ბარის სალოცავებისადმი მიძღვილი დღესასწაულების აუცილებელი ნამზადია. ყველა შემთხვევაში ქადეების გული იყო ერბო-კარაქში (შესაძლოა ღორის მუცლის ქონიც) მარილთან

ერთად მოხალური ხორბლის ფქვილი. სურვილის მიხედვით მოხალვის დროს დაატკობდნენ კიდევ.

საქართველოს კუთხეებს შორის ყველაზე ერთგულად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის მთასთან ერთად, რიტუალური და საწესო ხორბლის ნაწარმი და მისი ტრადიციული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დაყენება-ჩატარება, მათში მონაწილეობა, სვანეთმა შემოინახა. აქედან ორი მათგანია უმნიშვნელოვანესი, ლესკარი და ლემზირი. ლესკარი დიდი ზომის ჯვრიანი პურია, რომელიც სათემო დღესასწაულისთვის ცხვება, მაგალითად პეტრე-პავლობისას, „პარპულაშის“ დღესასწაულზე. როგორც ეთნოლოგი როზეტა გუჯეჯიანი აღნიშნავს - „ლესკარი, ლემზირი და სხვა რიტუალური პურები ცხვება ორი დანიშნულებით - ღვთის შესაწირად და მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად (ჩვეულებრივ, ცხვება იმდენი ლემზირი, რამდენი წევრიც არის ოჯახში“ (გუჯეჯიანი 2014)

დაბოლოს, სასიამოვნოა ის ტენდენცია, რომ ჯერ ერთი, წინაპართაგან გადმოცემული ტრადიციები გრძელდება და მეორეც ის, რომ საზოგადოების განწყობა და სურვილია, რიტუალური ნამზადის ცხოვისას გამოიყენონ ქართული ხორბალი. კერძოდ, ენდემურიც, ადგილობრივიც და სულაც რამდენიმე ათწლეულის წინ საქართველოში სელექციის გზით მიღებულიც. დაბოლოს, ჩვენს თვალწინ, ყოველდღიურ ყოფაში ხდება ამ ტრადიციათა გადაცემა, ტრანსმისია მოზარდი თაობისადმი ინტერაქტივით და პრაქტიკული და მენტალური ჩვევების გათავისებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედუკაძე 1960 - წყლით მზრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960
2. ბერნალი 1956 - ბერნალი ჯ., მეცნიერება და საზოგადოების ისტორია, მ., 1956 (რუსულ ენაზე)
3. ბრეგაძე 2004 - ბრეგაძე ნ., საქართველო მიწათმოქმედების დამოყვადებელი კერა, თბ., 2004, გვ. 331-332
4. გოცირიძე 2007 - გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007 გვ. 135-137
5. გუჯეჯიანი 2014 - გუჯეჯიანი რ., სარიტუალო პურების ისტორიიდან სვანეთში, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, ტ.15, თბ., 2014 გვ. 7-23
6. ვავილოვი 1932 - ვავილოვი ნ., მსოფლიო მიწათმოქმედების წარმოშობის პრობლემები ახალი გამოკვლევების შუქზე, მ.-ლ., 1932 (რუსულ ენაზე)
7. მენაბდე 1950. მენაბდე ვ. საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა, თბ., 1950
8. ნასყიდაშვილი 1983 - ნასყიდაშვილი პ., სიხარულიძე მ., ჩერნიში ე., ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი, თბ., გვ. 13-21
9. რუხაძე 1976 - რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976
10. სადუნიშვილი 2021 - სადუნიშვილი თ., მასიაია ი., ბაცაცაშვილი ქ., სიხარულიძე შ., დარჩიძე თ., საქართველოს აგრარული კულტურა, თბ., 2021

11. შილაკაძე 1985 - შილაკაძე მ., ხელსაფქვავი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მემონდვრეობა, თბ., 1985, გვ. 113-122
12. ჩიტაია 1997; ჩიტაია გიორგი, კოლხური სამკალი იარაღი- შნაკვი, შრომები, ტ.1, თბ., 1997, გვ. 127.
13. ჩიტაია 1997; ქართული ხალხური სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, შრომები, ტ. 1, თბ., 1997
14. ჯავახიშვილი 1986 - კავახიშვილი ივანე, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თხზულებები, ტ. 4, ტ 5 თბ., 1986
15. ჯალაბაძე 1986) ჯალაბაძე გიორგი, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986
16. ჯალაბაძე 1960 ჯალაბაძე გ. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960



ენერგეტიკა და ახალი ტექნოლოგიები

მაია ლომსაძე-კუჭავა¹, თამარ წერეთელი², ნინო გიორგიშვილი³, ხათუნა გიორგაძე⁴, გიგა ჯოჯუა⁵

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ³საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ⁴საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ⁵საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ენერგეტიკისა და ახალი ტექნოლოგიების ურთიერთკავშირს და მათ გავლენას თანამედროვე მსოფლიოზე. კვლევა აანალიზებს განახლებადი ენერჯის წყაროების, ენერგოეფექტურობის, ჰკვიანი ქსელებისა და ენერჯის შენახვის ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების როლს, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი ენერგეტიკის სექტორის ტრანსფორმაციაში.

ნაშრომში განხილულია ამ ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებზე. კვლევა ასევე წარმოადგენს პროგნოზებს და რეკომენდაციებს მდგრადი ენერგეტიკული სისტემების განვითარებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობს "მწვანე" ეკონომიკის ჩამოყალიბებას და კლიმატის ცვლილების შერბილებას.

შესავალი

ენერგეტიკა და ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ეს სფერო მოიცავს ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტურობის გაზრდას, გარემოზე ზემოქმედების შემცირებას და მდგრად განვითარებას.

ენერგეტიკისა და ახალი ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებაზე და გარემოზეც, რაც ხელს უწყობს მდგრადი და "მწვანე" მომავლის შექმნას.

ძირითადი ნაწილი

ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი და საგნების ინტერნეტი (IoT), მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგეტიკის სექტორის ტრანსფორმაციაში, ხელს უწყობს ეფექტურობის ზრდას და ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვას.

ენერგეტიკის სექტორი სწრაფად ვითარდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. ინოვაციური მიდგომები ცვლის ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების გზებს. განვიხილოთ ძირითადი მიმართულებები:

1. **განახლებადი ენერჯია:** მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

განვიხილოთ ინფორმაცია განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გაუმჯობესების შესახებ.

მზის ენერჯის ტექნოლოგიები ვითარდება ფოტოვოლტური უჯრედების ეფექტურობის გაზრდით, ახალი მასალების გამოყენებით და ენერჯის შენახვის სისტემების გაუმჯობესებით. მაგალითად, პეროვსკიტის მზის ელემენტები იჩენს დიდ პოტენციალს მაღალი ეფექტურობისა და დაბალი წარმოების ხარჯების გამო. მრავალშრიანი და ტანდემური მზის ელემენტები კიდევ უფრო ზრდის ენერჯის გარდაქმნის ეფექტურობას. მზის ენერჯის შენახვის ტექნოლოგიებიც ვითარდება, რაც მოიცავს გაუმჯობესებულ ბატარეებს და თერმული ენერჯის შენახვის სისტემებს. ეს საშუალებას იძლევა მზის ენერჯია გამოყენებულ იქნას მაშინაც კი, როცა მზე არ ანათებს.

მზის პანელების ეფექტურობის ზრდა

1970-იან წლებში, პირველი კომერციული მზის პანელები მხოლოდ 6% ეფექტურობას აღწევდნენ. ეს ნიშნავს, რომ მზის ენერჯის მხოლოდ 6% გარდაიქმნებოდა ელექტროენერჯიად.

2000 წლისთვის, სტანდარტული სილიკონის მზის პანელების ეფექტურობამ 15%-ს მიაღწია.

2010 წლისთვის, მაღალი ხარისხის კომერციული პანელები უკვე 20% ეფექტურობას სთავაზობდნენ მომხმარებლებს.

2023 წლისთვის, ზოგიერთი პრემიუმ კლასის კომერციული პანელი 22-23% ეფექტურობას აღწევს.

ლაბორატორიულ პირობებში კი უახლესი ტექნოლოგიები კიდევ უფრო შთამბეჭდავ შედეგებს აჩვენებს. მაგალითად, 2022 წელს მკვლევარებმა შექმნეს პეროვსკიტ-სილიკონის ტანდემური უჯრედი, რომელმაც 31.25% ეფექტურობას მიაღწია.

ეს პროგრესი ნიშნავს, რომ დღეს იგივე ფართობის მზის პანელი თითქმის ოთხჯერ მეტ ენერჯიას გამოიმუშავებს, ვიდრე 1970-იან წლებში. ეს კი ამცირებს საჭირო პანელების რაოდენობას, ფართობს და საბოლოო ჯამში, ენერჯის ღირებულებას.

ქარის ენერჯის სფეროში ტექნოლოგიური პროგრესი ძირითადად ფოკუსირებულია უფრო დიდი და ეფექტური ტურბინების შექმნაზე. თანამედროვე ტურბინები აღწევს 12 მეგავატზე მეტ სიმძლავრეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ენერჯის გამომუშავებას თითოეულ ტურბინაზე. ოფშორული ქარის ფერმების განვითარება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

მიმართულებაა, რადგან ზღვაში ქარი უფრო ძლიერი და სტაბილურია. მცურავი ქარის ტურბინების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა ქარის ფერმები განთავსდეს ღრმა წყლებში. ვერტიკალური ღერძის ტურბინები კი ოპტიმიზირდება ურბანული გარემოსთვის, სადაც ქარის მიმართულება ხშირად იცვლება.

ქარის ტურბინების ზომისა და სიმძლავრის ზრდა

1980-იანი წლების დასაწყისში, ტიპური კომერციული ქარის ტურბინა იყო დაახლოებით 15 მეტრის სიმაღლის და 50 კილოვატი სიმძლავრის. ასეთ ტურბინას შეეძლო დაახლოებით 15-20 სახლის ელექტროენერგიით მომარაგება.

1990-იანი წლების შუა პერიოდში, ტურბინების სიმაღლემ 40 მეტრს მიაღწია, ხოლო სიმძლავრემ - 500 კილოვატს. ეს უკვე საკმარისი იყო 200-მდე სახლის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის.

2000 წლისთვის, ყველაზე დიდი ტურბინები უკვე 80 მეტრს აღწევდნენ სიმაღლეში და 1.5 მეგავატი სიმძლავრე ჰქონდათ, რაც საკმარისი იყო 500-მდე სახლისთვის.

2010 წლისთვის, უდიდესი ხმელეთის ტურბინები 125 მეტრს აღწევდნენ სიმაღლეში და 3.5 მეგავატი სიმძლავრე ჰქონდათ, რაც უკვე 1000-ზე მეტ სახლს უზრუნველყოფდა ელექტროენერგიით.

3. Cornish PM: The effects of roading, harvesting and forest regeneration on stream water turbidity levels in a moist eucalypt forest. *Forest Ecol Manag* 2001, 152:293–312.
4. Forsyth AR, Bubb KA, Cox ME: Runoff, sediment loss and water quality from forest roads in a southeast Queensland coastal plain Pinus plantation. *Forest Ecol Manage* 2006, 221(1–3):194–206.
5. Ramos-Scharro'n CE, MacDonald LH: Runoff and suspended sediment yields from an unpaved road segment, St. John, US Virgin Islands. *Hydrol Processes* 2007, 21(1):35–50.
6. Duncan SH, Ward JW, Anderson RJ: A method for assessing landslide potential as an aid in forest road placement. *Northwest Science* 1987, 61(3):152–159.
7. Larsen MC, Parks JE: How Wide is a Road? The Association of Roads and Mass-Wasting in a Forested Mountain Environment. *Earth Surf Process Landforms* 1997, 22:835–848.
8. Geneletti D: Biodiversity Impact Assessment of roads: an approach based on ecosystem rarity. *Environ Impact Assess Rev* 2003, 23:343–365.
9. Chomitz KM, Gray DA: Roads, land use, and deforestation: a spatial model applied Belize. *World Bank Econ. Rev* 1996, 10:487–512.

Impact on the environment and expected results of the highway construction process

Merab Baratashvili¹, Elene Gamkrelidze², Tornike Baratashvili³

¹Akaki Tsereteli State University -associate professor, ²Akaki Tsereteli State University associate professor, ³Akaki Tsereteli State University doctoral student

Abstract

The article discusses the peculiarities of construction of highways in difficult relief conditions, the expected dangers affecting the environment and the highway, which arise in case of opening the slopes on the terrain on the side of the road. The measures are presented, if they are taken into account, the reliability of roads increases and the scale of negative impact on the environment during its construction and operation is significantly reduced.

Keywords: Motorway. Environmental protection. road reliability. difficult terrain. terraces. open slopes. Destruction of slopes

პიროვნების იერარქიული სტრუქტურა და გამოყენება პრაქტიკაში გოროშიძე გიორგი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში ნაცადია პიროვნების ფსიქიკის ორგანიზაციის უმწვავესი საკითხების ისეთი სისტემატიზება როგორცაა: ფსიქიკურ პროცესთა სტრუქტურა, პიროვნების სტრუქტურა, მოტივაციური სისტემის სტრუქტურა და სხვა სახის სტრუქტურები, რომლებიც სხვა ფსიქიკურ მოვლენებთან და პროცესებთან შედარებით ნაკლებად ექცევიან მეცნიერთა ყურადღების ველში. მაშინ, როდესაც პიროვნების სტრუქტურის ადეკვატური გააზრება ძალიან ბევრის მთქმელია ადამიანის მოქმედების და ქცევის წარმართველი ფსიქიკური მექანიზმების შესახებ. პიროვნების სტრუქტურის გაგებაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკის იერარქიულ ორგანიზაციას, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანის ქცევის შეფასებაში შესაძლებელი გახდეს უფრო ადეკვატური დასკვნის მიღება. მიდგომის ვარგისობა დასტურდება პრაქტიკულ დარგებში გამოყენების შესაძლებლობით. მათ შორის აღსანიშნავია სამართალი, როგორც სოციალურ მეცნიერებებში შემავალი დარგი

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, სტრუქტურა, მოტივაცია, იერარქია, ქცევა.

როდესაც პიროვნების ქცევის გამშვები მექანიზმის შესახებ იწყება მსჯელობა, პირველი, რაზედაც ყურადღების მიპყრობა ხდება, არის მოტივაცია და მისი თავისებურებანი. დღეისთვის მოტივაციის არაერთი თეორია არსებობს ფსიქოლოგიის მეცნიერებაში, მაგრამ მათ შორის ყოვლისმომცველი, აღიარებული და ყველაზე მეტად გავრცელებული არის მოტივთა იერარქიული თეორია, შემუშავებული ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლის **აბრაამ მასლოუს** მიერ. როდესაც ადამიანის მოტივაციის შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა, პირველ რიგში სწორედ **ა. მასლოუს** მოტივთა იერარქიული თეორია განიხილება. ფსიქიკურ პროცესთა იერარქიზაცია აღმოჩნდა ადამიანის ქმედებათა შესახებ წარმოდგენების სისტემატიზებისთვის უაღრესად მაღალეფექტიანი ფაქტორი, რომელიც მეცნიერებს ეხმარება ადამიანის მოქმედებისთვის სწორი და ადეკვატური ორიენტირების გამოკვეთაში [1]. ქვემოთ მოყვანილია მისი მოტივაციური პირამიდა (ნახ.1):



ნახ. 1

ადამიანის ქცევის შესწავლის საკითხების სირთულე და მრავალასპექტიანობა წარმოშობს იმის საჭიროებას, რომ მისი მოქმედების მამოძრავებელი ძალების იერარქიული განლაგება მაქსიმალური სიცხადით და ადეკვატურობით იყოს წარმოდგენილი. ასევე არ არის მიზანშეწონილი მოტივთა იერარქიული საფეხურების დიდი რაოდენობის გამოყოფა, რომელმაც მსჯელობათა გართულების შედეგად შესაძლებელია შექმნას წინააღმდეგობათა გადაულახავი სიმრავლე, რაც მოვლენათა შეფასების დამაბრკოლებელი იქნებოდა. ამიტომ ადამიანის ქცევების მოტივთა იერარქიული საფეხურების მინიმალური რაოდენობა ყველაზე უფრო ადეკვატურად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ამ მინიმალურ რაოდენობად ყველა მაჩვენებლის მიხედვით მიჩნეულია სამი, რაც არც მეტია და არც ნაკლები იმისთვის, რომ მაქსიმალურად ნათელი გახდეს ადამიანის ქცევის მექანიზმების სპეციფიკური თავისებურებანი მეცნიერთა უმნიშვნელოვანეს მიგნებებზე დაყრდნობით. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადამიანთა ქცევების განმსაზღვრელი მექანიზმების იერარქიზაციის წარმატებული მცდელობები ერთის მხრივ, ფსიქოლოგიის სფეროში, ხოლო მეორეს მხრივ ეკონომიკის სფეროში. ფსიქოლოგია და ეკონომიკა ხშირად იკვეთებიან ერთმანეთთან ადამიანის ქცევის გააზრების საკითხში როგორც სოციალურ მეცნიერებათა დიდ ოჯახში შემავალი დარგები. ფსიქოლოგიაში ქცევის მამოძრავებელ მოტივთა იერარქიული სისტემა, რომელიც შეიმუშავა აბრაამ მასლოუმ და შეიცავდა უპირატესად ხუთ საფეხურს (მათი ასეთი რაოდენობაც კი პრობლემურად გამოიყურება პრაქტიკული საკითხების ეფექტიანად გადაწყვეტისთვის) ერთგვარად დაბალანსებული იქნა ეკონომიკის სფეროში მსგავსი კონცეფციის ჩამოყალიბებისას. ეს კონცეფცია ადამიანის მოტივთა იერარქიული საფეხურების გამოყოფისთვის იყენებს ზოგადობის კრიტერიუმს, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია იერარქიული სისტემების შემუშავების დროს. ეს მიდგომა დღის წესრიგში დააყენა სოციალური მოვლენების ეკონომიკურმა გააზრებამ მრავალი პრაქტიკული საკითხის ეფექტიანად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ საკითხების დიდი სიმრავლე აუცილებლობით ითხოვს მკაფიო და კომპაქტური მოდელების გამოყენებას, რათა წინააღმდეგობათა აღმოცენების შესაძლებლობები იქნას მინიმიზებული (აქსიომატურია ის, რომ სისტემის სირთულე განაპირობებს შეცდომების სიმრავლეს).

ამრიგად, სოციალური პროცესების ეკონომიკურმა გააზრებამ და ამ პროცესებში არსებული პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტის დიდმა აუცილებლობამ ხელი შეუწყო ადამიანის მამოძრავებელი მოტივების ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელშიც იერარქიული საფეხურების მინიმალური რაოდენობა იქნებოდა გამოყოფილი. ეს ამოცანა უაღრესად დიდი წარმატებით განახორციელა მარკეტინგის დარგის უდიდესმა მეცნიერმა **ფილიპ კოტლერმა**, რომელიც აკადემიურ წრეებში და აგრეთვე პრაქტიკოსთა სფეროებშიც უპრეცედენტოდ მაღალი აღიარებით და მეცნიერული ნაყოფიერებით არის გამორჩეული (გამოცემული აქვს 100-ზე მეტი წიგნი). კერძოდ, მარკეტინგის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის მწვავე საჭიროებებიდან გამომდინარე, მის მიერ გამოყოფილი იქნა იერარქიის განმსაზღვრელი ზოგადობის სხვადასხვა ხარისხის მქონე მოტივების შემდეგი სამეული: **საჭიროება, მოთხოვნილება, მოთხოვნა**. მისი იერარქიული მიდგომა ეყრდნობა როგორც ეკონომიკურ ურთიერთობებში დაგროვებულ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას, ისე ადამიანის ქცევის გამომწვევი მექანიზმების მეცნიერული გააზრების საფუძვლიანობას და დამაჯერებლობას. მოტივთა ეს სამსაფეხურიანი იერარქიული სისტემა არის ადამიანის ქცევის უზოგადესად აღმწერი და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც „გამჭოლ“ მოდელს, ადამიანთა მოქმედების პრაქტიკულად ყველა სფეროსთვის. ამ გაგებით იგი ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე მიდგომასაც წარმოადგენს და უდავოდ ვარგისია ადამიანის ქცევისეული პრობლემების მეტი ეფექტიანობით გადაწყვეტისთვის. როგორც ყველასთვის ცნობილია, ფ. კოტლერს თავის ნაშრომებში ძალიან დიდი მოცულობით და წარმატებით აქვს გამოყენებული ფსიქოლოგიის დარგში დაგროვებული ცოდნა ადამიანის ფსიქიკური აქტივობებისა და მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებებების შესახებ, რაც კოტლერის ხედვებს უმნიშვნელოვანესს ხდის ფსიქოლოგიის დარგისთვისაც.

ფ. კოტლერის მოტივთა იარერქიულ მოდელში ყველაზე მაღალი ზოგადობის მქონე საფეხურზე წარმოდგენილია **საჭიროება**, რომელიც ჯერ დაუკონკრეტებელი „ობიექტის“ დანაკლისის სახით განიცდება და აღძრავს მოქმედების იმპულსს, რომელიც საძიებო აქტივობების გაშლას ემსახურება. მის ქვედა საფეხურზე წარმოდგენილია **მოთხოვნილება**, რომელიც უკვე კონკრეტული ობიექტის დანაკლისის სახით განიცდება და აღძრავს კონკრეტული მოქმედების იმპულსს მისი მიღებისთვის, მოპოვებისთვის. იერარქიის სულ დაბალ საფეხურზე წარმოდგენილია **მოთხოვნა**, რომლის დროსაც კონკრეტული ობიექტის დანაკლისის განცდასთან ერთად ადამიანი იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს ამ ობიექტის მოპოვებისთვის და ღებულობს მას. რეალური და კონკრეტული ეკონომიკური პროცესები უპირატესად სწორედ ამ საბოლოო აქტივობებს ითვალისწინებს, თუმცა მარკეტინგი თავის მუშაობას აწარმოებს მოტივთა იერარქიის ზედა დონეებზეც იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ქვედა პირველ საფეხურზე მყოფი მოთხოვნის ზრდას, ვინაიდან ეს არის მომხმარებლთა კონკრეტული ქმედებების (ყიდვების) დონე, რომელიც შემოსავლების განმსაზღვრელია და ამიტომ იმსახურებს დიდ ყურადღებას. როგორც უკვე აღინიშნა, მოტივთა ეს სამსაფეხურიანი იერარქიული მოდელი თავისი ლოგიკით უნივერსალური ხასიათისაა და ნებისმიერ დარგში, სფეროში ეფექტიანად შეიძლება იქნეს გამოყენებული, მათ შორის ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, სამართლის სფეროში და ყველგან, სადაც

ადამიანის ქცევა და მისი განმაპირობებელი მექანიზმები შესწავლის საგნად არის გადაქცეული [2].

ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის დარგებში ადამიანის ქცევის გამომწვევი მოტივაციის იერარქიული მოდელი პირველ რიგში პიროვნების სტრუქტურასთან შესაბამისობაში უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან მოქმედებას ახორციელებს ადამიანი და არა მის მოტივთა ერთობლიობა. შეუძლებელია პიროვნების მამოძრავებელი მოტივები ერთიანდებოდეს იერარქიულ სისტემაში, ხოლო თავად იგი არ იყოს „დანაწევრებული“ მის შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულებად, რომლებიც ერთიანდებიან პიროვნებაში, როგორც ერთ მთლიანში. ეს გარემოება განსაკუთრებით ხაზგასმულია დ. უზნაძის განწყობის თეორიაში, რომლის საყრდენი პოსტულატებიც მეცნიერებაში უდავოდ სამართლიანად არის მიჩნეული მარადიულ ჭეშმარიტებებად. პიროვნების „განაწევრებული მთლიანობა“ დღის წესრიგში აყენებს პიროვნებაში მის იმ შემადგენელ ელემენტთა გამოკვეთის და შესწავლის საკითხებს, რომელთა გააზრებაც აუცილებელია იერარქიულობის კუთხითაც. ეს შექმნის მთლიანი პიროვნებისა და მისი მამოძრავებელი მოტივაციის ურთიერთმიმართების შესაბამისობის (კონგრუენტულობის) საფუძველს. ამრიგად მწვავედ საჭირო ხდება ისეთი პიროვნული „ცვლადების“ გამოყოფა, რომლებიც დაექვემდებარება იერარქიზაციას, რათა შემუშავებული იქნას პიროვნების მაღალი ხარისხის მთლიანობის არაწინააღმდეგობრივი მიდგომა, როგორც არის ჩამოყალიბებული დ. უზნაძის განწყობის თეორიაში [3]. ამრიგად, იერარქიზაცია, როგორც ფსიქიკურ მოვლენათა სისტემის მომწესრიგებელი ფაქტორი, შემოთავაზებული აბრაამ მასლოუს მიერ, ხოლო მხარდაჭერილი და მოდიფიცირებული პრაქტიკულ მარკეტინგულ საჭიროებებზე მოსარგებად ფილიპ კოტლერის მიერ აღმოჩნდა უაღრესად ნაყოფიერი და სიცოცხლისუნარიანი, რითიც დამსახურებულად მოიპოვა უნივერსალურობის სტატუსი და გზა გაუხსნა მეცნიერულ კვლევა-ძიებას ისეთ დარგებში, რომლებიც შეისწავლიან ადამიანის ქცევას. ესენია: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა სამართალი და სხვ. ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი მოვლენების იერარქიზაცია არის მეცნიერული აზრის ის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც როგორც ბაზისური ფაქტორი ყოველთვის უნდა იქნას გამოყენებული საკვლევ მოვლენათა ადეკვატური გააზრებისთვის.

პიროვნების როგორც „განაწევრებული მთლიანის“ შესახებ პოპულარული მეცნიერული კონცეფცია შენუშავებული აქვს დ. უზნაძის გამორჩეულ და ყველაზე პროდუქტიულ მიმდევარს აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს [4]. იგი ადამიანს განიხილავს როგორც **ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების** ერთობლიობას. ეს სამი ფსიქიკური კონსტრუქტი ადამიანის ფსიქიკური განვითარების კრიტერიუმის საფუძველზე არის დალაგებული, მაგრამ მათ იერარქიულობაზე მკაფიო მსჯელობები განვითარებული არ არის. იერარქია ადამიანის ქცევის გაგების მნიშვნელოვან მოვლენად მხოლოდ ინტერდისციპლინურ ჭრილში შეიძლება იქნეს გააზრებული, რისი ტრადიციებიც სოციალურ მეცნიერებათა დარგებში ჯერ არ არის სათანადოდ დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, არსებობს იმის საფუძველები, რომ სხვა საგულისხმო მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდეს ამ დანაკლისის შევსება. კერძოდ ეს ეხება ადამიანის ფსიქიკური განვითარების სტადიების უფრო „კომპლემენტარულ“

(შემავსებელ) გააზრებას და იერარქიული სისტემებისადმი მის მისადაგებას. ადამიანის ფსიქიკური განვითარების პირველ სტადიაზე ხდება **ინდივიდის** ფორმირება, რომელიც დაკავებულია ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და ადაპტაციური აქტივობების განხორციელებით. მთელი ევოლუციის პროცესი ცოცხალი არსებებისგან პირველ რიგში ასეთი მოქმედებების შესრულებას მოითხოვდა. განვითარება გრძელდება და ადამიანი თანდათანობით გადადის მისი ფსიქიკის განვითარების ახალ, მომდევნო ეტაპზე, რომლის ფარგლებშიც იგი აფართოებს და ართულებს თავის სამოქმედო პროგრამებს, ანვითარებს შემეცნებით აქტივობებს, ქმნის თავის ყოფის გამაუმჯობესებელ ტექნიკურ საშუალებებს, იგი თავს განიცდის ყველა მისი აქტივობის ავტორად, **სუბიექტად**. განხორციელებული აუცილებელი და მრავაფეროვანი საქმიანობის ხელშეწყობით და მასში განვითარდებული თვითცნობიერების ფონზე უკეთ ცნობიერდება საკუთარი პიროვნება სხვებთან მიმართებაში. იზრდება სოციალური ფაქტორის მნიშვნელობა შრომაში, იზრდება მისი დანაწილების აუცილებლობა. ასევე აქტიურდება უსაფრთხოების პირობების შექმნის სოციალური მექანიზმები, იქმნება ადამიანთა დიდი გაერთიანებები და მათი ეფექტიანი მართვის საჭიროება, დგება ადამიანებს შორის ურთიერთობათა წესების შემოღების აუცილებლობა, იწერება ყველასთვის სავალდებულო კანონები და სხვ. დგება ადამიანის პირადი პასუხისმგებლობების ეტაპი, სხვათა მიმართ ვალდებულებების გაცნობიერება და დიდ მნიშვნელობას იძენს **პიროვნული** მიდგომები, ქმედებები და მათი თავისებურებანი. ამ სტადიაზე ადამიანი გვევლინება როგორც განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი არსება, რომელიც ეფექტიანად უმკლავდება სოციალურ ადმოცენებულ გამოწვევებს.

როდესაც ადამიანი გადადის განვითარების მომდევნო სტადიაზე, წინა სტადიასთან დაკავშირებული მისი სამოქმედო პროგრამები არსად არ ქრება. ისინი როგორც საფუძველი ქმნიან წინა პირობებს მომდევნო სტადიაზე როგორც ზედნაშენზე გასასვლელად. ამდენად, ეს სტადიები ერთმანეთისგან იზოლირებულად კი არ არსებობენ, არამედ ერთმანეთისგან გამომდინარეები არიან და ქმნიან უწყვეტ პროცესს. ყოველი მომდევნო სტადია უფრო მეტის მომცველია და უფრო ზოგადია ვიდრე წინა. ამ თვალსაზრისით ლოგიკურია, რომ აღნიშნული სტადიები ქმნიდნენ ადამიანის აქტივობათა იერარქიულ სისტემას ა. მასლოუს მოტივთა იერარქიული სისტემის მსგავსად: **ინდივიდი - სუბიექტი - პიროვნება**. ფსიქიკის ეს **ტრიადული მოდელი** შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად: „ინდივიდი“ არის ორგანიზმული და ინსტინქტური მოქმედებების განმახორციელებელი არსება; „სუბიექტი“ წარმოადგენს რეფლექსირების უნარის მქონე ადამიანის ცნობიერი და კონტროლირებადი მოქმედების წყაროს; ხოლო „პიროვნება“ წარმოადგენს საზოგადოების მიერ აღიარებული ურთიერთობების ნორმების გამზიარებელს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მისი ადეკვატური და მიზანშეწონილი ადაპტაცია სოციალურ გარემოსთან. ეს მოდელი თავის ადეკვატურობას და ფუნდამენტურობას ავლენს აგრეთვე იმ მხრივაც, რომ საგულისხმო კავშირების და პარალელების გავლების შესაძლებლობას იძლევა ფსიქიკის შემსწავლელი ისეთი გამოჩენილი მეცნიერის ნააზრევთან და ფსიქოდინამიკური მიმდინარეობის ფუძემდებელთან როგორცაა ზიგმუნდ ფროიდი. ფროიდის მიხედვით ადამიანის ფსიქიკა სტრუქტურირებულია და პიროვნება შედგება 3 კომპონენტისგან: **იდი - ეგო - სუპერეგო**. „იდი“

წარმოადგენს მოქმედების წარმართველი გაუცნობიერებელი იმპულსების წყაროს, „ეგო“ წარმოადგენს ფსიქიკის ცნობიერი აქტივობების განხორციელების სივრცეს, ხოლო „სუპერეგო“ წარმოადგენს საზოგადოების მიერ გაზიარებული გარკვეული სახის ქცევების ამკრძალავი ნორმების ერთიან სისტემას. ისინი მოქმედებენ ერთიანობაში, განაპირობებენ ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებას და მის შესაბამისობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესთა მრავალფეროვნებასთან [5].

ამ ორივე მოდელში მათი შემადგენელი კომპონენტების დალაგება ხდება ქვევიდან ზევით მიმართულებით ანუ დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურამდე. აღნიშნული მოდელები ძალიან საგულისხმოა და გამოსაყენებელია იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, დიდად განებივრებული არ არის პიროვნების სტრუქტურის შესახებ კონცეფციების სიმრავლით. შ. ნადირაშვილის ტრიადულ მოდელში ქვედა საფეხურზე დგას **ინდივიდი**; შუა საფეხურზე დგას **სუბიექტი**; ზედა საფეხურზე დგას **პიროვნება**, ხოლო ზ. ფროიდის ტრიადულ მოდელში ქვედა საფეხურზე წარმოდგენილია **იდი**; შუა საფეხურზე - **ეგო**; ხოლო ზედა საფეხურზე - **სუპერეგო**. მართალია აღნიშნულ დიდ მეცნიერთა ნააზრევში უშუალო, პირდაპირი საუბრები ფსიქიკურ მოვლენათა იერარქიის შესახებ არ გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ მათ დიდი გარღვევა განახორციელეს ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურის გარკვევის საკითხში, რომელიც გაცილებით უფრო აადვილებს შემდგომი კვლევა-ძიების ჩატარებას ფსიქიკის და პიროვნების ორგანიზაციის გარკვევის საქმეში. ეს მიდგომები იმიტომ არის ფუნდამენტურები, რომ ძალიან ახლოს დგანან მისი ფსიქობიოლოგიური განვითარების შესახებ საბუნებისმეტყველო წარმოდგენებთან. ეს წარმოდგენები ითვალისწინებს ცოცხალი ბუნების ევოლუციური განვითარების პროცესის კანონზომიერებებს და უარყოფას არ ექვემდებარებიან. თვალსაჩინოებისთვის ნათქვამი ქვემოთ არის წარმოდგენილი **სქემა 1** სახითაც:

სქემა 1

ზიგმუნდ ფროიდის ტრიადული მოდელი	შოთა ნადირაშვილის ტრიადული მოდელი
სუპერეგო _____	_____ პიროვნება
ეგო _____	_____ სუბიექტი
იდი _____	_____ ინდივიდი

ორივე ტრიადული მოდელის სამივე კომპონენტი ადამიანის ქცევაში ერთდროულად აქტივობს, მაგრამ შეიძლება სხვადასხვა „წონით“ იყოს წარმოდგენილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი, როგორც სრულყოფისკენ სწრაფვის მქონე არსება, ყოველთვის ვერ ასწრებს ყველა სტადიის თანაბარი წარმატებით გავლას და ამიტომ შეიძლება შემადგენელი

კომპონენტების წონების სხვადასხვა კონფიგურაციებთან გვექონდეს საქმე. ყველაზე მეტად სასურველი არის ის, რომ სამივე კომპონენტი მაქსიმალურად იყოს განვითარებული და მოქმედებდეს სინერგიულად. ქცევის წარმართველი პროგრამა ყოველთვის ითხოვს აქტივობათა კოორდინაციას და ეს, ჩვეულებრივ ინტელექტის მეშვეობით ხორციელდება. თუკი ადამიანის ქცევაში ხსენებული სამი კომპონენტიდან რომელიმე ერთია უფრო მეტად გააქტიურებული, მაშინ იგი ღებულობს ქცევის წარმართვის ფუნქციას მისთვის შესტყვისი ინტელექტუალური ოპერაციების გამოყენებით და ახდენს ამ ფუნქციის შესრულებას. აქ უკვე დღის წესრიგში დგება ინტელექტის სახეობათა დიფერენცირების აუცილებლობა, რის შედეგადაც უფრო გასაგები ხდება განხორციელებული მოქმედების თავისებურება.

აღნიშნული ტრიადული მოდელების ყოველი საფეხურის შესატყვისი მოქმედებას თავისი მათემატიკური მექანიზმი ესაჭიროება, რომელიც განვითარების უწყვეტი პროცესის მოთხოვნათა ფარგლებში ადამიანს შეაძლებინებს დინამიური გარემოსადმი წარმატებით შეგუებას (ადაპტაციას). ეს მათემატიკური მექანიზმი მისი არსებობის და სტაბილური ფუნქციონირების გარანტორია. იგი ადამიანის უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს, რომელიც ფუნდამენტურად შეისწავლა უდიდესმა მეცნიერმა ჟან პიაჟემ. ადაპტაციის კვლევის სფეროში ჟან პიაჟე სრულიად სამართლიანად აღიარებულ ავტორიტეტად არის მიჩნეული. მისი კონცეფციის მიხედვით, ცვალებად გარემოსადმი ადამიანის შეგუება მისი ინტელექტის მეშვეობით ხორციელდება. ინტელექტი კი არის ფსიქიკური შინაარსებით ოპერირების უნარი, რომლის ჩამოყალიბებაც ადამიანის განვითარების პროცესში ხდება და რომელიც უზრუნველყოფს მის ხელთ არსებულ შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას. ჟ. პიაჟეს კონცეფციაში ოპერირების უნარი აძლევს ადამიანს ობიექტურ გარემოში სწორად გარკვევისა და მის მიმართ ადეკვატური და მიზანშეწონილი ადაპტაციის განხორციელების შესაძლებლობას. ოპერირების უნარის გარეშე ადგილი ექნებოდა ადამიანთა აქტივობებში ხისტი სამოქმედო სქემების შემუშავებას და შენახვას, რის გამოც ცვალებად გარემოსთან ურთიერთობაში მათი გამოყენება და ამ გარემოსთან ადაპტირება უფრო წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, რითიც პრობლემებს შეუქმნიდა ადამიანთა სასიცოცხლო პროგრამების წარმატებით განხორციელებას და მათი სტაბილური ფუნქციონირების შენარჩუნებას [6].

ოპერირების უნარი უნივერსალური უნარია და ნებისმიერ აქტივობაში ღებულობს მონაწილეობას, განსაზღვრავს ქცევისეულ პროცესთა მიმდინარეობის თავისებურებას, მაგრამ ეყრდნობა აქტივობის მოცემული დონისთვის ადეკვატურ ფსიქიკურ განცდებს და მდგომარეობებს. ამიტომ ერთი და იგივე ინტელექტუალური ოპერაცია ფსიქიკურ მდგომარეობათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა თავისებურებით იქნება გამოვლენილი და სხვადასხვა სამოქმედო პროგრამის სახით იქნება წარმოდგენილი. ეს ოპერაციები იერარქიის ყველა დონეზე იმთავითვე წარმოდგენილი არ არის. ამიტომაც საჭირო მათი შემუშავება და განმტკიცება სამივე საფეხურის შინაარსებთან მიმართებაში. ადამიანის აქტივობათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურის სპეციფიკით გამოწვეული ასეთი განსხვავებულობანი თითოეული საფეხურის შესაბამისი ინტელექტის შემუშავებაზე და განმტკიცებაზე მიაწინებს. განვითარების პროცესში ადამიანს იმთავითვე არ ეძლევა

აღნიშნული ინტელექტების თანაბარი განვითარების უზრუნველყოფი მექანიზმი, თუმცა ძალიან დიდია იმის სასურველობა, რომ სამივე დონის ინტელექტი მაქსიმალურად იყოს განვითარებული. ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში ხდება აქტუალური, როდესაც რომელიმე პირი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი პოზიციის დაკავებისთვის იღწვის. ორგანიზაციების ხელმძღვანელს კი ბევრი რამ მოეთხოვება თავისი განვითარებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

თუკი ადამიანის ფსიქიკურ განვითარების პროცესში უფრო ინდივიდის დონის ქცევის მექანიზმებია დაწინაურებული, მაშინ საქმე გვაქვს ისეთ პიროვნებასთან, რომელიც თავისი ინსტიქტებისა და ემოციების კარნახით მოქმედებს. ეს განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურია და შორეული ეპოქის ადამიანების ქცევის თავისებურებას ემსგავსება. ასეთი ადამიანი სრულიად დაუშვებელია რომ იმყოფებოდეს რაიმე ხელმძღვანელ პოზიციაზე, ვინაიდან მისი წამყვანი თვისებები - მტაცებლობა, დაუნდობლობა, არაჰუმანურობა და ა.შ. იქნება დიდი პრობლემების წარმომშობი იმ ორგანიზაციაში, რომელსაც იგი მოცემულ მომენტში ხელმძღვანელობს. ასეთი ადამიანი წესით ორგანიზაციის განვითარებისთვის ვერასოდეს მოიცლის თავის პირადი ინტერესების ტყვეობაში ყოფნის გამო. ამ დონეზე აქტივობათა მორგანიზებელი მექანიზმის როლში „ემოციური ინტელექტი“ გვევლინება [7]. ევოლუციის პროცესში სწორედ ემოციური ინტელექტის მაღლით ახერხებდნენ ცოცხალი არსებები მტრულ გარემოში თავიანთი გადარჩენის ამოცანების შესრულებას. ემოციები იყო მათი ქცევებისთვის მიმართულების მიმცემი და ამიტომ ითვლებიან ისინი პირველად ფსიქიკურ პროცესებად და სამოქმედო მექანიზმებად. ამ მოვლენას თავისი ანატომიური დადასტურებაც აქვს თავის ტვინის ურთულეს აგებულებაში ემოციების ცენტრების „ძველ ტვინში“ განლაგების სახით; იმ ტვინში, რომელიც ევოლუციის პროცესში ინდივიდთა გადარჩენის ამოცანების გადაწყვეტის სამსახურში იმყოფებოდა.

თუკი ადამიანის ფსიქიკურ განვითარების პროცესში უფრო სუბიექტის დონის ქცევის მექანიზმებია დაწინაურებული, მაშინ საქმე გვექნება ისეთ ადამიანთან, რომელიც უფრო გონების კარნახით მოქმედებს და ყველა აქტივობებს უმთავრესად მას უქვემდებარებს. ამ დონეზე ქმედებათა მორგანიზებელ მექანიზმად „კოგნიტური ინტელექტი“ გვევლინება. მსგავს აქტივობებში ხშირი ჩართულობის გამო ასეთი ადამიანი ფორმალურ-ლოგიკური ოპერაციების განვითარებულობით გამოირჩევა. აგრეთვე აბსტრაგირების განვითარებული უნარის მაღლით იგი ლოგიკური აზროვნების პროცესში ნაკლებ ყურადღებას უთმობს წანამძღვრების მნიშვნელობას. მისთვის ყველა განხილული და შეფასებული მოვლენა, ადამიანი თუ საგნები მსგავსი მნიშვნელობისაა და ლოგიკური დასკვნები გამოიყვანება მსჯელობისთვის აუცილებელი წანამძღვრების მნიშვნელობათა დიფერენცირების გარეშე. ასეთი ადამიანის გონება ემსგავსება ტექნიკურ ინტელექტს, რომელიც წინასწარ შექმნილი პროგრამის თუ ალგორითმის ფარგლებში მოქმედებს. გონებრივი აქტივობის ასეთი სტილის მქონე ხელმძღვანელი პირი, მის სამოქმედო „პროგრამაში“ ადამიანური ფაქტორის გაუთვალისწინებლობის გამო, ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ადამიანური პრობლემების

წარმომშობი შეიძლება აღმოჩნდეს, რის შედეგადაც ორგანიზაციის კოლექტივში მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუარესებას გამოიწვევს.

ადამიანის განუწყვეტელი განვითარების პროცესი კოგნიტურ ინტელექტზე არ ჩერდება და მისი მენტალობის უფრო მაღალი საფეხურის მოვლენებთანაც მოდის შეხებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია **ლოურენს კოლბერგის** კვლევები ადამიანის მორალური განვითარების შესახებ [8]. მისი კვლევებით შესაძლებელი გახდა რომ უფრო გამდიდრებული შინაარსი შემენოდა წარმოდგენებს ადამიანის მორალური განვითარებისა და მისი მორალური მრწამსის შესახებ. ბოლო დროს გააქტიურებული კვლევები აშკარად მიანიშნებს ამ მოვლენის ფართოდ შესწავლის აუცილებლობაზე, რომელიც ადამიანის განვითარების უმაღლეს საფეხურად არის მიჩნეული. შესაბამისად მორალთან მიმართებაში ადამიანის ინტელექტმაც მიიქცია მეცნიერთა დიდი ყურადღება მისი უზადლო მკვლევარის ჟან პიაჟეს კვლევებიდან დაწყებული [9], [10], [11]. გახშირდა მეცნიერული განაცხადები **„მორალური ინტელექტისა“** და მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის შესახებ ადამიანის მენტალობისა და ქცევების ორგანიზებაში. ფსიქიკური განვითარების უმაღლეს საფეხურს ადამიანის მაღალი მორალური მრწამსი წარმოადგენს, რომლის მიღწევაც „მორალური“ ინტელექტის მაქსიმალური განვითარებით არის შესაძლებელი. მორალური ინტელექტის განვითარებაში შეფერხების შემთხვევაში ადამიანი ინსტინქტური, ეგოისტური, ფორმალური მიდგომების და მისწრაფებების კარნახით მოქმედებს, რაც ძალიან ხშირად მას პრობლემებს უქმნის სხვა ადამიანებთან ურთიერთობების სფეროში. სრულიად დაუშვებელია ასეთი ადამიანის დანიშვნა ან არჩევა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ეს პრინციპი მუდამ მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული ორგანიზაციის თანამშრომელთა უფრო მეტი შეთანხმებულობის, კოორდინირებულობის და მათი მუშაობის მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

კოგნიტური ინტელექტის დომინირების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ობიექტური სინამდვილის საგნებითა და მოვლენებით ოპერირების უნარის გამოყენებასთან, რითიც ადამიანი საუკუნეთა მანძილზე იყო დაკავებული. ამიტომ ადამიანის ინტელექტის ზემოაღნიშნულ სამ მთავარ სახეობას შორის ყველაზე მეტი განვითარებულობა სწორედ კოგნიტურ ინტელექტს ხვდა წილად. ეს გამოიწვია უკეთესი სახცოვრებელი პირობების შექმნისთვის ადამიანთა მუდმივმა ზრუნვამ. გადარჩენისთვის ევოლუციური ამოცანების შესრულებამ ხელი შეუწყო ადამიანურ პოპულაციაში მეტ-ნაკლები წარმატებულობით **ემოციური ინტელექტის** განვითარებას, ემოციებით ოპერირების უნარის გამომუშავებას, რომელიც უაღრესად ხშირი გამოყენების შედეგად მოექცა არაცნობიერი ფსიქიკურის სფეროში და დღეისთვის ადვილად გაცნობიერებას ვერც ექვემდებარება. ბოლო წლებში მეცნიერული კვლევების გააქტიურება ადამიანის ემოციური ინტელექტის შესასწავლად, მის არაცნობიერ ფსიქიკურში „ჩამირული“ ინტელექტუალური მექანიზმების გამოვლენას ეძღვნება. რაც შეეხება **მორალურ ინტელექტს**, ადამიანური საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანმა ამისთვის ყველაზე ნაკლებად მოიცალა და, შესაბამისად, ყველაზე მეტი ყურადღების მიქცევა ამაჟამად სწორედ მისთვის არის საჭირო. მორალური ინტელექტის ფუნქციობის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებაში ურთიერთობათა

ფართოდ აღიარებული მორალური ნორმებით ოპერირების უნარის გამოყენებასთან, რომელიც ძალაუვნებურად კი არის ჩართული სოციალურ პროცესთა ორგანიზებაში, მაგრამ გადაფარულია სხვა კატეგორიის მოვლენებით და პროცესებით, რის გამოც ვერ ხერხდება მორალური პრინციპების დაცვის მეშვეობით საზოგადოებრივ პროცესთა ეფექტიანი კოორდინირება. აქედან წარმოიშობა ისეთი პრობლემები, რომლებიც საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების როლს თამაშობენ.

მორალური ინტელექტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პიროვნების მთლიანობა, პასუხისმგებლობა, სხვისი პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, სამართლიანობა, თვითკონტროლი, სინდისი, პატივისცემა, კეთილგანწყობა, ტოლერანტობა და სხვ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა ეფექტიანი ოპერირების შედეგადაც შესაძლებელი ხდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში სწორი პოზიციების შექმნა. მორალური ინტელექტი ითვლება ყველაზე უფრო მაღალი დონის ინტელექტად, რომელიც ეხება ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურის ყველაზე უფრო მაღალ საფეხურს. ასეა მიჩნეული მეცნიერთა დიდი უმრავლესობის მიერ. ამიტომ მორალური ინტელექტის განვითარებული ფორმები ყველაზე უფრო წონად საფუძვლებს ქმნიან იმ შემთხვევებში, როდესაც იხილება საკითხები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ადამიანთა გამწესების შესახებ. ყველაზე უფრო მეტად სწორედაც ხელმძღვანელებს უნდა მოეთხოვებოდეთ მეტი დაწინაურება აჩვენონ მორალური ინტელექტის განვითარების სფეროში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მათი მუშაობა ყველასთვის სასიკეთო და სასურველი შედეგების მომტანი.

ზემოაღნიშნული სამივე სახის ინტელექტი პიროვნების სტრუქტურაშია ჩართული და მის ცალკეულ კომპონენტებთან ერთად ემსახურებიან ადამიანის ფსიქიკის ორგანიზაციის მეტ-ნაკლებად დასრულებულ წარმოდგენას, რაც თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ არის მოყვანილი **სქემა 2** სახით:

სქემა 2

	ზ. ფროიდის ტრიადული მოდელი	შ. ნადირაშვილის ტრიადული მოდელი
III დონე	სუპერეგო -----	----- პიროვნება
	ოპერირებს მორალური ინტელექტით	
II დონე	ეგო -----	----- სუბიექტი
	ოპერირებს კოგნიტური ინტელექტით	
I დონე	იდი -----	----- ინდივიდი
	ოპერირებს ემოციური ინტელექტით	

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების დანაწევრებამ კომპონენტებად არ უნდა განაპირობოს მისი მთლიანობის დაკარგვა, რომელიც ყოველთვის ხაზგასმით აღინიშნება ხოლმე დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. გასარკვევია ის, თუ რა შეიძლება იყოს ასეთი მთლიანობის შემანარჩუნებელი მოვლენა. თუკი ზემოაღწერილი იერარქიის თითოეულ

დონეზე ოპერირებს კონკრეტული სახის ინტელექტი, მაშინ პიროვნების მთლიანობის მისაღწევად უნდა არსებობდეს მათი გამაერთიანებელი მოვლენა. ასეთი ფუნქციის მქონე ფსიქიკური მოვლენის როლში სრულიად ლოგიკურია რომ წარმოდგენილი იყოს ზოგადი ინტელექტი. თუკი ყ. პიაჟეს მიხედვით ინტელექტი ადაპტაციის მექანიზმს წარმოადგენს, ხოლო ადაპტაცია ევოლუციის ბაზისურ მოვლენადაა მიჩნეული მეცნიერთა მიერ, მაშინ ინტელექტი ყველაზე ფუნდამენტურ მოვლენად უნდა განიხილებოდეს როგორც ზემოთ ნაჩვენები იერარქიის ერთი დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორის მიმართებათა ჭრილში. ამ საბოლოო შემთხვევაში ემოციური, კოგნიტური და მორალური ინტელექტების ერთიან სიღრმისეულ სისტემაში ინტეგრირება ისევ ინტელექტუალური მოვლენის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს და ეს არის სწორედ ფუნდამენტური თვისების მქონე ზოგადი ინტელექტი, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული. ზოგადი ინტელექტი, თვის მხრივ, ძალიან დიდ მსგავსებას ავლენს ასეთივე ფუნდამენტური ხასიათის მქონე მოვლენასთან - ზოგად განწყობასთან - ზოგადობის, სიღრმისეულობის და ფუნდამენტურობის მეშვეობით, რაც წინსწრებით აღინიშნა კიდევ ერთ-ერთ სამეცნიერო პუბლიკაციაში [12].

ადამიანის ფსიქიკური აქტივობების შესახებ ზემოთ განხილული პრობლემური საკითხები და ჩამოყალიბებული მიდგომები აბსოლუტურად სანდოა რადგან ეყრდნობა მეცნიერების ისეთი დიდი ავტორიტეტების ნააზრევს, როგორებიც არიან: ზიგმუნდ ფროიდი, ჟან პიაჟე, დიმიტრი უზნამე, აბრაამ მასლოუ, ფილიპ კოტლერი, ლოურენს კოლბერგი, შოთა ნადირაშვილი და სხვ. პიროვნების ფსიქოლოგიის გააზრების საკითხში მათი მიდგომების ერთ სისტემაში შემოქმედებითი სინთეზირების აუცილებლობამ აქტუალური გახადა პიროვნების შემადგენელი კომპონენტების იერარქიული სტრუქტურირება. ამით გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანის ზემოხსენებული იერარქიული ტრიადებისა და მათი მოდელების შესახებ მსჯელობები გასაგები, მისაღები და ჩვეული ყოფილიყო. მოცემული მოსაზრება ანგარიშგასაწევია თუნდაც იმიტომ, რომ პიროვნების სტრუქტურის და მითუმეტეს მისი იერარქიულობის შეხახებ ცოდნა დღეისთვის დაგროვებული ბევრი არც არის და ზემოთ დასახელებულელებზე უფრო მაღალი რანგის ფიგურები, რომლებსაც მეტად შეიძლება დაეჯერებოდეთ, სამწუხაროდ მეცნიერებაში აღარც გამოჩენილან. ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, პიროვნების იერარქიული სტრუქტურა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი **სქემა 3** სახით.

რაც შეეხება პიროვნების ზემოთ აღწერილი მიდგომის გამოყენებას ისეთ მნიშვნელოვან სფეროში როგორცაა სამართალი, უნდა ითქვას შემდეგი. სამართალი მნიშვნელოვნად ითვალისწინებს და ეყრდნობა ადამიანის შესახებ ფსიქოლოგიურ ცოდნას იმ მიზნით, რომ ადამიანის ნამოქმედარის მამოძრავებელი მოტივები კარგად გამოიკვლიოს და უშეცდომო გადაწყვეტილების მიღებისთვის შექმნას სანდო ნიადაგი. მომხდარში ჩაღრმავების გარეშე, ფსიქოლოგიური ფაქტორის დაზუსტების გარეშე და მხოლოდ ზედაპირული მსჯელობის დონეზე დიდია მცდარი და უსამართლო გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, რაც მართლმსაჯულების საქმიანობის ხარისხზე უარყოფითად აისახება. ამიტომ აუცილებელია

	ზ. ფროიდის ტრიადული მოდელი	შ. ნადირაშვილის ტრიადული მოდელი	
III დონე	სუპერეგო -----	----- პიროვნება	(ცენტრალური ანტიპროექტივიზაცია) ფორმირებული პიროვნება
	ოპერირებს მორალური ინტელექტით		
II დონე	ეგო -----	----- სუბიექტი	
	ოპერირებს კოგნიტიური ინტელექტით		
I დონე	იდი -----	----- ინდივიდი	
	ოპერირებს ემოციური ინტელექტით		

დანაშაულის ჩამდენი პირის მრწამსისა და ფსიქოლოგიური სტატუსის გარკვევა, მისი პიროვნების შემადგენელი კომპონენტებისა და მათი აქტივობის დონეების დაზუსტება და ნამოქმედარში მათი ხვედრითი წილის გამოკვეთა, რაც საბოლოოდ უფრო ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებისთვის ხელის შემწყობი გარემოება გახდება. ადამიანი მუდმივად იმყოფება სხვადასხვა სიტუაციებში, რომლებშიც განსხვავებული როლების შესრულება უხდება და ძალიან მაღალია ალბათობა მისი პიროვნების არასწორი ფსიქოლოგიური ინტერპრეტირების, თუკი 1-2 სიტუაციაში სათანადო როლებით მოქმედებების შედეგად შექმნილი შთაბეჭდილებების საფუძველზე ვინმე იმსჯელებს მთლიანად მისი პიროვნების შესახებ. ძალიან ხშირია ასეთი ცდუნება და შეიძლება განსაკუთრებით მტკივნეულიც იყოს იგი, თუკი საქმე ეხება ადამიანის მცდარ მოქმედებას და მის სამართლებრივ შეფასებას აქედან გამომდინარე ხშირად მძიმე შედეგებით. ამიტომ ყველაზე სწორ მიდგომად უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ ფორმით კანონდამრღვევი პირის ფუნდამენტური პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება მის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ მხრივ სრულიად გამართლებულია პიროვნების იერარქიული სტრუქტურის ხასიათის გარკვევისა და მისი კომპონენტების თავისებურებათა დადგენის მცდელობები.

როგორც ზემოთ ითქვა, გამოჩენილ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნააზრევის საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომ პიროვნების სტრუქტურა განხილულიყო იერარქიულ ჭრილში იმ კომპონენტების გამოყოფით, რომლებიც სრულად ფარავენ ადამიანის აქტივობების დიდ მრავალფეროვნებას. სამი კომპონენტი - **პიროვნება, სუბიექტი და ინდივიდი (სუპერეგო, ეგო და იდი)** ერთმანეთისგან იზოლირებულად არ ფუნქციონირებენ, არამედ მოქმედებენ სინერგიულად, რის საშუალებასაც იძლევა მათი გამაერთიანებელი ფაქტორის - განწყობის - მუდმივი წარმმართველი მონაწილეობა ამ აქტივობებში, რომლებიც ოპერაციების დიდ სიმრავლეს გულისხმობს და სხვადასხვა სახის ინტელექტებით იმართებიან. მათ შორის ზოგადი ინტელექტი არის უმთავრესი საშუალება ზემოხსენებული სინერგიის მიღწევის საკითხში. განწყობა ადამიანის ქცევის წარმართვაში თავის ქმედითობას სწორედ ზოგადი

ინტელექტის მეშვეობით უნდა ახორციელებს. სხვაგვარად ძალიან ძნელი წარმოსადგენია ის თუ რისი მეშვეობით არეგულირებს განწყობა, როგორც მთლიანობითი მდგომარეობა, ადამიანის ქცევას. თავის ქმედითობას იგი მის სტრუქტურაში ჩართულ ზოგად ინტელექტს უნდა უმაღლოდეს. ქვემოთ მოყვანილია ვიზუალურად გადაუტვირთავი მართივი ნახატი (იხ. ნახ. 2), რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს ზემონათქვამს პიროვნების სტრუქტურის იერარქიულობასთან დაკავშირებით. მასში ფიგურირებენ **ემოცია - კოგნიცია - მორალი**, როგორც ის ბაზისური ფსიქიკური მოვლენები, რომლებსაც ეყრდნობა ზემოთ განხილული ტრიადული მოდელების შემადგენელი კომპონენტები.

პიროვნების სტრუქტურა



ნახ. 2

ეს კომპონენტები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად იქნეს დახასიათებული:

- **ემოცია** - ამ საფეხურზე ადამიანის მოქმედებებში ადგილი აქვს ემოციური პროცესების დომინირებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ემოციური ინტელექტი, რომლის მნიშვნელობაშიც სწორედ ემოციურ პროცესთა რეგულირების მექანიზმი იგულისხმება. ეს არის როგორც საკუთარი, ისე სხვების ემოციების აღქმის და რეგულირების უნარი. ამასთან, აღნიშნული უნარი გვეხმარება ემოციების მართვასა და დამაბულ ემოციურ სიტუაციებთან ეფექტურად გამკლავებაში. სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში პრობლემების აღმოცენება, სამუშაო სტრესთან, კონფლიქტებთან გამკლავების სიმძნელე და სხვა მსგავსი პრობლემები, დაბალი ემოციური ინტელექტის არსებობაზე მიანიშნებს. ემოციური ინტელექტი უფრო ინსტინქტური აქტივობებისთვის არის დამახასიათებელი. მან თავისი ჩამოყალიბებისთვის ევოლუციის ხანგრძლივი პერიოდი გამოიარა და დღეს ავტომატურ რეჟიმში მოქმედებს.
- **კოგნიცია** - კოგნიციის საფეხურზე აღინიშნება ფსიქიკური შინაარსებით ოპერირების გააქტიურება, რაც ფორმალური ოპერაციების ინტენსიური გამოყენებით ხორციელდება. მათი საშუალებით ხდება სინამდვილის შემეცნება და პრობლემური სიტუაციებიდან ეფექტიანი გამოსავლის მონახვა. ოპერირების უნარი აძლევს ადამიანს გარემოსთან ადაპტაციის განხორციელების შესაძლებლობას. იგი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უსაფრთხო და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. ამ ოპერირების უნარის გარეშე ადამიანი ვერ მოახერხებდა გარემოს ნეგატიური ზეგავლენებისგან თავის დაღწევას და აღმოჩნდებოდა მსხვერპლის როლში. კოგნიტურმა აქტივობებმა შეაძლებინა ადამიანს ტექნოლოგიებისა და ახალი საგნობრივი სამყაროს შექმნა, რითიც გაიუმჯობესა პირობები.

• **მორალი** - ამ საფეხურზე აქტუალურია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მთლიანობა, პასუხისმგებლობა, პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, სამართლიანობა, თვითკონტროლი, სინდისი, პატივისცემა, კეთილგანწყობა და სხვ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა ეფექტიანი ოპერირების შედეგადაც შესაძლებელი ხდება სუბიექტური კეთილდღეობის მიღწევა. რაც უფრო მეტად აქვს ადამიანს განვითარებული მორალური ინტელექტი, მით უფრო უკეთ შეუძლია მას ხსენებული ფაქტორებით ოპერირება განახორციელოს და დასახულ მიზანსაც (სუბიექტური კეთილდღეობას) წარმატებით მიაღწიოს [13]. მორალური ინტელექტის შემთხვევაში საქმე გვაქვს ქცევის მორალური ნორმებით ოპერირების უნართან, რომლითაც მიიღწევა ადამიანთა შორის თანხმობა და ერთობლივი მოქმედების მეტი ეფექტიანობა. მორალური ინტელექტი ზოგჯერ მჭიდრო კავშირში განიხილება ემოციურ ინტელექტთან. ეს არ უნდა ჩაითვალოს სწორად, ვინაიდან ისინი ორიენტირებულები არიან განსხვავებულ ფსიქიკურ მოვლენებზე: პირველი - ნებელობით პროცესებზე, ხოლო მეორე კი - ემოციურ პროცესებზე.

როგორც ნახატი 2 აჩვენებს, პიროვნული განვითარების უმაღლესი საფეხური ის მორალური „პლატფორმაა“, რომლიც ადამიანებს შორის ურთიერთობის გეგმები ისახება. მისი ხორცშესხმა მორალური ინტელექტის მეშვეობით მიიღწევა. ამ საფეხურზე ადამიანის ქცევა გამოირჩევა სუბიექტური კეთილდღეობისკენ (ბედნიერებისკენ) სწრაფვით, მაგრამ მას ხშირად ბევრი რამ ეღობება წინ ან საკუთარი ან სხვების ბრალით. ამის გამო უჩნდება ფარული აგრესია, რომელიც უბიძგებს მიუღებელი ქმედებებისკენ, რითიც მდიდარია საზოგადოებრივი ცხოვრება. დღევანდელ განვითარებულ მსოფლიოში სუბიექტური კეთილდღეობისკენ სწრაფვის დამაბრკოლებელი გარემოებები საგრძნობლად ნაკლებია ადრინდელთან შედარებით და ბევრად გაუმჯობესებულია ამ მთავარი სწრაფვის რეალიზების პერსპექტივები, რომელთა მოახლოების უმთავრესი ხელშემწყობი მოვლენაც არის ადამიანთა მორალზე აპელირება. იგი ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ყველასთვის საჭირო და აუცილებელი შემოსავლების ზრდასაც კი განაპირობებს. საზოგადოებისთვის ყოველივე ამის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა ორი დიდი, მძლავრი ინსტიტუტი: ეკლესია და მართლმსაჯულება. ამ ორივე ინსტიტუტს ერთი და იგივე მიზანი გააჩნია: მორალური კლიმატის დამკვიდრება საზოგადოებაში, თუმცა ამ მიზანს ისინი განსხვავებული წესებით აღწევენ. ეკლესია ცდილობს ადამიანთან სულიერი მუშაობით ნებაყოფლობით მიიყვანოს იგი მორალურ მრწამსამდე. მართლმსაჯულება კი ცდილობს სხვადასხვა სადამსჯელო საშუალებით ადამიანი აიძულოს გახდეს უკეთესი მორალური თვალსაზრისით (იხ. ნახ. 3).



ნახ. 3

ეკლესიისა და სამართლის თანამშრომლობა ადამიანის პიროვნული განვითარების საქმეში, მისი მორალური სრულყოფის საქმეში და მისი სუბიექტური კეთილდღობისკენ სწრაფვის დემოფილების საქმეში დასტურდება აგრეთვე იმითაც, რომ მთელი რიგი ქვეყნების პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს სამლოცველოები, რომლებშიც იქ მყოფ პატიმრებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ მოიცალონ საკუთარი თავის ზნეობრივი განვითარებისთვის, სამომავლოდ უკეთესი ცხოვრების პერსპექტივების დასახვისთვის და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის. საზოგადოება ამ გზითაც იმდიდრებს თავის ადამიანურ კაპიტალს.

ზემოთ არგუმენტირებულად განხილული და ჩამოყალიბებული პიროვნების იერარქიული სტრუქტურა ბუნებრივად ადამიანის ქცევების სტრუქტურირებასაც განაპირობებს. ქცევები მოტივების გარეშე ვერ განხორციელდება. მოტივები კი იერარქიულად არის განლაგებული. ეს გარემოება განაპირობებს ქცევების (მათი სტრატეგიების) ერთიან იერარქიულ სისტემაში მოქცევას. ამრიგად, პიროვნების იერარქიული სტრუქტურის ყოველ ცალკეულ საფეხურს მისი შესაბამისი ქცევის სტრატეგია და ამ სტრატეგიის განხორციელებისთვის პირობების შემქმნელი გარემო თუ სფერო ესაჭიროება. ადამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროებს შორის, რომლებშიც შეიძლება პრაქტიკული გამოყენება ჰპოვოს პიროვნების ფსიქოლოგიის შესახებ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა და მისი ქცევის მოდელებმა, პირველ რიგში აღსანიშნავია სოციოლოგია, ეკონომიკა და სამართალი. ეს საბოლოო ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტად იმსახურებს ყურადღებას, ვინაიდან იგი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს, რომლებიც შემდეგ აღწევენ ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროში, არეგულირებენ მათ საქმიანობას და განსაზღვრავენ მათ ეფექტიანობას. ამ თვალსაზრისით ის „გარემო“, რომელშიც პრაქტიკულ გამოყენებას ნახულობს პიროვნების ზემოთ განხილული იერარქიული მოდელი, შეიძლება იყოს სამგვარი: **ეთიკა, სამართალი და კანონმდებლობა.**

1. კანონმდებლობა ყველაზე მეტი კონკრეტულობით, სიმკვეთრით და უკომპრომისობით გამოირჩევა. მასზე დაყრდნობით განხორციელებული აქტივობები ძალიან ემსგავსება იმ ქცევებს, რომლებსაც აქვს ადგილი პიროვნების სტრუქტურის პირველ საფეხურზე - **ემოცია**. ამ

საფეხურზე ოპერირებს ემოციური ინტელექტი, რომელიც ევოლუციის ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში ფორმირდებოდა. ინტელექტის ეს სახეობა ემსახურებოდა ორი მთავარი ამოცანის შესრულებას - გადარჩენას და გამრავლებას. ისინი სიცოცხლისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, ახასიათებთ სიმტკიცე და ვარირებას არ ექვემდებარებიან. კანონმდებლობაც ასევე ხისტად მოქმედებს დიდი პასუხისმგებლობის გაცნობიერებიდან გამომდინარე. ამიტომ აქტივობების ეს ორივე ფორმა სრულებით ერთმანეთის შესატყვისია.

2. სამართალი ითხოვს მეტ განზოგადებას, განსჯას, ადამიანის სხვადასხვა სფეროებს შორის პარალელების გავლებას, განხორციელებული ქმედების ფართო კონტექსტში განხილვას და ისე შეფასებას. ამ შემთხვევაში მხოლოდ იურიდიულ ცოდნა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ადამიანის ქმედების სწორი შეფასებები გაკეთდეს. აქ უკიდურესად აუცილებელია ინტერდისციპლინური და შეთანხმებული აქტივობა სოციალურ მეცნიერებათა რამდენიმე დარგის წარმომადგენლის - ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, იურისპუდენციის და სხვ. სამუშაო კონტექსტის ასეთი გაფართოება ყველაზე უკეთ შეესატყვისება პიროვნების იერარქიული სტრუქტურის მეორე დონეს - **კოგნიცია**. სამართლის სფეროში კომპლექსური მუშაობის მაღლით შესაძლებელი ხდება მეტი სიზუსტით იმ კანონის და მისი იმ მუხლის შერჩევა, რომელიც უკეთესად გამოხატავს ჩადენილი კანონდარღვევის მიმართ ადეკვატურ დამოკიდებულებას და შეფასებას.

3. ეთიკა (მორალი) განიხილავს ადამიანის მენტალობაში მიმდინარე ყველაზე მაღალი დონის პროცესებს. სწორედ ამ დონეზე განისაზღვრება ადამიანის მოქმედების ძირითადი სტრატეგიები. ამ საფეხურზე ხდება სამართლისთვის ორიენტირების გამოკვეთა, რომელიც შემდეგ აზუსტებს კანონმდებლობის კორექტული გამოყენების პროცედურებს [14]. აქ ხდება საზოგადოებრივ იმ ღირებულებათა განხილვა, რომელთა საფუძველზეც უნდა გაკეთდეს ჩადენილ კანონდარღვევასთან დაკავშირებით სამართლის სფეროში მომუშავე პირებისთვის ადეკვატური ორიენტირების დასახვა. **ეთიკის (მორალის)** დონეზე წარმოებულ შეფასებებს მაგისტრალური მნიშვნელობა გააჩნია ქვედა ორივე დონეზე მიმდინარე სამუშაოებისთვის. **ეთიკის (მორალის)** დონეზე მუშაობას უმთავრესად ფილოსოფოსები უნდა აწარმოებდნენ. ეთიკა, საზოგადოებრივი ღირებულებები, ლოგიკა თავიანთი განშტოებებით პირველ რიგში ფილოსოფიის მიერ არის გასააზრებელი ჩადენილ კანონდარღვევასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იგი გახდეს განსჯის საგანი იერარქიის ქვედა დონეებზე. ვიზუალურად ეს შემდეგი სქემით შეიძლება იქნეს გამოხატული (იხ. სქემა 4):

პიროვნების იერარქიული სტრუქტურის დონეების ქცევის სტრატეგიები	პიროვნების იერარქიული სტრუქტურის დონეების შესატყვისი სფეროები
მორალის დონის სტრატეგიები	ეთიკა (ფილოსოფია)
კოგნიციის დონის სტრატეგიები	სამართალი (სოც. მეცნიერებები)
ემოციის დონის სტრატეგიები	კანონმდებლობა (იურისპუდენცია)

იურიდიული დარგის წარმომადგენლები საზოგადოებაში მართლწესრიგის განმსაზღვრელ ადამიანთა ქცევის ნორმების იერარქიაში ჩვეულებრივ ხელმძღვანელობენ უპირატესად პირველი საფეხურის ნორმებით - **კანონებით**, მაშინ როდესაც კიდევ არსებობს მეორე საფეხური - **სამართალი** და მესამე უმაღლესი საფეხური - **ეთიკა**. როდესაც იურიდიული კადრები კავდებიან პირველი საფეხურის - კანონმდებლობის - ნორმებით, მათი მიდგომები გამორჩეულად კონკრეტულია და ხშირად შეიძლება არ იყოს საკმარისი „ჭეშმარიტების“ დადგენისთვის. ხსენებულ კანონებს შორის და ასევე კანონის მუხლებს შორის შეიძლება აღინიშნებოდეს წინააღმდეგობები, რომელთა წარმატებით გადალახვაც სადავო საკითხის იერარქიის უფრო მაღალ დონეზე განხილვით არის შესაძლებელი. ამ მეორე საფეხურზე სადავო საკითხის გააზრებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ იურისტის კვალიფიკაცია. სამართალი არის სოციალური მოვლენა და სადავო საკითხის განხილვაში იურისტებთან ერთად მწვავედ აუცილებელია სოციალურ მეცნიერებათა ისეთი მნიშვნელოვანი დარგების კომპეტენტური წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა, როგორებიცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და სხვ. რაც შეეხება ნორმათა მესამე უმაღლეს საფეხურს, იგი ფილოსოფიის სფეროს განეკუთვნება და სადავო საკითხის განხილვაში და შეფასებაში ისეთი მნიშვნელოვანი დარგების თუ ქვედარგების კომპეტენტური წარმომადგენლების მონაწილეობას საჭიროებს, როგორებიცაა: ეთიკა, ღირებულებათა ფილოსოფია, ლოგიკა და ა.შ. ამრიგად, სადავო საკითხების კომპეტენტურად, სამართლიანად და წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელია ზემოთ განხილული იერარქიის სამივე დონეზე ანუ **მორალის, სამართლის, კანონის** დონეებზე მიზანშეწონილი და ადეკვატური სამუშაოების ჩატარება. მხოლოდ ასეთი საშუალებებით არის შესაძლებელი ჭეშმარიტების მიგნება და მართლწესრიგის მიღწევა. სანამ სადავო საკითხი განიხილება კანონმდებლობის დონეზე, მანამდე იგი უნდა განიხილებოდეს მორალის და სამართლის დონეებზე ზოგადიდან კონკრეტულამდე **დედუქციით**, რომელიც არის ყველაზე უფრო სანდო მეთოდი სწორი და სამართლიანი დასკვნების მისაღებად. იურიდიულ სფეროში ამ წესით მუშაობა კანონის ადეკვატური და მიზანშეწონილი ნორმის შერჩევას განაპირობებს და სადავო საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტის გარანტორს წარმოადგენს. ყოველივე ზემოთ განხილული არის

პიროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ წარმოდგენათა მთლიან სისტემაში მოქცევის ერთ-ერთი მცდელობა, რომელსაც გააჩნია სრულყოფის და განვითარების პოტენციალიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Maslow, A. (1943). A theory of human motivation. *Psychological Review*, 50(4), 370–396.
2. Kotler Ph. (1980) Principles of Marketing, Prentice-Hall, inc. New York.
3. Uznadze D. (1940). General Psychology. Tbilisi (in Georgian).
4. Nadirashvili Sh. (2014). Antropic Theory of Attitude. Sulakauri Pub., Tbilisi (in Georgian).
5. Freud Sigmund (1923). Introductory lectures on psycho-analyses (J. Riviera, Trans.). London, Allend & Unwin.
6. Piaget J. (1977). The development of thought: Equilibrium of cognitive structures. New York, Viking Press,.
7. Goleman D. (2005). Emotional Intelligence. Batam books, New York.
8. Kohlberg L. (1981). The philosophy of moral development. New York, Harper and Row,.
9. Piaget J. (1965). The Moral judgementof the child. New York, Macmillan.
10. Kruger T. (2012). Moral Intelligence: The Construct and Key Correlates. University of Johannesburg.
11. Tanner C., Christen M. (2013). Moral Intelligence – A Framework for Understanding Moral Competences. Zeppelin University & University of Zurich.
12. Goroshidze G. (1999). General Intelligence as a Set Structure. Materials of the scientific conference dedicated to the 110th anniversary of D. Uznadze's birth. Tbilisi, p. 22-23.
13. Goroshidze G. (2022). Moral intelligence as the basis of human subjective well-being. Educational sciences and psychology. Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 3 (64), p. 86-95.
14. Singer P. (2011). Practical Ethics. Cambridge University Press.
15. Constitution of Georgia (1995). Georgia, Tbilisi (in Georgian).
16. Organic law of Georgia, Labor Code of Georgia (2010). Georgia, Tbilisi (in Georgian).
17. Law of Georgia on Civil Service (2023). Georgia, Tbilisi (in Georgian).

Hierarchical Structure of Personality and Use in Practice

George Goroshidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article attempts to systematize the most acute issues of the organization of the person's psyche, such as: the structure of mental processes, the structure of the personality, the structure of the motivational system, and other types of structures that deserve the attention of scientists less than other mental events and processes. Whereas an adequate understanding of personality structure tells a lot about the mental mechanisms that guide human action and behavior. Hierarchical organization of the psyche is of prime importance in understanding the structure of a person, which allows for a more adequate conclusion to be made in the assessment of human behavior. The suitability of the approach is confirmed by the possibility of application in practical fields. Among them, law is worth mentioning as a field included in category of social sciences.

Key words: personality, structure, motivation, hierarchy, behavior.

შშმ პირების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში

ეკატერინე გიგაური¹, მარიამ გერსამია²

¹მედიის კვლევების მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მედიაფსიქოლოგი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის - "მედიახმის" მკვლევარი, email: ekatkiga@gmail.com, ტელ: 568683856. Orcid: <https://orcid.org/0009-0006-4145-9549> ²ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის - "მედიახმის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე. email: mariam.gersamia@tsu.ge, mariam@mediavoice.ge

ტელ: 577171107; Orcid: <https://orcid.org/0000-0001-9092-9232>

აბსტრაქტი

მედიას, როგორც არაფორმალური განათლების გამტარს, განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოებაში შშმ პირების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, მათი უფლებების დაცვისა და შესაძლებლობების რეალიზების საქმეში. წინამდებარე კვლევა სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციას ეყრდნობა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და ადვოკატირებას. ყოველივე ეს კი, გადამწყვეტ როლს თამაშობს შშმ პირთა ინტეგრაციის პროცესში.

კვლევის შედეგები დააინტერესებს მოქმედ და მომავალ ჟურნალისტებს, ჟურნალისტიკის პედაგოგებს, შშმ პირების თემის წარმომადგენლებს, მათ მშობლებსა და მეურვეებს, შშმ პირთა ინტერესებისა და უფლებების დამცველებს და ფართო საზოგადოებას. კვლევის შედეგად მომზადდა ე.წ. SWOT ანალიზი და რეკომენდაციები მედიის წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის და სხვ. მოცემული კვლევა აანალიზებს შშმ პირების (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) გაშუქებას ქართულ ტელევიზიებში, მათ ხილვადობასა და ეთიკურად წარმოჩენის მიდგომებს. მედიას უდიდესი როლი აქვს საზოგადოების წარმოდგენების ჩამოყალიბებაში მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის შშმ პირებზე, სტერეოტიპების გამყარებისა ან შემცირების გზით. კვლევა ეყრდნობა სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციას, რომელიც ხაზს უსვამს მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირებასა და მხარდაჭერას.

კვლევა დაფუძნებულია შერეულ კვლევის მეთოდებზე: ტელევიზიების კონტენტ-ანალიზზე, ასევე ჟურნალისტებთან, პოლიტიკოსებთან და შშმ პირების უფლებების დამცველებთან

სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შშმ პირები ხშირად არასწორად ან სტერეოტიპულ კონტექსტში წარმოჩინდებიან.

საკვანძო სიტყვები: სოლიდარობის ჟურნალისტიკა, შშმ პირები, მედიაგამუქება, ტელევიზია, საქართველო

შესავალი

შშმ პირების შესახებ საზოგადოების წარმოდგენების ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული მედიაში მათი ხილვადობისა და მათი თემის ეთიკურად გაშუქებასთან. შშმ პირების საკითხები გლობალურად ყურადღების ცენტრშია, რადგან მათ უფლებებსა და მათ მიმართ დამოკიდებულებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური შედეგები შეიძლება ჰქონდეს. საქართველოში ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია ეთიკური გაშუქების სტანდარტების დამკვიდრება, რაც არა მხოლოდ შშმ პირების უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს, არამედ მათ საზოგადოებაში ინტეგრაციასაც.

მედიის როლი საზოგადოებაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისთვის, არამედ სწორედ ამ კულტურული და სოციალური ნორმების ფორმირებისთვისაც. შშმ პირების შესახებ მედიაგამუქება შეიძლება იყოს ან სტერეოტიპების გაძლიერების, ან მათი შემცირების გზა. ეთიკური გაშუქება შშმ პირების პრობლემებისა და წარმატებების შესახებ ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და შშმ პირების მიმართ სოლიდარობისა და თანასწორობის განცდის გაძლიერებას.

ამ კვლევის მიზანია მედიასაშუალებებში შშმ პირების გაშუქების ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორაა წარმოდგენილი ეს თემა ქართულ მედიაში. კვლევა ეფუძნება სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციას, რომელიც თავის მიზნად ისახავს მარგინალიზებული ჯგუფების მხარდაჭერას, მათი პრობლემების გაშუქებასა და ადვოკატირებას. ამ მიმართულებით შესწავლილია ქართული მედიის სოლიდარობა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საომარ და კრიზისულ სიტუაციებში (გერსამია, გიგაური და სხვები, 2024) სოლიდარობის ჟურნალისტიკა აქტუალურია შშმ პირების საკითხების გაშუქებისას, რადგან ეს ჯგუფი ხშირად ნაკლებად ჩანს მედიის სივრცეში ან, როდესაც ჩანს, სტერეოტიპულადაა წარმოდგენილი. სოლიდარობის ჟურნალისტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების ფართო განხილვას, შშმ პირების თემის მხარდასაჭერად მნიშვნელოვან საშუალებად იქცევა. ეს მიდგომა მოუწოდებს მედიასაშუალებებს, მოამზადონ მასალები, რომლებიც შშმ პირების საჭიროებებსა და ინტერესებზეა ორიენტირებული და ხელს უწყობს საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდას მათ მიმართ.

საქართველოსთვის ეს თემა აქტუალურია, რადგან ქვეყანაში არის გამოწვევები შშმ პირების უფლებების დაცვისა და მათი სოციალურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის

მიმართულებით. სწორედ ამ კონტექსტში მედიას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის არის ის სივრცე, სადაც ხდება წარმოდგენების ფორმირება, დისკუსიებისა და ცვლილებების წახალისება.

მოცემული კვლევის ფარგლებში მთავარი ფოკუსი იმ ქართულ ტელევიზიებზე, რომლებიც საქართველოს მასშტაბით ყველაზე ფართო აუდიტორიას ფლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ინტერნეტმედია უფრო მეტად პოპულარული ხდება, ტელევიზია კვლავ რჩება იმ სივრცედ, სადაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დისკუსიები იმართება და სადაც შშმ პირების საკითხების სწორად წარმოჩენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ტელევიზიაზე ფოკუსირებით კვლევა ცდილობს გააანალიზოს, რამდენად წარმატებით ხდება შშმ პირების საკითხების წარმოდგენა მედიასივრცეში. ეთიკური გაშუქების მოთხოვნები ტელევიზიებისგან მოითხოვს არა მხოლოდ სწორი ინფორმაციის გავრცელებას, არამედ პასუხისმგებლობის გააზრებას იმაზე, თუ როგორია შშმ პირების ხილვადობა და როგორ ხდება სტერეოტიპების გამძლიერება ან შემცირება.

კვლევის მიზანია არა მხოლოდ შშმ პირების გაშუქების შეფასება, არამედ რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც დაეხმარება მედიას, გააუმჯობესოს მათი გაშუქების ხარისხი და ხელი შეუწყოს შშმ პირების საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის პროცესს. კვლევა ეყრდნობა შერეული კვლევით მეთოდებს, მოიცავს კონტენტ-ანალიზს, ჟურნალისტებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებს, რაც ხელს შეუწყობს მედიაგაშუქების პრობლემების კომპლექსურად გააზრებას და გადაწყვეტილებების მოძიებას.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე პოლიტიკოსებისთვის, შშმ პირების უფლებების დამცველებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია შშმ პირების საკითხების გაშუქების გაიდლაინისთვის საჭიროებების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიგნებები ხელს შეუწყობს ეთიკური მედიაგაშუქებით შშმ პირების შესახებ არსებული სტერეოტიპების შეცვლასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

კვლევა ჩატარდა ორ ფაზად. პირველ ფაზაში მეთოდოლოგიად შეირჩა მედიის კონტენტ-ანალიზი, მეორე ფაზაში კი, თვისებრივი მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფი ჟურნალისტებთან, პოლიტიკური პარტიებისა და თემის წარმომადგენლებთან. ორივე ფაზის მიგნებების ინტეგრირების შედეგად მომზადდა SWOT (S-ძლიერი მხარეები, W - სუსტი მხარეები, O-შესაძლებლობები, T-საფრთხეები) ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია დასკვნებში.

- პირველ ფაზაში პასუხი გაეცა კითხვებს: როგორია შშმ პირების ხილვადობა მედიაში (მაგ: სატელევიზიო ბადეში, დღის რომელ მონაკვეთსა და რა ტიპის გადაცემებში შუქდება შშმ პირების შესახებ ამბები)? რამდენად ეთიკური და კვალიფიციურია შშმ პირების შესახებ მომზადებული მასალები? რა სტერეოტიპები ჩანს მედიაგაშუქებაში? სად და რა ხარვეზებია გაშუქებისას? რა ტიპის გადაცემებსა და საეთერო დროს შუქდება მასალები? ვინ არიან წყაროები?
- კვლევის მეორე ფაზაში პასუხი გაეცა კითხვებს: როგორ იგეგმება და უმჯობესია დაიგეგმოს და მომზადდეს შშმ პირების შესახებ მასალები? რით არის განპირობებული სტერეოტიპული გაშუქება და როგორ არის შესაძლებელი მათი შეცვლა? როგორია პირველ ფაზაში გამოვლენილი მედიაგაშუქების ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობები?

კონტენტ-ანალიზისთვის მომზადდა კოდირების გზამკვლევი, განისაზღვრა 7 მთავარი ინდიკატორი და მათში შემავალი ქვეკატეგორიები. ტერმინოლოგიის ნაწილში ქვეკატეგორიები დაიყო სწორ და არასწორ მახასიათებლებად. შემუშავებული მატრიცა მოცემულია ცხრილში N3.

საკვლევის ობიექტების შერჩევა: მედიაგაშუქებაზე დასაკვირვებლად შეირჩა 6 ყველაზე მაღალრეიტინგული ტელევიზია (NDI და IRI კვლევების მიხედვით). ესენია: ტელეკომპანია „იმედი“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „ფორმულა“, „ტვ პირველი“, „მთავარი არხი“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი.

იქიდან გამომდინარე, რომ საეთერო ბადის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა სახისა და აუდიტორიაზე გათვლილი მედიაპროდუქტი გადის, ანალიზი ჩატარდა შერჩეული ტელევიზიების მთელს საეთერო ბადეზე დაკვირვებით, რომელიც მოიცავდა საინფორმაციო, საავტორო და გასართობ გადაცემებს. ჯამში, მონიტორინგისას 6 სხვადასხვა არხზე დავაკვირდით 93 სხვადასხვა გადაცემას („იმედი“-14 გადაცემა, „რუსთავი 2“- 15, „ფორმულა“- 21, „ტვ პირველი“- 18, „მთავარი არხი“- 12 და საზოგადოებრივი მაუწყებელი- 13 გადაცემა). მნიშვნელოვანი იყო ე.წ. პრაიმტაიმის პერიოდზე (20:00-23:00) დაკვირვება, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. საეთერო დროის ეს ნაწილი კვლევაშიც გამოკვეთილია.

საკვლევ პერიოდად შეირჩა სამი თვე, კერძოდ: 2022 წლის სექტემბერი და დეკემბერი და 2023 წლის მარტი. შედარებისთვის შერჩეული დეკემბრისა და მარტის თვეებში მსოფლიოში შშმ პირთა საერთაშორისო დღეები აღინიშნება და მედიაში ამბების ინიცირებაც ამ თარიღებთან მიმართებით ხდება. სექტემბერში კი ამგვარი ფოკუსირება მედიაკამპანიებზე არ არის. ამ შერჩევამ შედარებითი ანალიზისა და ზოგად ტენდენციებზე დაკვირვების საშუალებასაც მოგვცა.

კვლევის პერიოდს მონაცემების დამუშავების პროცესში დაემატა 2024 წლის აპრილსა და მაისის თვეში სატელევიზიო სივრცეში გასული მასალები „რუსული კანონის“ წინააღმდეგ

გამართული დემონსტრაციების შესახებ სულ: 12 სიუჟეტი, შშმ პირების პოზიცია და მათი აქტიურობა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ექვსივე ტელევიზიამ გააშუქა. მნიშვნელოვანია, რომ ამ საერთაშორისო რეზონანსის მქონე მოვლენის გაშუქებისას, აქციის მონაწილეებში შშმ პირები ფიგურირებდნენ, როგორც აქტივისტები და მათი პოზიციონირება მედიაში საყურადღებოდ ჩავთვალეთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული კანონპროექტის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა ორგანიზაცია “მე დავინახე”-ს მიერ რომელიც ასევე გაშუქდა და აქაც, შშმ პირები წარმოდგენილები იყვნენ როგორც აქციის ორგანიზატორები და აქტივისტები. აქვე, უნდა ითქვას, რომ საქართველოში საპროტესტო აქციებზე შშმ პირების აქტიურ ჩართულობას თავისი გამოკვეთილი ისტორია აქვს, რომელიც სამეცნიერო კვლევის ობიექტი აქამდე არ გამხდარა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შშმ პირების ჩართულობა და მათი ხილვადობა 1989 წლიდან გამოკვეთილია. სამოქალაქო მეხსიერება და მედია არქივები ინახავს 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, რუსი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის აუდიო-ვიზუალურ მასალას, სადაც უსინათლოთა კავშირის წარმომადგენელი ლელა ვეფხვაძე, რუსი ჯალათების მიერ მომიტინგეების დარბევისას, რუსთაველის გამზირზე, ფანდურზე „სალაღობოს“ ასრულებს. 9 აპრილის გმირებს ყოველწლიურად იხსენებენ მედიით და უსინათლო ლელა ვეფხვაძისა და მისი მეგობრების დონარა ცხადიაშვილის, ნაირა კილაშვილის, თინათინ ბირკაძის, სიმღერა იკონურ ვიდე-აუდიო კადრებადაა შემონახული.

2024 წელს, აპრილ-მაისის თვეში, საქართველოში მასშტაბით ყველაზე დიდ დემონსტრაციებზე შშმ პირების პოზიციონირება ჩვენი დაკვირვების საგანი ამ პარალელის გამოც გახდა, რადგან “რუსული კანონის” გაპროტესტება არაერთხელ შეადარეს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს. ასევე, პროტესტის ფარგლებში, გაიჟღერა თუ როგორ შეიძლება დააზიანოს შშმ პირების უფლებები “რუსულმა კანონმა”.


მეორე ფაზაში, და ფოკუს-ჯგუფებისთვის მომზადდა დისკუსიის გზამკვლევი, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუებისთვის მომზადდა სამი სახის კითხვარი (ჟურნალისტებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და შშმ პირების მშობლებისთვის), განისაზღვრა პირველადი კითხვები. მაისსა და ივნისში ჩატარდა რვა ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების (სტრატეგია აღმაშენებელი, გირჩი - მეტი თავისუფლება) წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან (სამი ჟურნალისტი “ტვ პირველიდან”, ორი ჟურნალისტი “რუსთავი 2“-დან), შშმ პირის მშობელთან. ივნისის თვეში ჩატარდა ონლაინ ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, სტუდენტები, განათლების სექტორის და შშმ თემის წარმომადგენლები. მონაცემები დამუშავდა და დაინტეგრირდა შედეგებში. დისკუსიის გზამკვლევი და კითხვარები იხილეთ დანართის სახით.

2. ანალიზი და ინტერპრეტაცია

კვლევის პერიოდში ჯამში დამუშავდა 194 ჟურნალისტური მასალა, სადაც გაშუქებული იყო კვლევის პერიოდში შშმ პირთა საკითხები. ეს დაახლოებით 511 წუთი (დაახლოებით 8 საათი და 32 წუთი) და 115 კალენდარული დღეა. ტელევიზიების მიხედვით მასალები შემდეგნაირად

გადანაწილდა: „რუსთავი 2“-ზე მომზადდა 58 მასალა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე - 50, „იმედზე“ - 43, „ფორმულაზე“ - 18, „ტვ პირველზე“ - 16, ხოლო „მთავარ არხზე“ - 9. გადანაწილება წარმოდგენილია ცხრილში N1.


ცხრილი N1: მასალების გადანაწილება ტელევიზიებში



საკვლევი პერიოდის განმავლობაში, **შშმ პირებზე მომზადებული მასალა პრაიმტაიმში მხოლოდ 6-ჯერ მოხვდა, რაც საერთო დამუშავებული სიუჟეტების 3 %-ია.** აქედან, სამჯერ “ტვ პირველის” საეთერო ბადეში, ორჯერ “რუსთავი 2“-ზე და ერთხელ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ხოლო, “იმედზე”; “ფორმულასა” და “მთავარ არხზე” პრაიმტაიმში არც ერთხელ, არ გამოუქვებულა შშმ პირების საკითხები.

ზოგადად, საკვლევი თემა ექვსივე არხის საეთერო დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ჩანს როგორც საინფორმაციო გადაცემებში, ასევე დილის გასართობი ტიპის გადაცემებშიც. საკვლევ პერიოდში მოცულობით ყველაზე დიდი სიუჟეტი გავიდა “ფორმულაზე” (ქრონომეტრაჟით 21,41 წთ) და მიემდგვნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს. გადაცემაში “ფორმულა ნიუსი 09:00” სტუმრად მოწვეული იყო, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი და მისი მშობელი, გაჟღერდა მნიშვნელოვანი და პოზიტიური მესიჯები, ასევე ჟურნალისტების მხრიდან გამოხატული იყო სოლიდარობა და რაც მთავარია, მთავარი გმირი წარმოდგენილი იყო, როგორც აქტიური და პოზიტიური ადამიანი. გაშუქებული მასალის სიხშირე თვეების მიხედვით მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2: შშმ პირების საკითხების გაშუქება თვეების მიხედვით



ცხრილიდან ჩანს, რომ 6-დან 4 ტელევიზია ("რუსთავი 2", "ტვ პირველი", "ფორმულა" და "მთავარი არხი") შშმ თემატიკას უფრო მეტად აშუქებდა სწორედ იმ თვეებში (დეკემბერი და მარტი), როცა აღინიშნებოდა შშმ პირთა საერთაშორისო დღეები. თუმცა, საინტერესოა, რომ "იმედზე" და საზოგადოებრივ მაუწყებელზე სექტემბერში უფრო მაღალია მაჩვენებელი და ეს განაპირობა პარასპორტსმენტა წარმატებულმა ასპარეზმა სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში, რომელსაც აქტიურად აშუქებდა სწორედ ეს ორი ტელევიზია. კონტენტ-ანალიზისთვის შემუშავდა კოდირების გაიდლაინი, გამოიყო შვიდი კატეგორია და ქვეკატეგორიები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში N3.

ცხრილი N3: შშმ პირების გაშუქების მახასიათებლები

N	ინდიკატორი	ქვეინდიკატორი
1	ტერმინოლოგია	<p>სწორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ეტლით მოსარგებლე (მოფარიკავე, პარასპორტსმენი) - სმენადაქვეითებული - უსინათლო, მცირედმხედველი - ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/შშმპ

		<ul style="list-style-type: none"> - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი - აუტისტური სპექტრის მქონე - დაუნის სინდრომის მქონე პირი <p>არასწორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინვალიდი - ბრმა - უნარშეზღუდული - ეტლს მიჯაჭვული - დაუნი - აუტისტი
2	აუდიო-ვიზუალური გაფორმება	<ul style="list-style-type: none"> - შშმ პირი კადრში - ინფოგრაფიკები და სტატისტიკა - ემოციური ფონისა და გაშუქების ტონის შექმნა მუსიკით, ფერებით, ინტონაციით და სხვ.
3	პრობლემების იდენტიფიცირება და წარმოჩენა	<ul style="list-style-type: none"> - ცოდნის ასამაღლებელი ისტორიები იშვიათი დაავადების შესახებ - შშმ პირი, როგორც ქველმოქმედების სუბიექტი - ნეგატიური ისტორიები - კრიმინალი და შშმ პირები - შშმ პირების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის წარმოჩენა - უფლებრივი მდგომარეობის გაშუქება
4	პოზიტიური წარმოჩენა, ემოციური მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> - პოზიტიური ისტორიები შშმ პირებზე (მაგ., ინდივიდუალიზმის ხაზგასმა) - სოლიდარობისა და ემპათიის გამოხატვა - ტოლერანტობის ჩვენება - წარმატებული შშმ პირები - შშმ პირებთან დაკავშირებული აქციები, ფესტივალები, საერთაშორისო დღეები - საგანმანათლებლო ტრენინგებსა ვორქშოპებში ჩართულობა - ინფრასტრუქტურისა და რეაბილიტაციის პროექტები - ჯანდაცვის პროექტები

5	წყაროები	<ul style="list-style-type: none"> - შშმ პირი - მშობელი, მეურვე - ექსპერტი - არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - ხელისუფლების წარმომადგენელი - ოპოზიციის წარმომადგენელი - მოქალაქე (მაგ: vox-populi) - მასწავლებელი
6	დამკვირდებული სტერეოტიპები მედიაში	<ul style="list-style-type: none"> - შშმ პირი, როგორც სიბრაღის ობიექტი - შშმ პირი კომიკურ, დასაცინ კონტექსტში - შშმ პირი, როგორც „ტვირთი“ - მითები შშმ პირებზე (მაგ: დაავადებები გადამდებია) - შშმ პირები, როგორც გმირები (პოზიტიური დისკრიმინაციის კონტექსტი) - ასოციალური ქცევების შეზღუდულ შესაძლებლობასთან, მდგომარეობასთან დაკავშირება - სხვადასხვა სახის სტიგმატიზაცია
7	მასალის გავრცელების ფორმები	<ul style="list-style-type: none"> - მასალის ქრონომეტრაჟი - გადაცემის ტიპი - საეთერო დრო: პრაიმტაიმი/არა პრაიმტაიმი

ამ კატეგორიებად დაყოფა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- არასწორად გამოყენებულმა ტერმინოლოგიამ შესაძლოა გამოიწვიოს შშმ პირთა სტიგმატიზება და ასევე, შეურაცხყოს ისინი და შშმ პირების ოჯახის წევრებიც. საკვლევ პერიოდში არასწორ და დამაკნინებელ ტერმინოლოგიას არც ჟურნალისტები და არც რესპონდენტები არ იყენებენ. გვხვდება მცირედი უზუსტობები, როგორცაა მაგალითად ის, რომ ზოგჯერ, ტერმინს “შეზღუდულ შესაძლებლობას” ჟურნალისტები მრავლობით რიცხვში ამბობენ.
- მედია-მონიტორინგისას დავითვალეთ თუ რამდენჯერ გამოჩნდა ამა თუ იმ კატეგორიის რესპონდენტი. აუდიო-ვიზუალური მასალის მსგავსად, აქაც გვინტერესებდა შშმ პირების გამოჩენის სიხშირე, თუმცა განსხვავება ისაა, რომ აუდიო-ვიზუალურ მასალაში გვინტერესებდა მასალათა ის რაოდენობა, რომელშიც შშმ პირი


გამოჩნდა, ხოლო რესპონდენტთა ინდიკატორში უშუალოდ მათი და სხვა რესპონდენტთა რაოდენობა.

- სატელევიზიო პროდუქტის სტრუქტურის ანალიზმა გამოკვეთა თუ რა მოცულობის სიუჟეტები მზადდება, ვის მიერ და საეთერო ბადის რა ნაწილს მოიცავს თემა. სტრუქტურის ანალიზი გვეხმარება დავინახოთ სარედაქციო პოლიტიკის დამკვიდრებული პრაქტიკაც.
- ანალიზისას მნიშვნელოვანია იმ თემების მრავალფეროვნება, სადაც ჩანან შშმ პირები. ერთფეროვნებამ შესაძლოა სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მაგალითად, თუ სულ გაშუქდა ნეგატიური და დამთრგუნველი ტიპის ამბები შშმ პირებზე, მათი ინდივიდუალიზმის და შესაძლებლობების წარმოჩენის გარეშე, საზოგადოებაში გამყარდება სტერეოტიპი, რომ შშმ პირები არიან “ტვირთი” საზოგადოებისა და ოჯახებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ სტიგმატიზაციას.

• **2.1. ტერმინოლოგია და თემები**

ჯამში, სულ შშმ პირების მაიდენტიფიცირებელი ტერმინები 172-ჯერ დაფიქსირდა. აქედან, ყველაზე მეტად გამოყენებულია ტერმინი “შშმ” (54%). შემდეგ მოდის “ეტლით მოსარგებლე” (11%), “აუტისტური სპექტრის მქონე”(10%), “დაუნის სინდრომის მქონე” (10%), “სპეციალური საჭიროების მქონე პირი” (9 %), “უსინათლო” (4%) და “სმენა დაქვეითებული” (2 %). ხოლო, ტერმინი “ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები” საერთოდ არ გამოყენებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი არც არის ფართოდ დამკვიდრებული საქართველოში და მას მხოლოდ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ. ტერმინოლოგიის განაწილება წარმოდგენილია ცხრილში N4.

ცხრილი N4: რა ტერმინებით მოიხსენიებენ შშმ პირებს სატელევიზიო მედიაში?



სიღრმისეული ინტერვიუებისას, შეკითხვაზე „როცა გესმით შშმ პირები, რა ჯგუფები გახსენდებათ?“ ყველა ჟურნალისტმა ახსენა ეტლით მოსარგებლები, მხედველობის არმქონე ან მცირედმხედველი, სმენადაქვეითებულ პირები. ასევე, ახსენეს ფიზიკური (კიდურ(ებ)ის არმქონე) და ფსიქიკური დარღვევების მქონე და აუტისტური სპექტრის მქონე პირები. პოლიტიკოსებმაც იგივე ჯგუფები ჩამოთვალეს. ასევე, ახსენეს დაუნის სინდრომის მქონე პირები და ისინი, ვისაც აქვს შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობა. ყურადღება გამახვილდა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზეც.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „როცა მესმის შშმ პირები, მახსენდება სიტყვა „მოწყვლადი“. ამ კუთხით, უფრო მოწყვლადნი არიან შშმ ქალები, გოგონები და ბავშვები“.

გამოკითხულ ჟურნალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები არასაკმარისად შუქდება და ის ძირითადად მნიშვნელოვან თარიღებს უკავშირდება. ასევე, ნახსენები იყო სპეციფიკური გადაცემები და ჟურნალისტები, რომლებიც დროდადრო შშმ თემებით ინტერესდებიან. სხვა შემთხვევაში, ჟურნალისტები იხსენებენ კრიმინალურ, ყვითელ და სენსაციურ ამბებს, რადგან სწორედ ამ ფოკუსის გამო გაშუქდა შშმ პირების შესახებ მასალა.

ტვ პირველი (რესპონდენტი N5): „ინტენსივობა დაბალია, რადგან სანამ კონკრეტული ქეისი არ გაჩნდება (მაგალითად ძალადობის), მედია ამ თემებზე ყურადღებას არ ამახვილებს. არის გადაცემები, რომლებიც ცდილობენ ამბავსა და პრობლემაზე პოსტ-ფაქტუმ არ დაიწყოს მსჯელობა“.

ჟურნალისტების აზრით, მედია სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემებს არასაკმარისად აშუქებს, თუმცა დინამიკა მაინც მზარდია.

რესპონდენტი N6: „რამდენიმე სპეციფიკური გადაცემა მახსენდება, რომლებიც ამ თემით ინტერესდებიან. შშმ პირების ხმა უფრო მეტად ისმის ონლაინ-მედიაში“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს გაუჭირდათ შშმ პირების გაშუქების მაგალითების გახსენება. მათი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ახალი ამბები ეთმოება სენსაციებს და/ან პოლიტიკურ ამბებს, სადაც შშმ პირები ნაკლებად ფიგურირებენ. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს:


- „ქართულ მედიაში შშმ პირები აღქმულები არიან, როგორც ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ შშმ საკითხებზე ისაუბრონ, რაც არასწორია. შშმ თემები იშვიათად გვხვდება პოლიტიკურ დღის წესრიგში და მედიაც ნაკლებ ინტერესდება პოლიტიკოსების აზრით ამ თემაზე. ჟურნალისტები არ ინტერესდებიან ჩვენი, როგორც უბრალოდ, სამოქალაქო აქტივისტებით ან მოქალაქეებით. ძალიან არასწორია ის აზრი, რომ ქვეყანაში არსებული რაიმე პრობლემა შშმ პირებს არ ეხება, შშმ პირებს ეხება ყველაფერი ისევე, როგორც დანარჩენ მოსახლეობას“ (თემის წარმომადგენელი);
- „მედიას შშმ პირები ძირითადად სპეციალურ, საერთაშორისო დღეებში ახსენდება და სიბრალოლის გამოწვევას ცდილობს საზოგადოებაში“ (სტუდენტი);

- „შშმ პირების პრობლემების მოგვარება პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაა, მაგრამ ეს მათ მედიამ უნდა შეახსენოს და კიდევ ერთხელ დაავალდებულოს, რომ გადადგან შესაბამისი ნაბიჯები“ (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი).

2.2. წყაროები

ინდიკატორი “წყაროები” შედგება 6 ქვეკატეგორიისაგან. ესენია: შშმ პირი, მშობელი/მეურვე, სხვადასხვა ექსპერტი (იგულისხმება როგორც დარგის სპეციალისტი, ასევე შშმ პირთა ადვოკატირებაში ჩართული, სერვისის მიმწოდებელი პირები), ხელისუფლება/ოპოზიციის წარმომადგენელი, მოქალაქე და მასწავლებელი. მონიტორინგისას გამოიკვეთა 3 ძირითადი ტიპის რესპონდენტი. ესენია: პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, შშმ პირები და ექსპერტები. ცხრილში N5 წარმოდგენილია ყოველ ტელევიზიაში ამა თუ იმ წყაროს წილი.

ცხრილი N5: ვინ არიან წყაროები შშმ პირების თემების გაშუქებისას?



საინტერესოა, რომ პოლიტიკური პარტიებიდან, ძირითადად, წარმოდგენილები იყვნენ ხელისუფლებაში მყოფი პირები. მთელი კვლევის განმავლობაში, მხოლოდ “რუსთავი 2“-ზე ფიქსირდება ოპოზიციური პარტია “სტრატეგია აღმაშენებელი“. ასევე, ნინო ორდენიძემ “ევროპული საქართველოდან” შშმ ბავშვების რეაბილიტაციისთვის 2023 წლის ბიუჯეტში მეტი თანხის გამოყოფა მოითხოვა.

ექვსიდან 3 არხზე, შშმ თემატიკაზე მომზადებულ სიუჟეტებში, ყველაზე ნაკლებად რესპონდენტების ამპლუაში სწორედ შშმ პირები ჩანან. “ტვ პირველსა” და “მთავარ არხზე”

უფრო მეტად ჩანან ის ადამიანები და ექსპერტები რომლებიც შშმ პირებს სხვადასხვა ტიპის სერვისის სთავაზობენ და ორიენტირებულები არიან მათ ინტეგრაციასა და უფლებათა დაცვაზე. "ფორმულა" არის ერთადერთი ტელევიზია, სადაც შშმ პირები, როგორც რესპონდენტები რაოდენობრივად უფრო მეტად ჩანან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცენტული განაწილება ითვლება ინდივიდუალური არხის მიხედვით და რაოდენობრივად საზოგადოებრივ მაუწყებელს უფრო მეტი 18 შშმ რესპონდენტი ჰყავს. მოცემული მიგნებიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ტელევიზიები პასიურობენ შშმ პირთა ხილვადობის ამაღლებაზე. აუცილებელია, როცა ჟურნალისტმა შშმ პირთა საკითხის გაშუქებისას სულ მცირე ერთი შშმ პირი ან მათი მშობელი/მეურვე ჩაიწეროს. არის შემთხვევები, როცა შშმ პირი საერთოდ კადრშიც კი არ ჩანს.

კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტებს არასდროს ავიწყდებათ პოლიტიკური პარტიების თუ ექსპერტების სახელის და გვარის დაწერა ტიტრებში, ხოლო შშმ პირებისა და მათი მეურვეების/მშობლების ვინაობა არაერთ შემთხვევაშია გამორჩენილი.

სიღრმისეული ინტერვიუებისას, ჟურნალისტები განმარტავენ მიზეზებს, რის გამოც ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირები არ ჩანან, როგორც რესპონდენტები. ეს არის ინკლუზიის ნაკლებობა. ამის მიზეზად ასახელებენ საზოგადოებასა და მედიაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებსაც.

ტვ პირველი (რესპონდენტი N1): „მედიაში ხილვადობისა და რესპონდენტებად სხვადასხვა თემაზე შშმ პირების ნაკლებობის მიზეზი ალბათ ის არის, რომ საქართველოში შშმ პირები, ნაკლებად არიან ჩართული მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): „ამის მიზეზი საზოგადოებაში ძალიან არასწორად დამკვიდრებული აზრია, რომ შშმ პირები არ არიან საკმარისად კომპეტენტურები“.

ტვ პირველი (რესპონდენტი N5): „ინკლუზიის პრობლემაა. ისინი არ არიან დასაქმებულები. ვინც დასაქმებულია, ის აქტიურადაც ჩანს. ნამდვილად იშვიათობაა, რომ შშმ პირები იმ თემებზე იყვნენ რესპონდენტები, რომლებიც მათ პრობლემატიკას არ ეხება. არც მახსენდება, რომ ეკონომიკის სფეროზე ვინმე ასეთი რესპონდენტი ჩამეწეროს. არადა, სავარაუდოდ არის კიდევ და ეს ჩვენ არ ვიცით. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ისინი საზოგადოებაში არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულები, ამიტომ მედიის მხრიდან დაინტერესებაც ნაკლებია“.

რესპონდენტი N6: „ფუნდამენტურ პრობლემასთან მივდივართ, რაც შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას უკავშირდება. მედია აირეკლავს ამ პრობლემას - რესპონდენტებადაც არ ჩანან შშმ პირები. შშმ პირების უფლებები არაა დაცული და ისინი ნაკლებად მონაწილეობენ თავად შშმ პირების პოლიტიკის შემუშავებაში, რაც ასევე არის მათი ხილვადობის პრობლემის მიზეზი“.

უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ თემს ეხება. შეკითხვაზე „რა არის იმის მიზეზი, რომ ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირების არ ჩანან, როგორც რესპონდენტები?“ პოლიტიკოსებმა ახსნეს ხილვადობის პრობლემით და ორივე მხრიდან ნაკლები აქტიურობით.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): „ზოგადად, ადამიანის კომპეტენციაა მნიშვნელოვანი და არა ის, საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს თუ - არა. შშმ პირების თემებზე ისინი უფრო მეტად ჩნდებიან მედიაში, რადგან უშუალოდ მათგან მოსმენილი პრობლემა უფრო გასაგები ხდება საზოგადოებისთვის. მედია სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ ნაკლებად იწვევს იმიტომ, რომ ხილვადობის პრობლემაა“.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „ეს ორმხრივი პრობლემაა. თავად შშმ პირების მხრიდანაც არ არის სათანადო აქტივობა. მედიის ცნობიერებაც დაბალია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომაა აუცილებელი, რომ დახარჯონ მეტი დრო შშმ რესპონდენტების მოსაძიებლად. არ არის გენდერული ბალანსიც. კიდევ უფრო მეტი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ შშმ რესპონდენტები მოიძიო, დაუკავშირდე, ფიზიკურად მოიყვანო ან მიხვიდე. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ თუ რა ტემპსა და რეჟიმში უწევთ ჟურნალისტებს მუშაობა, ამით აიხსნება რომ ზედმეტ შრომას თავს არიდებენ და ისეთ რესპონდენტებს ირჩევენ, ვისი ჩაწერაც უფრო მარტივია. ხილვადობის გასაუმჯობესებლად და ბარიერების დასაძლევად, საჭიროა რესპონდენტების მოძიება. კარგი იქნება თუ საკონტაქტო ბაზა იქნება შშმ პირების, სადაც სხვადასხვა სფეროს ადამიანების მოძიებას შეძლებენ ჟურნალისტები. ეს შეიძლება რომელიმე ორგანიზაციამ მოამზადოს“.

პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად არ საუბრობენ შშმ პრობლემატიკაზე. ამაზე, პოლიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერთნი თვლიან, რომ პარტიები ამას მომგებიანად არ თვლიან, რადგან საარჩევნო ხმების მობილიზების კუთხით არ მიაჩნიათ ეფექტიანად. მეორენი თვლიან, რომ ამის მიზეზი ის პოლიტიკური დღის წესრიგია, რომელიც განდევნის მსგავს თემებს დღის წესრიგიდან.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „საკითხები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ მსჯელობას მოითხოვს, არ დგება დღის წესრიგში. ვერ ვიტყვი, რომ შშმ პირების უფლებების დაცვა არ გვაწუხებს, უბრალოდ, ვერ ხერხდება ამაზე აქტიურად მსჯელობა. გადაცემები არ ეძღვნება ამ თემს და შესაბამისად, ფორმაშიც ვეღარ ვართ, როცა ამ თემების განხილვას ეხება საქმე. შშმ პირების პრობლემების გააზრება არაა მარტივი“.

შშმ პირის მშობელი ამ საკითხს განსხვავებულად უყურებს. რესპონდენტებმა სიღრმისეული ინტერვიუების დროს ახსენეს აქტიური შშმ მშობელი, რომელსაც ასევე დაუკავშირდით სიღრმისეული ინტერვიუსთვის. მშობელი თვლის, რომ სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები არასაკმარისი ინტენსივობით და არასრულფასოვნად შუქდება და ამას განაპირობებს იმ პოლიტიკური ამბების დღის წესრიგი, რომელსაც მედია მიჰყვება.

შშმპ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „შშმ პირების თემები შეუქდება მაშინ, როცა ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა არაა მწვავე და ჟურნალისტებს თემები შემოაკლდებათ. ასევე, თუ ამბავი სკანდალურია. სხვა შემთხვევაში, ჟურნალისტებისა და თოკ-შოუს წამყვანებისგან უარს ვიღებთ გაშუქებაზე“.

მშობელმა ინტეგრაციის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ აუცილებელია ყოველდღიურ ამბებში მოხდეს შშმ პირების პრობლემების ინტეგრაცია, რაც ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებისას დამატებით კუთხესაც აჩენს. შშმ პირის მშობლის აზრით, მიზეზი იმის, რომ უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ თემებზე, რომლებიც მათ თემს შეეხება და არ ჩანან სხვადასხვა თემაზე რესპონდენტებად, გამოწვეულია საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებითაც.

შშმპ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერება ამაღლდა, ჩვენი საზოგადოება მაინც მიიჩნევს, რომ შშმ თემი ცალკე მდგომია. არადა, ის მეინსტრიმულად უნდა იყოს განხილული ყოველ პრობლემასთან მიმართებით. მაგ., გაწყდა წყალი, ამ დროს შშმ პირის პრობლემა უნდა ასევე გაშუქდეს, რადგან ეს პრობლემა მათთვის დამატებით პრობლემას ქმნის. შშმ პირები დამატებით კუთხეს წარმოაჩენენ, რომელიც სამწუხაროდ არ ჩანს“.

მშობელი კრიტიკული იყოს პოლიტიკოსების მისამართით, რომლებიც ნაკლებად ინტერესდებიან თემის პრობლემებით და მათი დამოკიდებულება (განსაკუთრებით მმართველი გუნდის) შესაცვლელია. კითხვაზე „რატომ არ/ვერ საუბრობენ პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად და კომპეტენტურად შშმ პრობლემატიკაზე?“ პასუხისას, მშობელმა გაიხსენა დისკრიმინაციის მაგალითები პოლიტიკოსების მხრიდან.

შშმპ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „როცა ჩვენი თემი აქტიურობდა ე.წ. რუსულ კანონთან მიმართებით, პარლამენტარმა გია ვოლსკიმ („ქართულ ოცნებიდან“) თავის განცხადებებში ისე წარმოაჩინა, რომ შშმ თემი შეცდომაში შეიყვანეს, თითქოს ისინი ვერ აზროვნებენ და უბრალოდ იმეორებენ სხვის აზრებს. მმართველი გუნდის აზრით, შშმ პირები არიან ქველმოქმედების ობიექტები, რომლებსაც შშმ პირების დღეს „ფოჩიანი კანფეტები“ უნდა მისცე. მათი მიზანი არაა, რომ შშმ პირებს ისეთი გარემო შეუქმნან, რომ თავად შეძლოს პრობლემებთან გამკლავება“.

მშობელმა ოპოზიციაც გააკრიტიკა, რომელიც არ ინტერესდება შშმ პირების პრობლემებით და ვერც ერკვევიან პრობლემების არსში.

შშმპ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „არც მმართველმა პარტიამ და არც ოპოზიციამ არ იცის, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შშმ პირები და მათი მშობლები, ოჯახის წევრები ასევე არიან ამომრჩევლები. ეს არ აქვთ გააზრებული. ისინი არ ფიქრობენ ამ ხმებზე. ასევე, შშმ პირების მიმართ უნდა იყოს ღირსეული დამოკიდებულება და არა შეცოდება“.

იმისთვის, რომ მედიამ შეცვალოს სტერეოტიპები, საჭიროა შშმ პირების თემების გაშუქებას სათანადო დრო დაეთმოს, რაც არ ხდება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს:

„ამ საკითხებს ძალიან ცოტა დრო ეთმობა მედიაში და შესაბამისად, სტერეოტიპებთან გამკლავებაში მედიის როლიც ნაკლებია“ (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი);

- „ჟურნალისტმა შეიძლება სწორი ტერმინოლოგია გამოიყენოს, სწორი რაკურსით გააშუქოს შშმ პირი, მაგრამ მერე დაადოს ისეთი ტექსტი ან მუსიკა, რომელიც გათვლილია მაყურებელთა ემოციებზე. ეს ხშირად ემსახურება იმ სტერეოტიპის გამყარებას, რომ შშმ პირები შესაცოდები არიან. ზოგჯერ, ხდება პოზიტიური დისკრიმინაცია და მათი ჰეროიზირება, ესეც სტერეოტიპების გამყარებაა. გვხვდება პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითებიც. შშმ პირებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებთან ბრძოლა მათი ნორმალიზებითაა შესაძლებელი“ (თემის წარმომადგენელი);
- „გამოწვევაა ის, რომ ჟურნალისტების მიზანი შშმ საკითხების გაშუქებისას ხშირად არის საზოგადოებაში სიბრალულის გაღვივება და არა რეალობის ასახვა, რაც არ მიმაჩნია სწორედ“ (სტუდენტი).

შშმპ თემი აქტიური იყო 2023-24 წლებში საპროტესტო დემონსტრაციებისას, რომელიც გაიმართა ე.წ. აგენტების კანონის მიღებისას. 2024 წელს მედიამ არაერთი მასალა მოამზადა შშმ პირების ჩართულობაზე, გაშუქდა მათი განცხადებები და ყურადღება გამახვილდა იმ ზიანზე, რომელიც ამ კანონის მიღებას შესაძლოა მოჰყვეს. სატელევიზიო სიუჟეტები მოამზადეს ტელეკომპანია „ფორმულამ“ (05.04.2024), ტელეკომპანიამ „მთავარი არხი“ (13.05.2024), ონლაინ-პორტალმა „კუბლიკამ“ (08.04.2024) და სხვ. მედიის მიერ მომზადებულ მასალებში რესპონდენტები იყვნენ თემის წარმომადგენლები.

2.3. სტერეოტიპები, ნეგატიური და პოზიტიური ფრეიმები

ეს კატეგორიები გამოკვეთს სტერეოტიპებს მედიაში და შშმ პირების ნეგატიური და პოზიტიური წარმოჩენის ტენდენციებს. ცხრილში N6 მოცემულია თუ რა აქცენტებით აშუქდება მედია შშმ პირების საკითხებს.

<p>არც ერთ არხზე გასულ, არც ერთ მასალაში არ იყო ჩვენ მიერ წინასწარი ვარაუდით მონიშნული შემდეგი კატეგორიები:</p> <ul style="list-style-type: none">• შშმ პირი სიბრალულის ობიექტი• შშმ პირი კომიკურ/ დამაკნინებელ კონტექსტში• შშმ პირი - ტვირთი• მითები შშმ პირებზე (დაავადების გადაღება და სხვა)
--

- ასოციალური ქცევების შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირება
- სტიგმატიზაცია
- შშმ პირი როგორც სუპერგმირი: პოზიტიური დისკრიმინაციის ელემენტები, შშმ პირის მდგომარეობის (მაგ. დაუნის სინდრომი) დაავადებად ინტერპრეტირება

ცხრილი N6: ნეგატიური და პოზიტიური ფრეიმინგი

	იმედი	რუსთავი 2	საზ. მაუწყებელი	ტვიპირველი	ფორმულა	მთავარი არხი	ჯამი
პოზიტიური ისტორიები შშმ პირებზე	15	19	21	2	6	1	64
იშვიათ დაავადებებზე ცოდნის ასამაღლებელი ისტორიები	0	0	0	0	0	1	1
შშმ პირი როგორც ქველმოქმედების ობიექტი	0	1	7	2	3	0	13
წარმატებული შშმ პირები	2	12	6	0	3	0	23
ნეგატიური ისტორიები/ კრიმინალი და შშმ პირები	1	6	0	0	3	0	10
სხვადასხვა პრობლემა	0	5	5	9	6	2	27

როგორც ვხედავთ, ყველაზე ხშირად შშმ პირებზე პოზიტიური ისტორიები შუქდება 46,37% , შემდეგ მოდის მათი პრობლემები 19,56 %; წარმატებული შშმ პირები 16,66 %; შშმ პირები როგორც ქველმოქმედების ობიექტი 9,42 %; და ნეგატიური ისტორიები - 7,24 %.

იშვიათი დაავადებების შესახებ ცოდნის ასამაღლებელი სიუჟეტი, რომელიც თემატური მრავალფეროვნების და შშმ პირთა ხილვადობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, გვხვდება მხოლოდ "მთავარ არხზე" 2023 წლის 2 მარტს, გადაცემაში, "შენი დილა 07:30". სიუჟეტი იმიტაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის მომზადდა არა საერთაშორისო დღის აღნიშვნის კონტექსტში, არამედ რიგით დღეს.

ვინაიდან შშმ პირების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მომზადებულ სიუჟეტებში, ბუნებრივია განხილულია სხვადასხვა დაავადება და მდგომარეობა. "მთავარი არხის" შემთხვევაში, 2023 წლის 2 მარტს გადაცემა "შენ დილაში" საუბარი იყო დაუნის სინდრომზე. სტუმარმა, ზანდა ჩეჩელაშვილმა, ძალიან საინტერესოდ და მრავლისმომცველად ისაუბრა დაუნის სინდრომზე. აღნიშნა ისიც, თუ რატომ აღინიშნება წლის მესამე თვის 21-ე დღეს დაუნის სინდრომის დღე (განმარტა, რომ ეს უკავშირდება 21-ე ქრომოსომის ტრისომიას) აღწერა განსხვავება გენეტიკურ და მემკვიდრულ მდგომარეობებს შორის. ექსპერტმა, აღნიშნა ასევე ისიც, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები რაოდენობრივად, უფრო მეტი ჰყავთ 35-წლამდე დედებს, რითაც უარყო საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ამ სინდრომის ბავშვები მხოლოდ 35-წელს ზემოთ მშობლებს ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ამ 18 წუთიან სიუჟეტში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის არც ვიდეო და არც ფოტო მასალა არ გვხვდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ისტორიები ძირითადად დაკავშირებულია პარასპორტსმენების წარმატებებთან სწორედ სექტემბერსა და დეკემბერში, როცა საქართველოს პარამოფარიკავეებმა ბრწყინვალედ იასპარეხეს. ეს ამბავი ყველა მედიამ გააშუქა "მთავარისა" და "ტვ პირველის" გარდა. ინტერვიუ ჩამოართვეს სამივე პარასპორტსმენს: ირმა ხეცურიანს, გვანცა ზადიშვილს და ნინა თიბილაშვილს. "რუსთავი 2"-მა ირმა ხეცურიანზე გადაცემა "შუადღეში" მოამზადა სპეციალური სიუჟეტი, სადაც პარამოფარიკავის წარმატების ისტორიაა მოთხრობილი. ასევე, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოამზადა სიუჟეტი პარაოლიმპიკ ცოლ-ქმარზე, სადაც მოთხრობილია მათი სიყვარულის ისტორია, სპორტული მიღწევები და ცხოვრებისეული გამოცდილება. სიუჟეტში ნაჩვენებია თუ როგორ ვარჯიშობენ შვილთან ერთად, როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება და როგორ ამხნევენ ერთმანეთს. სწორედ ამ პერიოდში (დეკემბერში) აშშ-დან პარასამხედროებმა 23 მედალი ჩამოიტანეს, რომელიც გაშუქდა "იმედზე", "რუსთავი 2"-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, პირველ მარტს გაშუქებული პრობლემური საკითხები, სადაც საუბარი იყო სმენის დარღვევის მქონე მოზარდების მიზნებზე, ადრეულ ასაკში შეწყვეტილი განათლებასა და ოცნებად დარჩენილ პროფესიებზე. 10 მარტს გასულ სიუჟეტში კი ნაჩვენებია იყო თუ რა პროექტებს ახორციელებს საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია დასავლელი პარტნიორების/დონორების დახმარებით. თუკი, სხვა ტელევიზიები მეტ-ნაკლებად ნაცნობ პრობლემას - კონკრეტულ დღეს აშუქებდნენ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შშმ პირების გარშემო, ნაკლებად ცნობილი

პრობლემები გაშუქდა, მაგალითად: შშმ ბავშვებისთვის პერსონალური ასისტორების სერვისის ხელმისაწვდომობა, შშმ პირები და სამხედრო სამსახური და სხვ.

რაც შეეხება, "ტვ პირველს", "ფორმულას" და "მთავარ არხს" სამივე არხი ძირითადად აშუქებს შშმ საკითხების გარშემო არსებულ პრობლემებს. თუმცა, პრობლემების გაშუქებისას, თავად შშმ პირების ხილვადობის ნაკლებობაა. მაგალითად, "მთავარი არხის" მიერ მომზადებულ გადაცემაში, სტუმრებმა 16 წუთიან სიუჟეტში ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რასაც სმენის სირთულის და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანები აწყდებიან. მრავალი პრობლემების მიმოხილვისას არც ერთხელ არ გამოჩნდა კადრში არც სმენის სირთულის და არც აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანი. "იმედის" შემთხვევაში, პრობლემები 3 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ გაშუქდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა აქონდროპლაზიით დაავადებული ბავშვების მშობლების აქციები. ასევე, არ გაშუქდა თერაპევტების აქცია და სხვა რეალური პრობლემები, რომელთან გამკლავებაც მოუხდათ შშმ პირებს თუ მათ ახლობლებს. საკვლევ პერიოდს დაემთხვა აქონდროპლაზიის მქონე ბავშვთა მშობლების აქციები, რომელიც აქტიურად შუქდებოდა მედიით, გამონაკლისი იყო ტელეკომპანია "იმედი", რომელმაც აღნიშნული პრობლემა არ გააშუქა.

ზოგადად, კვლევამ აჩვენა, რომ შშმ პირების ხილვადობა წარმოადგენს გაშუქების მთავარ პრობლემას და ეს ყველა ტელევიზიას ეხება. მაგალითად, "მთავარ არხზე" 2022 წლის 5 დეკემბრის "შენი დილა 07:30" გადაცემაში მოწვეული ჰყავდათ ინკლუზიური იდეების პლატფორმის დირექტორი მაკა ჩხაიძე. ჟურნალისტმა სწორედ მას ჰკითხა თუ რას ამბობენ სპექტაკლში მონაწილე პირები და რა ემოციები მიიღეს მათ. უმჯობესი იქნებოდა, თუ თავად შშმ პირებს მოიწვევდნენ სტუდიაში და მისცემდნენ შესაძლებლობას ესაუბრათ საკუთარ თავზე. ასევე, "იმედზე" პარასპორტსმენების დაჯილდოებაზე ორი რესპონდენტია ჩაწერილი, ამათგან არცერთი თავად პარასპორტსმენი. ერთი რესპონდენტი შშმ პირი, პარლამენტარი რატი იონათამიშვილია, რომელიც მმართველ პარტიას წარმოადგენს, ხოლო მეორე სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა.

"რუსთავი 2-ზე" მომზადებულ, 2023 წლის 3 მარტის 15 საათიანი "კურიერის" სიუჟეტში, რომელიც ასევე შშმ თემატიკას ეძღვნებოდა და აშუქებს შსს-ის კონფერენციას, 5 რესპონდენტია ჩაწერილი და მათგან მხოლოდ ერთია შშმ პირი, ოღონდ ისიც თბილისის მერიის წარმომადგენელი გიგა სოფრომაძეა. "მთავარ არხზე", 2022 წლის 20 დეკემბრის "მთავარი ამბები 21:00"-ზე, გასულ სიუჟეტში რომელიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებზე იყო, ბავშვების კადრები სრულიად დაბლარულია მაშინ, როცა სიუჟეტის ერთ-ერთი გმირი, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი და მშობელი ჩანან. საკვლევ პერიოდში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა შშმ ბავშვები დაბლარეს. სიუჟეტი არ იყო დაკავშირებული ისეთ თემასთან, სადაც არასრულწლოვანი პირის იდენტიფიცირება საფრთხის შემცველი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტებმა მარტივად უნდა იხელმძღვანელონ პრინციპით, თუკი, კონკრეტულ შემთხვევაში გამოაჩენდნენ ტიპური განვითარების ბავშვს, დასაშვებია შშმ ბავშვის გამოჩენაც.

არის ამბები, რომლებიც მოითხოვს, რომ ჟურნალისტმა რამდენიმე დილემას გაართვას თავი, განსაკუთრებით თუ საქმე კრიმინალის გაშუქებას ეხება. ასეთი ორი სხვადასხვა შემთხვევა იყო 2023 წლის მარტის ბოლოს, როცა არასრულწლოვანი, შშმ პირის გაუპატიურების ამბავი გაშუქდა. პირველ ამბავში, ფიგურირებდა ბავშვის მამინაცვალი, ხოლო მეორეში მეზობელი და ეს უკანასკნელი მოხდა ერთ-ერთ რეგიონში. ეს ამბავი "რუსთავი 2"-ზე სულ 4-ჯერ გაშუქდა (2, 23, 29, 30 მარტი). ეს საკითხი "რუსთავი 2"-ზე 2-ჯერ პრაიმტიიმის პერიოდში გაშუქდა. 4-ჯერ გაშუქდა შშმ ბავშვზე ძალადობის ამბავი, რომელიც ერთ-ერთ რეგიონში მოხდა- "მთავარზე" (30 და 31 მარტს). ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ ერთხელ, 31 მარტს გაშუქდა.

2023 წლის 2 მარტს გაშუქებული მასალის მომზადებისას, "რუსთავი 2-ზე" მსხვერპლის დედა დაბლარულია, ისევე როგორც საცხოვრებლის კადრები, შეუძლებელია დაზარალებულის თუ საქმეში მოქმედი პირების იდენტიფიცირება. თუმცა, ექსკლუზიურად მოპოვებული მასალა შეიცავს მსხვერპლის დაკითხვის ოქმის ნაწილებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი ძალადობის ზოგიერთი ეპიზოდი, რაც დაუშვებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამბავი მხოლოდ "რუსთავი 2"-მა გააშუქა.

მეორე ამბავზე მუშაობისას, "რუსთავი 2"-ის 29 მარტის სიუჟეტში მეზობელი აჟღერებს შემდეგ ფრაზას : "25 წელია აქ ვცხოვრობ და მაგ კაცისთვის მაგის მსგავსი არაფერი შემიძინებია. ცოდოს თქმა ძნელია, აგოს პასუხი. პატარა რაღაცა არის ამ ხნის კაცზე ამხელა რაღაცის თქმა?!. ერთად დავბერდით და ცოდვა როგორ ვთქვა..." ამ სახის კომენტარები დამნაშავის ადვოკატორების ელემენტებს შეიცავს, ამიტომ არაა რეკომენდებული მედიის საშუალებით გაჟღერდეს, სავარაუდო დამნაშავის პიროვნული თვისებების შესახებ მეზობლის მოსაზრების გაშუქება მაყურებელს არაფერს აძლევს საერთოდ.

"რუსთავი 2"-ზე იმავე საქმეზე, 30 მარტს გაშუქებულ ამბავში ჟურნალისტი ადგილობრივებს ეკითხება იყო თუ არა დამნაშავე პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრი. სავარაუდო დამნაშავის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ასევე შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.

"მთავარი არხისა" და საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, ისე გაშუქდა არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ამბავი, რომ დაზარალებულისა და დამნაშავის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. თუმცა, ამ არხებზე არ გასულა სიუჟეტი, არასრულწლოვანი შშმ პირის გაუპატიურების შესახებ, რომელიც მხოლოდ "რუსთავი 2-ზე" გვხვდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ მასალა სატელევიზიო არხის ექსკლუზივი იყო.

მასალების ანალიზიდან ჩანს (იხ. ცხრილი N7), რომ ყველაზე ხშირად შუქდება შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები (26%), შემდეგ შშმ პირებთან დაკავშირებული აქციები/ფესტივალები (24%), საგანმანათლებლო ტრენინგები/ ვორქშოპები (22%); ინფრასტრუქტურა და რეაბილიტაცია (19%), სოლიდარობის გამოხატვა მედიით (4%), ჯანდაცვა (4%) ტოლერანტობა და სენტიმენტები (1%).

ცხრილი N7: შშმ პირების გაშუქების თემატიკა

თემატიკა/მედია	იმედი	რუსთაველი 2	საზ. მაუწყებელი	ტვ პირველი	ფორმულა	მთავარი	ჯამი
უფლებრივი მდგომარეობის გაშუქება	17	13	4	0	1	0	35
შშმ-დაკავშირებული აქციები/ ფესტივალები/ საერთაშორისო დღეები	9	13	7	1	2	0	32
საგანმანათლებლო ტრენინგები/ ვორკშოპები/	12	7	8	1	1	0	29
ინფრასტრუქტურა/ რეაბილიტაცია	6	9	6	2	2	0	25
ჯანდაცვა	0	3	0	2	1	0	6
სოლიდარობის გამოხატვა მედიის მხრიდან/ საშუალებით	4	2	0	0	0	0	6
ტოლერანტობა, სენტიმენტები (სევდიანი მუსიკა, ფერები, ინტონაცია)	0	1	0	0	1	0	2

არსებული სტერეოტიპების შესაცვლელად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც ფიქრობენ. რესპონდენტმა N7-მა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შშმ პირებთან დამოკიდებულება შესაცვლელია: „შეცოდება არაა მთავარი, პირიქით. ამისთვის საჭიროა უფრო მეტი უშუალო კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების ლიდერების სხვადასხვა შშმ პირების ჯგუფებთან. ასეთი შეხვედრები აუცილებელია იმისთვის, რომ პოლიტიკური ლიდერები უფრო სენსიტიურები გახდნენ ამ საკითხის მიმართ. ეს საკითხები ამგვარად დადგება პარტიების დღის წესრიგში“.

როდესაც თემა ეხება შშმ პირებს, ჟურნალისტები ყველაზე ხშირად კონსულტაციისთვის მიმართავენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ შშმ თემებზე, ასევე, შშმ აქტივისტებს, ფსიქოლოგებს. ამ მხრივ გზამკვლევების ქართულ ენაზე არარსებობა მუშაობას ართულებს. ასევე, ნიუსრუმებში არ არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ამ თემებში კომპეტენტურები არიან. თუმცა, ჟურნალისტები საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს და შემდეგ, საკითხს განიხილავენ და დამატებითი კითხვებით - არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავენ.

რესპონდენტი N4: „ინფორმაციას ვეძებ სახელმწიფო უწყებებში ან თუ ხელი მიმიწვდება თავად შშმ პირთან ვაზუსტებ საკითხს“.

რესპონდენტი N5: „კონსულტაციისთვის არასამთავრობოებს მივმართავთ, რომლებიც მუშაობენ შშმ პირების თემებზე და ისინი ძალიან გვეხმარებიან. მათ ზუსტად იციან სტანდარტები“.

რესპონდენტი N6: „ვუკავშირდები ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ასევე, ჟურნალისტების ეთიკის ქარტიას. განმარტებებს, უპირველესად ვეძებ-ხოლმე ინგლისურენოვან გაშუქების სახელმძღვანელოებში. ძალიან კარგია, რომ ქართულ ვერსიაზე მუშაობა მიმდინარეობს“.

პოლიტიკოსები კონსულტაციებს უცხოური ორგანიზაციებისგან იღებენ. ასევე, მოქალაქეებს ამისამართებენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმ შემთხვევაში, როცა მათი კომპეტენცია არასაკმარისია. არის თანამშრომლობა სახალხო დამცველის აპარატთანაც.

პოლიტიკურ პარტიებში არ არიან კონკრეტული პირები, ვინც ამ საკითხებში კომპეტენტურია, თუმცა დანერგილია კონსულტაციებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „გარკვეული კომპეტენციები გვაქვს, მაგრამ არაა საკმარისი და არც ერთ კონკრეტულ პირშია ეს კომპეტენციები თავმოყრილი. გვეხმარებიან იურისტები, ჯანდაცვის, განათლების ექსპერტები. სპეციფიკური ცოდნა საჭიროა და არასამთავრობო სექტორთან და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით შესაძლებელია უფრო ეფექტიანად მუშაობა“.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის აღწერისას ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მათგან სრულყოფილ ინფორმაციას იღებენ და თანამშრომლობის მუდმივი მზაობაა. ამ მხრივ,

სამთავრობო უწყებებზე უფრო ეფექტური სწორედ არასამთავრობო სექტორია, რომლებიც ჟურნალისტებს ეხმარებიან მოიძიონ და დაამუშაონ წყაროები.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): „არასამთავრობო სექტორი, ძირითად შემთხვევებში, უფრო ხელმისაწვდომია შშმ პირების საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე სამთავრობო“.

რესპონდენტი N6: „ამბის სიღრმისეული გაშუქებისთვის ინსპირაცია შეიძლება გახდეს შშმ პირების თემებზე მომუშავე არასამთავრობოების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები და კვლევები. სახელმწიფო, ჩემი გამოცდილებით, არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით“.

რესპონდენტი N5: „არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ-ერთი ჩვენი დასაყრდენია, როცა შშმ პირების თემებს ვაშუქებთ. ისინი გვებმარებიან მომხდარი ამბის სწორად ანალიზში, მათ ჰყავთ კონტაქტები, რომლებიც გვჭირდება. სტანდარტებსაც გვკარნახობენ-ხოლმე, რასაც ვითვალისწინებთ“.

რესპონდენტი N6: „ამ თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება მაქვს. ისინი მზად არიან გაგესაუბრონ, არიან კარგი რესპონდენტები, აქვთ ანალიტიკური მასალები, რომლებსაც ვიყენებთ, გვაძლევენ რჩევებს თემის საუკეთესოდ გაშუქებისთვის“.

მედიით დისკრიმინაციული განცხადებები შეიძლება გაუცნობიერებლად გავრცელდეს და სამწუხაროდ, მედიის მხრიდან პასუხისმგებლობის გაუზარებლობამ შეიძლება განაპირობოს დისკრიმინაციული გარემოს გაძლიერება. შეცდომის დაშვებისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა აუცილებელია განმარტების გავრცელება, სადაც ეს ხარვეზი გამოსწორდება. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა. არის შემთხვევები, როცა დაშვებულ შეცდომებზე მითითებისას, მედია ცდილობს თავი დაიცვას და სამოქალაქო სექტორი აქეთ დაამუნათოს. ამის ნათელი მაგალითია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული მასალა და მასზე რეაგირების ფორმა. საკვლევ პერიოდში (2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის აპრილი) საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია განცხადებით გამოეხმაურა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემა “დიდ შესვენებაში” მომხდარ [ფაქტს](#), როცა “წამყვანებმა ანეკდოტის მოყოლითა და საკუთარი რეაქციებით ხელი შეუწყვეს დისკრიმინაციული გარემოს შექმნასა და სტერეოტიპების გაძლიერებას”. გადაცემის ავტორებმა მოგვიანებით [განცხადება](#) გაავრცელეს, რომელმაც გამოკვეთა, რომ “წამყვანებს არ აქვთ გააზრებული პასუხისმგებლობა და დისკრიმინაციული გარემოს შექმნას ვერ აღიქვამენ პრობლემად (ქარტიის განცხადება, 2022).

შშმ პირების თემების გაშუქებას პერიოდულად ეხმიანება “მედიაჩეკერი”, საკვლევ პერიოდში პორტალზე ორი შემთხვევა ([16.09.2022](#) და [06.03.2023](#)) იყო განხილული.

ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ არასამთავრობო სექტორთან მუშაობას დადებითად აფასებენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც, თუმცა აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო სექტორის

რესურსიც შეზღუდულია და საჭიროა მეტი მუშაობა ამ კუთხით. ასევე, ეს თანამშრომლობა უფრო აქტიური ხდება საარჩევნო პროგრამაზე მუშაობის დროს.

პოლიტიკოსებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ გასული წლების საარჩევნო გეგმაში ძირითადად ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას (რესპონდენტი N3). შშმ პირების პრობლემები ინტეგრირებული იყო ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის პროგრამაში (რესპონდენტი N7) .

2024 წლის საარჩევნო გეგმაზე მუშაობისას პოლიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ მუშაობა დაწყებულია და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პროგრამის შემუშავებაში თემის ჩართულობას.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): „2024 წლის საარჩევნო გეგმაში დარჩება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ინიციატივა და ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც მეტად ადაპტირებულ გარემოს შექმნის შშმ პირებისთვის“.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7):“ არჩევნებზე გავდივართ ‘გამარჯვების პლატფორმის’ ფარგლებში. ჯერ-ჯერობით პროგრამა არაა დასრულებული და წინა წლების დანაკლისი, ვფიქრობ აქ იქნება ასახული. თემის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში. ვიმედოვნებ, რომ წელს ეს ჩართულობა იქნება უფრო ფართო“.

გამოკითხული პარტიების პოლიტიკურ საბჭოებში შშმ პირები არ არიან წარმოდგენილები, თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას ნახსენები იყო თემის აქტიური წევრები, რომლებიც საარჩევნო პროცესებსა და საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობენ.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): „პარტიის პოლიტსაბჭოში შშმ პირი არ გვყავს, თუმცა გვყავს რამდენიმე აქტიური წევრი, რომელიც დისკუსიებში ხშირად იღებს მონაწილეობას და ეტლით აქციებზეც დადიოდა ჩვენთან ერთად. პოლიტსაბჭოშიც და ზოგადად, კვოტების დაწესების მომხრე არ ვართ. ნებისმიერს, ვინც სურვილს გამოთქვამს და საკმარისად იაქტიურებს, ისედაც ექნება შესაძლებლობა პარტიის პოლიტიკურ საბჭოში მოხვედრის“.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „აქტიური წევრი ბევრი არ არის, მათგან რამდენიმე ჩართულია საარჩევნო პროცესში, საუბნო მუშაობაში“.

დავინტერესდით, ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების სპეციფიკითაც. ჟურნალისტებს შშმ პირების თემის გაშუქებისას, გადაფარვის კადრების, ფოტოების, გაფორმების შერჩევისას რაიმე განსაკუთრებული მიდგომა არ აქვთ. ისინი ხშირად იყენებენ სწორედ რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ფოტო მასალას, სოციალურ ქსელებზე განთავსებულ მასალას, რომელსაც თანხმობის მიღების შემთხვევაში აქვეყნებენ. მიდგომა ისეთია, როგორც ნებისმიერ სხვა რესპონდენტის მიმართ. თუმცა, ზოგადად, არასრულწლოვანების ჩაწერის მიდგომაზე ითქვა, რომ ხდება ე.წ. დაბლარვა (ფონის დადება სახეზე, რომ ვერ მოხდეს პირის იდენტიფიცირება) და იგივე პრინციპია შშმპ არასრულწლოვანების შემთხვევაშიც. “დაბლარვა” ყველა

შემთხვევაში არაა სწორი გამოსავალი და აქაც, მნიშვნელოვანია მასალის შინაარსისა და თემის კონტექსტის გათვალისწინება.

რესპონდენტი N6: „კადრების არჩევისას მთავარია არ ილახებოდეს რესპონდენტის ინტერესი და მასთან შეთანხმებული იყოს ის ვიზუალი, რომელსაც ვიღებ. თავად მან იგრძნოს თავი კომფორტულად“.

შშმ პირების საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტები სირთულეებს აწყდებიან. მაგალითად, კრიტიკული მედიის წარმომადგენლები სწუხან, რომ სახელმწიფო უწყებები უარს ამბობენ თანამშრომლობაზე და კითხვები უპასუხოდ რჩება, შესაბამისად მასალა ცალმხრივი გამოდის. პრობლემაა არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა და სახელმწიფოს პასიურობა.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): „ქალაქი არაა ადაპტირებული. სირთულეა ამა თუ იმ ლოკაციაზე შშმ პირების ჩაწერა. სტუდიაში მათ მოყვანასთან დაკავშირებითაც პრობლემებს ვაწყდებით. შინაარსს სიფრთხილით ვეკვიდებით, რომ შეცდომა არ დაგუშვათ, თუნდაც ტერმინოლოგიაში“.

ჟურნალისტებმა ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როცა შშმ თემის წარმომადგენლებმა ან მათი ინტერესების დამცველმა მიმართეს იმის შესახებ, რომ დაირღვა მათი უფლებები. ჩვენ დავინტერესდით ასეთ დროს, რა პროცედურებია დანერგილი ნიუსრუმში, რედაქციაში. მაგალითად, ხდება თუ არა მასალის ჩასწორება?

ტვ პირველი (რესპონდენტი N1): „ასეთ შემთხვევაში ხდება როგორც პირადად ბოდიშის მოხდა, ასევე საჯაროდ სატელევიზიო ეთერში, ან სოციალურ ქსელში გადაცემის სახელით განცხადების გაკეთება“.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): „დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, მოხდება ინფორმაციის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში, ჩასწორება“.

რესპონდენტი N6: „მიდგომა ისეთია, რომ მასალა შეიძლება ჩასწორდეს, მოვიხადოთ ბოდიში ან საერთოდ ავიღოთ პლატფორმიდან“.

შშმ პირების გაშუქებისას მედიასთან ურთიერთობის აღწერისას, მშობელმა კონკრეტულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება. მთავარი გამოწვევა არის ჟურნალისტების მოუზადებლობა ინტერვიუს ჩაწერის წინ.

შშმპ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „როცა ინტერვიუზე მოდიან, არ ხდება შშმ პირების მდგომარეობისა და საჭიროების გათვალისწინება. მაგ., უნდოდათ აუტისტი გოგონას ჩაწერა კონკრეტულ დღეს და დროს. ეს მოთხოვნა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც ვერ გავაგებინეთ ჟურნალისტს. ჟურნალისტი ცდილობს ყველაფრის ფასად მოიპოვოს ინტერვიუ, მაშინაც კი როცა შეიძლება ეს იყოს დამაზიანებელი შშმ პირისთვის. ეს დამოკიდებულება არასწორია და სწორედ ამიტომ, საჭიროა ტრენინგები... კარგი ჟურნალისტი, რომელიც შშმ პირის ჩაწერას აპირებს, აუცილებლად უნდა გაეცნოს ამ პირის მდგომარეობის შესახებ“.

ინფორმაციას, წარმოდგენა ჰქონდეს სირთულეებზე. შშმ პირები არ არიან ტიპური რესპონდენტები, ამიტომ ჟურნალისტსაც სჭირდება მომზადება ინტერვიუს წინ. ოჯახის წევრისთვისაც კომფორტია, როცა ჟურნალისტმა იცის ბევრი რამ. მქონდა შემთხვევა, როცა ჟურნალისტმა თავად მითხრა, რომ მოიცდიდა ინტერვიუს ალებას, რომ არ დასტრესილიყო ჩემი შვილი და ეს ჩემთვის შვება იყო“ - აღნიშნავს შშმ-ს მშობელი.

რეკომენდაციებზე საუბრისას სწორედ ტრენინგების საჭიროებაზე გამახვილდა ყურადღება, რომელიც საჭიროა როგორც მოქმედი, ასევე მომავალი ჟურნალისტებისთვის.

შშმ-ს მშობელი (რესპონდენტი N8): „ეს ტრენინგები უნდა იყოს სისტემატური და აქცენტით: როგორ ვიურთიერთოთ შშმ პირებთან სწორად? აქ შედის ტერმინოლოგია, დისკრიმინაციის თავიდან აცილების თემები. არასწორია, როცა ხდება შშმ პირების წარმოჩენა ზედმეტად პოზიციურ კონტექსტში, თითქოს ისინი ზებუნებრივი ძალებით არიან დაჯილდოებულები. ასე არაა. უნდა იყოს რეალური მდგომარეობის გაშუქება, თავისი შესაძლებლობებითა და აუცილებლად, თავისი სირთულეებით. შშმ პირების მდგომარეობის ხილვა არ უნდა იყოს გასაკვირი ადამიანებისთვის. მაგალითად, ჩემი შვილის შემთხვევაში ესაა განსხვავებულად მეტყველება. ჟურნალისტმა უნდა აჩვენოს, რომ ესეც ნორმაა. არაა საჭირო ზედმეტი შეფუთვა და ლამაზად წარმოჩენა. ძლიერი უნარების წარმოჩენაც საჭიროა და სირთულეებისაც“.

